პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8-81

ხელისმოწერის ფასი
მუშ. მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფეების და მასწავლებლებ სათვის - 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

პარასკევი, 9 აგვისტო 1929 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 181 (2527)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- ხმებია, რომ ჩან-კაი-ში გადადგომას აპირებს
- კონსერვატიული პრესის იერიში ინგლის - ეგვიპტის შეთანხმების წინააღმდეგ
- უმუშევართა რიცხვი ინგლისში 1.200.000 აღწევს
- ნანკინის საგარეო საქმეთა მინისტრი ჩინეთ - საბჭოთა კონფლიქტის შესახებ
- ლატვიელი ფაშისტები სახელმწიფო გადატრიალებას ამზადებენ
- ნობილეს ექსპედიციის მონაწილეთა ძებნა
- აეროპლანი „საბჭოთა ქვეყანა“ მოსკოვიდან გაფრინდა ნიუ - იორკში

დღეს, პარასკევს, 9 აგვისტოს მთავრობის სასახლეში
შესდგება
საქ. ს.ს.რ. ეკონომიური საბჭოს მორიგი სხდომა
დასაწყისი დღის 12 საათზე.
საქართველოს სსრ. სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველის მაგიერ
გ. ფალავა.

გავაჯანსაღოთ საბჭოთა მეურნეობანი

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნები საბჭოთა მეურნეობების მდგომარეობის შესახებ. ცნობები, რომელნიც მოყვანილია მუშგლეხინის ზემოხსენებულ დასკვნებში, იმდენად საგულისხმოა, რომ ისინი საბჭოთა საზოგადოებრიობის განსაკუთრებული ყურადღების ღირსია.

სოფლად მუშაობის დარგში განვითარების დღევანდელ საფეხურზე პარტიისა და ხელისუფლების ძირითადი ამოცანაა გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ამ რთულ და დიდმნიშვნელოვან საქმის განხორციელებაში ჩვენს ერთ-ერთ დასაყრდენს წარმოადგენენ საბჭოთა მეურნეობანი. როგორი მდგომარეობაა ამ მხრივ? უკვე კარგა ხანია ცნობილია, რომ ამა თუ იმ ამოცანის პრაქტიკულად გადაწყვეტისათვის არ კმარა მხოლოდ ზეპირი პროპაგანდა - აგიტაცია. ამასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პროპაგანდას საქმით, მშრომელი მასების რეალურ და თვალსაჩინო მაგალითებით დარწმუნებას იმ ღონისძიებების აუცილებლობაში, რომელთაც პარტია და ხელისუფლება მიმართავს სოციალისტური მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის. ეს უნდა ითქვას გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებაც. სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გადაყვანას მრავალი დაბრკოლებები ეღობება წინ. საჭიროა სისტემატიური და თავდადებული მუშაობა იმისათვის, რომ მატერიალურად და კულტურულად ჩამორჩენილი გლეხური მეურნეობიდან შექმნა ძლიერი ეკონომიური ერთეულები, რომლებშიც შესაძლებელი გახდება ტექნიკის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენება და რომელთა საშუალებითაც სოფელი გამოვა ახალ ყოფა - ცხოვრების ფართო გზაზე. ასეთ პირობებში, თავის თავად ცხადია, რომ მუშაობას უკვე არსებულ სამეურნეო გაერთიანებებისა, როგორიცაა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი, უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა. მათი მთავარი დანიშნულებაა გაუძღვენ წინ სოფელს ახალი მშენებლობის გზით. რამდენად წარმატებით ასრულებენ ამ მოვალეობას საბჭოთა მეურნეობანი? ამაზე ამომწურავ პასუხს იძლევა მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნა, რომელშიაც მოცემულია საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მეტად არასახარბიელო სურათი. ირკვევა, რომ საბჭოთა მეურნეობანი ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე მეტად დაავადებული დარგია.

ჩვენში საბჭოთა მეურნეობები ჯერ - ჯერობით მეტად მცირეა. მიუხედავად ამისა, უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა იზარალა ნახევარ მილიონი მანეთზე მეტი. ყველაზე უფრო სავალალო ის არის, რომ საბჭოთა მეურნეობანი თავის უხეირო მუშაობით არა თუ კულტურულ სამეურნეო საქმიანობის ნიმუშს წარმოადგენენ მათ გარშემო მოსახლე მშრომელი გლეხკაცობისათვის, არამედ, უმეტეს შემთხვევაში, სახელს უტეხენ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას. აიღოთ თუნდაც შემდეგი ფაქტი: იმ დროს, როდესაც საბჭოთა მეურნეობებში ხორბლის მოსავალი ერთ ჰექტარზე საშუალოდ არ აღემატება 260 ფუთს, გლეხების ხორბლის ბაღები თითო ჰექტარზე იძლევიან 300 ფუთზე მეტ მოსავალს. თქმა არ უნდა, ასეთ პირობებში ზედმეტია ლაპარაკი საბჭოთა მეურნეობაზე, როგორც სოფლის მეურნეობის წინამძღოლზე და მუშაობის ახალ ფორმების ორგანიზატორზე.

რატომ ხდება ყოველივე ეს? ჩვენი საბჭოთა მეურნეობის უნუგეშო მდგომარეობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მეტად სუსტია ხელმძღვანელობა ამ მეურნეობათა მუშაობაზე, ამას თვალსაჩინოდ მოწმობს ის არანორმალური ფაქტი, რომ სოფლის მეურნეობის მთავარი ხელმძღვანელი ორგანოს — მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ხელი თითქმის არსად სჩანს საბჭოთა მეურნეობათა მოწყობის საქმეში და მათ ყოველდღიურ მუშაობაში. აქედან ღებულობს სათავეს მუშაობის არა რაციონალურად წარმოება საბჭოთა მეურნეობებში, არსებულ შესაძლებლობათა არა საკმაოდ და მიზანშეუწონლად გამოყენება. ამის შემდეგ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ იშვიათია დღეს საქართველოში საბჭოთა მეურნეობა, რომელიც დეფიციტს არ იძლევა.

თავისთავად ცხადია, ასეთ ძირშივე მავნებელ და ყოვლად გასაკიცხ მდგომარეობას ჩვენ ერთი წუთითაც ვერ შევურიგდებით. საჭიროა სასწრაფო და გადამჭრელი ხასიათის ღონისძიებების მიღება, რომ საბჭოთა მეურნეობების დღევანდელი უმწეო მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდეს. გულუბრყვილობა იქნება გლეხის მეურნეობის კოლექტივიზაციის შესახებ აგიტაცია - პროპაგანდის გაცხოველებაზე ზრუნვა, თუ ამასთან ერთად ყურადღება არ მიექცევა იმ, თავისი მნიშვნელობით მძლავრ ეკონომიურ ბერკეტებს სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში, როგორიცაა საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობანი.

მართალია, ჩვენ არა გვაქვს ოფიციალური და მთლიანი დასკვნა კოლექტიურ მეურნეობათა მდგომარეობის შესახებ, მაგრამ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ ბევრ შემთხვევაში კოლექტიური მეურნეობანიც თავისი სუსტი მუშაობით ცუდ სამსახურს უწევენ პარტიას და ხელისუფლებას იმ რთულ და უაღრესად საჭირბოროტო ამოცანების პრაქტიკულად გადაწყვეტაში, რომელნიც სდგანან ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის განვითარების მიმდინარე პერიოდში.

მიწადმოქმედების ორგანოებმა, კოოპერატიულ ცენტრებმა, პარტიისა და საბჭოთა ადგილობრივ ორგანიზაციებმა აქედან შესაფერი დასკვნა უნდა გამოიტანონ. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც დიდი დახმარება გაუწია პარტიას საქართველოს საბჭოთა მეურნეობის მდგომარეობის შესწავლით და აღმოჩენილ დეფექტების სინათლეზე გამოტანით, მაგრამ ეს არ კმარა. ჩვენს მოვალეობას შეადგენს არა მარტო იმ უმსგავსოებათა რეგისტრაცია, რომელთაც ადგილი აქვთ ამა თუ იმ დარგის მუშაობაში, არამედ ბოროტების დროზე შენიშვნა და საჭირო ზომების მიღება მის აღსაკვეთად, როცა ასე მიუდგებით საბჭოთა მეურნეობების დღევანდელ მდგომარეობას, უნდა გულახდილად ვაღიაროთ, რომ სათანადო ცენტრალური ხელმძღვანელი ორგანოები და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სხვა ორგანიზაციები ვერ იჩენდნენ სიფხიზლის და გულშემატკივრობას საბჭოთა მეურნეობების მუშაობისადმი.

საბჭოთა მეურნეობების ეხლანდელი მდგომარეობა ავალებს ყველა ორგანოს, რომელსაც რაიმე კავშირი კი აქვს სოფლის მეურნეობასთან, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ჩვენი საბჭოთა მეურნეობებისა და გლეხთა კოლექტივების გაჯანსაღება-განმტკიცების საქმეს. ეს არის ერთ-ერთი გადაუდებელი, მტკივნეული საკითხი, რომელიც მთელი თავისი სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დარგში. ახლო მომავალი გვიჩვენებს, რამდენად სწორად გაითვალისწინებენ სათანადო ორგანოები ამ მდგომარეობას და რამდენად ენერგიულ, მიზანშეწონილ ნაბიჯებს გადასდგამენ ისინი არსებულ ნაკლოვანებათა ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის.

იმპერიალისტები და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა

საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს ვაშინგტონის კორესპონდენტის ცნობას, რომელიც შეიცავდა სტიმსონის 25 ივლისის საიდუმლო ნოტის შინაარსს, დღემდე არავინ გამოეხმაურა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვაშინგტონიდან მიღებულ გაუბედავ და არადამაჯერებელ უარყოფას, რის შესახებაც იუწყება ასოშიეტედ პრესის სააგენტო. ამ ნოტაში ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი საჭიროდ სცნობდა სახელმწიფოების კოლექტიურად ჩარევას საბჭოთა კავშირის და ჩინეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად. ამერიკის გეგმა, როგორც ვიცით, ითვალისწინებდა „მიუდგომელ“ საერთაშორისო კომისიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანას კონფლიქტის არა მარტო მიზეზებისა და დამნაშავეთა შესახებ, არამედ იმ ახალი რეჟიმის შესახებაც, რომელიც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე უნდა დამყარდეს. ამ რეჟიმის შესავალს უნდა წარმოადგენდეს უცხოელი მმართველის „დროებით“ დანიშვნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე იმავე კომისიის მიერ.

ამერიკის მთავრობის ეს ნაბიჯი უპირველეს ყოვლისა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ იგი ნათელს ჰფენს ყველა წინა ამბებს და შეერთებული შტატების და საფრანგეთის ცნობილ დიპლომატიურ ნაბიჯებს, რომლებსაც თან სდევდა გამოცოცხლება მსოფლიოს ყველა დედა-ქალაქებში; იგი ნათელს ჰფენს აგრეთვე თვით ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის წარმოშობას. სტიმსონის წინადადება სახელმწიფოებისადმი, დიპლომატიურ ენიდან უბრალო ენაზე გადათარგმნილი, ნიშნავს აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდებას უცხოეთის კაპიტალის მიერ და ამ გზის ჩამორჩილებას საერთაშორისო კონტროლისადმი ამერიკის უპირატესი გავლენით. სწორედ ეს იმალებოდა იმპერიალისტების უკანასკნელი კვირეების ხმაურობაში, სწორედ ესენია ამერიკის კაპიტალის ნამდვილი ზრახვები და მისწრაფებები, რასაც იგი ჰფარავს „კეთილშობილი“ მითითებით კელოგის პაქტზე და ლაპარაკით ომის საფრთხეზე (რის შესახებაც არაფერს ამბობდნენ, როცა სახელმწიფოები თავიანთ ჯარებს ჰგზავნიდნენ ჩინეთის რევოლუციის წინააღმდეგ); და, ბოლოს, სწორედ ეს იმალებოდა ოფიციალურ და ოფიციოზურ განცხადებაში იმის შესახებ, რომ ამერიკას უანგაროდ სურს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის სასწრაფოდ მშვიდობიანი ლიკვიდაცია, ამ მიზნით აძლევს იგი ჩინეთს წინადადებას—აღადგინოს „სტატუს ქვო“ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. სტიმსონის საიდუმლო ნოტა ააშკარავებს ამგვარი განცხადებების მთელ სიყალბეს და თვალთმაქცობას და ნათელს ხდის იმპერიალიზმის ჭეშმარიტ ზრახვებს.

კიდევ მეტი, დიდი გულუბრყვილობა იქნება ფიქრი იმაზე, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის-გზის ხელში ჩაგდების და მისი ინტერნაციონალიზაციის გეგმა იმპერიალისტებს თავში მოუვიდათ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ჩინელებმა აჩვენეს მტაცებლური მოქმედების მაგალითი. ცხადია, ეს გეგმა უკვე არსებობდა დიდი ხნით ადრე, სანამ მოხდებოდა კონფლიქტი აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე და, მაშასადამე, წარმოადგენდა ერთ-ერთ გადამჭრელ ფაქტორს, რომელმაც აღნიშნული კონფლიქტი გამოიწვია. სტიმსონის გამოსვლის შემდეგ მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივმა აზრმა უნდა აღიაროს, რომ საბჭოთა პრესა და საბჭოთა საზოგადოებრიობა მართალნი იყვნენ, როცა მათ იმთავითვე აღნიშნეს, რომ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება, თუმცა განხორციელებული ჩინელი მილიტარისტების მეოხებით, ნამდვილად ჩადენილ იქნა მსოფლიო იმპერიალიზმის მიერ, რომლის ხელშიაც ჩინეთის ხელისუფლება წარმოადგენდა ბრმა იარაღს.

სტიმსონის გამოსვლა ნათელს ჰფენს ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტის პოლიტიკურ ჰორიზონტებს, კონფლიქტის, რომელიც გამოწვეულ იქნა იმპერიალიზმის ჩინელი აგენტების პროვოკაციული, ძალმომრეობითი და უკანონო მოქმედებით. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ინტერნაციონალიზაციის მომზადება ნათელს ხდის ჩინეთისათვის, თუ რა მოჰყვება ამგვარ უგუნურ და დანაშაულებრივ პოლიტიკას საბჭოთა კავშირის მიმართ. შეუძლიათ ბევრი იყვირონ საბჭოთა კავშირის რაღაც „ცუდი ზრახვების“ გამო; შეუძლიათ როგორც ამას სჩადის ნანკინის მთავრობა, შეირცხვინონ თავი მთელი მსოფლიოს წინაშე და ამტკიცონ, რომ საბჭოთა კავშირი გაძევებულ უნდა იქნას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზიდან, რადგან რკინის გზის საბჭოთა ადმინისტრაცია ამზადებდა მის დანგრევას (?), ყველა ჩინელი გამოჩენილი მოღვაწის მოკვლასო (!). მაგრამ თუ უკუვაგდებთ მთელ ამ უხეირო პროპაგანდას და გავაშიშვლებთ ფაქტებს, მთავარი იქნება ის, რომ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობაში სრულებით არ ემუქრებოდა არც ჩინეთის სახელმწიფოებრიობას და არც ჩინეთის სუვერენიტეტს.

საბჭოთა კავშირი, მეფის რუსეთისაგან და იმპერიალისტებისაგან განსხვავებით, მანჯურიაში არ ისახავდა და არც ისახავს არავითარ პოლიტიკურ მიზნებს და არ ეძებს არავითარ უსამართლო პრივილეგიებს. საბჭოთა კავშირმა ამ გზის მართვა-გამგეობაში მონაწილეობის დროს უარი განაცხადა მანჯურიის სახელმწიფო საქმეში ჩარევაზე და ყოველგვარ პრეტენზიაზე. 1924 წლის ხელშეკრულებებით დამყარებული რეჟიმის დროს ჩინეთის ხელისუფლება მანჯურიის სრული ბატონ-პატრონი რჩებოდა. ყოველივე ეს ძალიან კარგად იცის ჩინეთის საზოგადოებრივმა აზრმა და თვით ჩინეთის ხელისუფლებამ. საბჭოთა კავშირის და ჩინეთის საერთო კონტროლი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზაზე არ არღვევდა ჩინეთის ეროვნულ ინტერესებს, პირიქით, ხელს უწყობდა მათ, რადგან აშორებდა იმპერიალისტების ჩარევის შესაძლებლობას, რაც საშიში იყო ჩინეთისათვის. ეს შესაძლებლობა წარმოიშვა მხოლოდ მას შემდეგ, როცა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა ხელთ იგდო ჩინეთის ხელისუფლებამ. მაგრამ უცხოელების ჩარევა და უცხოეთის კონტროლის დაწესება აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სავსებით შესცვლის მდგომარეობას ჩრდილოეთ მანჯურიაში. რომ მოხდეს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ინტერნაციონალიზაცია, იგი კვლავ, როგორც მეფის რეჟიმის დროს, გადაიქცევა ექსტერიტორიალურ საწარმოდ. იმპერიალისტური სახელმწიფოები, რომელთაც ჩინეთში პრივილეგიები აქვთ და რომლებიც სცდილობენ სრული სამეურნეო და პოლიტიკური ბატონობის განხორციელებას ჩინეთში, მზად არიან ყოველგვარი საბაბი გამოიყენონ სამხედრო შეტაკებისათვის. ამ სახელმწიფოებისათვის აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის ხელში ჩაგდება იქნება მხოლოდ პირველი ნაბიჯი მანჯურიის დასაპყრობად. როცა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დამყარდება უცხოეთის კონტროლი, ჩინელები აღარ იქნებიან ჩრდილოეთ მანჯურიის ბატონ-პატრონნი.

ჩინეთის საზოგადოებრიობამ გაითვალისწინოს ამერიკის გეგმის განხორციელების ყველა ამ შედეგს. უეჭველია, საბჭოთა კავშირთან უშუალო მოლაპარაკების დაწყების გაუბედავი ცდები, რომლებსაც ადგილი აქვს უკანასკნელ დროს, ნაწილობრივ დაკავშირებულია იმასთან, რომ მუკდენი თანდათან იწყებს იმ სავალალო პერსპექტივის შეგნებას, რომელსაც იმპერიალისტების ჩარევა გამოიწვევს. რაც შეეხება ნანკინს, როგორც უკვე აღვნიშნეთ „იზვესტია“-ს ფურცლებზე, სავსებით შესაძლებელია, რომ ნანკინის მმართველი ჯგუფი, რომელიც სავსებით ემორჩილება ამერიკის პოლიტიკას და რომელსაც დღემდე არავითარი უშუალო დამოკიდებულება არ აქვს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზასთან, მზად არის დასთმოს ჩინეთის ეროვნული ინტერესი და მანჯურიის ინტერესები, ოღონდ კი შეავიწროვოს და დაასუსტოს მუკდენი. ინტერნაციონალიზაციის რეჟიმს მოჰყვება ის, რომ რაც დარჩება ჩინეთს, სწორედ ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში გადავა. მაგრამ ნანკინისათვის მეტად ძნელი იქნება აშკარად გამოვიდეს ამგვარი წინადადების დასაცავად, რომლის ყველა შედეგი ნათელი უნდა იყოს ჩინეთის საზოგადოებრივი აზრისათვის, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ ნანკინის წრეები საიდუმლოდ უჭერენ მას მხარს. უნდა აღინიშნოს, რომ სტიმსონის ნოტა გამოქვეყნდა სწორედ მაშინ, როცა ვან-ჩენ-ტინმა გამოაქვეყნა ახალი განცხადება იმის შესახებ, რომ ნანკინის მთავრობა მზად არის ყოველ მომენტში დაიწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან. ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი ეს წინადადება ჩავთვალოთ გულწრფელად, მით უფრო, რომ ნანკინმა მშვენივრად იცის ის წინასწარი პირობები, რომელთა ნიადაგზედაც შესაძლებელია მოლაპარაკება, მაგრამ ეს წინადადება ნაკარნახევია ჩინეთის შეშფოთებული საზოგადოებრივი აზრის დამშვიდების აუცილებლობით.

როცა ხაზს უსვამთ სტიმსონის წინადადების უდიდეს მნიშვნელობას, ჩვენ სრულებითაც არ ვფიქრობთ, რომ ამერიკის პროექტი უკვე განხორციელდა ან ადვილად შეიძლება განხორციელდეს. უფრო მოსალოდნელია, რომ თვით შეერთებულ შტატებში გამოჩნდებიან გავლენიანი ჯგუფები, რომლებიც მხარს არ დაუჭერენ სტიმსონის წინადადებას, რომელიც ასე ეწინააღმდეგება მის წინანდელ განცხადებებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე სტატუს ქვოს აღდგენის შესახებ და რომელიც მოიწონეს ამერიკის პრესამ და პოლიტიკურმა წრეებმა.

რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, პროექტმა, რომელიც პირველ რიგში აყენებს ამერიკის როლს და ფაქტიურად მას ანიჭებს ხელმძღვანელ გავლენას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე და მანჯურიაში, უაღრესად უნდა გამოიწვიოს შინაგანი ბრძოლა იმპერიალიზმის ბანაკში, რომელსაც ამჟამად არ ძალუძს საბჭოთა კავშირს დაუპირისპიროს მთლიანი ფრონტი. ინგლისის პრესის ფრთხილი მითითებანი, კერძოდ, 8 აგვისტოს „ტაიმს“-ის განცხადება, რომ „ნაადრევია“ სტიმსონის მოთხოვნა სახელმწიფოების აქტიური ჩარევის შესახებ, გვიჩვენებს, რომ ამერიკის გავლენის გაძლიერება ჩინეთსა და მანჯურიაში არ იწვევს ინგლისის იმპერიალიზმის განსაკუთრებულ აღფრთოვანებას. კიდევ უფრო მტრულია იაპონიის პოზიცია, რომელიც საბჭოთა კავშირის მონაწილეობას აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მართვა-გამგეობაში ურიგდებოდა სწორედ იმიტომ, რომ ეს მონაწილეობა არ იწვევდა არავითარ პოლიტიკურ შედეგს. იაპონია არასოდეს არ დაუშვებს, რომ ამ მხარეში დამყარდეს ამერიკის უპირატესი გავლენა. მეტად დამახასიათებელია, რომ სწორედ იმ დღეს, როცა საბჭოთა პრესაში გამოქვეყნდა ცნობები სტიმსონის ნოტის შესახებ, იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოშიზავამ საჭიროდ სცნო განეცხადებინა პრესის წარმომადგენლებისათვის, რომ იაპონიას არავითარ შემთხვევაში არ აქვს განზრახვა ჩაერიოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტში. ეს განცხადება წარმოადგენს პირდაპირ პასუხს სტიმსონის გამოსვლაზე, თუმცა ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ, რა ხდება დიპლომატიურ კაბინეტებში და საიდუმლო კონფერენციების დარბაზებში, მაგრამ ძნელი არ არის იმის მიხვედრა, რომ სტიმსონის გეგმის რეალიზაციას ჯერ-ჯერობით მეტად სერიოზული დაბრკოლებები ეღობება.

მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ამ რეალიზაციის პერსპექტივები, საბჭოთა კავშირის მშრომელნი მზად იქნებიან. საბჭოთა კავშირის მუშებმა და გლეხებმა იციან, და სტიმსონის ნოტამ ხელი შეუწყო უფრო კარგათ დაიხსომონ ის ჭეშმარიტება, რომ იმპერიალისტები, რომლებმაც ჩინელი გენერლების საშუალებით განახორციელეს აღმოს.-ჩინეთის რკინის გზის დაპყრობა, თავიანთ ბრჭყალებს აცოცებენ ამ გზისაკენ. თუ სტიმსონის გეგმა მიუღებელი შეიქნა, მის მაგივრად შეიძლება წამოაყენონ ახალი, იმ გვარივე პროექტი. თავის-თავად ცხადია, რომ საბჭოთა კავშირი ყოველგვარი საშუალებით შეუშლის ხელს იმპერიალისტების ცდებს—ჩაიგდონ ხელში აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა. საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მზად არიან უკუაგდონ ყოველგვარი შეტევა საბჭოთა ქვეყნის წინააღმდეგ და ყოველგვარი გალაშქრება მისი კანონიერი ინტერესების შესალახად, ვისი მხრივაც არ უნდა გამომდინარეობდეს ეს გალაშქრება.

„იზვესტია“, 8 აგვისტო.

მაკდონალდის მთავრობა ბანკირების ინტერესების სადარაჯოზე

სნოუდენი ჰააგაში მოითხოვს ინგლისის წილის გადიდებას სარეპარაციო გადასახადებში

გერმანიის დელეგაციას ეშინია, რომ განმარტოებული დარჩება სარეპარაციო კონფერენციაზე

ჰააგის კონფერენციაზე

ინგლისის პრეტენზიები

ჰააგა, 7 აგვისტო. 6 აგვისტოს, ბელგიის პრემიერის ჟასპარის თავმჯდომარეობით, მოხდა ჰააგის კონფერენციის პირველი საქმიანი სხდომა. სხდომა დახურული იყო. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი იმ სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან, „რომელთაც კონფერენცია მოიწვიეს“ (ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, ბელგია, იტალია და იაპონია). ამის შემდეგ უნდა განეხილათ საკითხი ორი კომისიის, — სარეპარაციო და პოლიტიკური კომისიების — დანიშვნის შესახებ. მაგრამ სნოუდენმა წინადადება შეიტანა ჯერ გახსნილიყო საერთო ხასიათის კამათი იუნგის გეგმის შესახებ. მან თავის სიტყვაში, რომელმაც ერთ საათს გასტანა, გამოსთქვა ინგლისის მთავრობის შეხედულება იუნგის გეგმაზე. სნოუდენმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა ეთანხმება გერმანიის სარეპარაციო ვალის საერთო ჯამის, აგრეთვე ყოველწლიური სარეპარაციო გადასახადების იმ რაოდენობას, რომელიც გათვალისწინებულია იუნგის გეგმით.

„იუნგის გეგმა, — სთქვა **სნოუდენმა,**— არ სცილდება გერმანიის ვალის გადახდის უნარიანობის ფარგლებს. ინგლისიც სავსებით ესალმება დაუესის გეგმის საფუძველზე არსებული კონტროლის გაუქმებას და გერმანიის ეკონომიური სუვერენიტეტის აღდგენას. მაგრამ არის სამი საკითხი, რომლებიც საქმეს აძნელებენ: საკითხი რეპარაციების გაყოფის და თან ორად განაწილების შესახებ, აქედან ერთი ნაწილი უნდა დაცულ იქნას ტრანსფერით. ხოლო მეორე — არა; საკითხი რეპარაციების იმ პროპორციის შეცვლის შესახებ, რომელიც დადგენილ იქნა სპაში და საკითხი ნატურით გადახდის შესახებ. იუნგის გეგმის ძალით, საფრანგეთი ყოველწლიურად 10.700.000 მარკით მეტს მიიღებს, ვიდრე წინად იღებდა, იტალია — 36.800.000 მარკით მეტს, ბელგია—12.200.000 მარკით მეტს, მაშინ, როდესაც **ინგლისი მიიღებს 48.000.000 მარკით ნაკლებს. პარიზის ექსპერტთა კონფერენციას არავითარი უფლება არა ჰქონდა შეეცვალა სპაში დადგენილი პროპორცია. არც ვერსალის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული ასეთი ცვლილებანი. ინგლისი ამჟამად ებრძვის სამეურნეო სიძნელეებს, ხოლო მსოფლიო ბაზარზე გერმანია დიდ კონკურენციას უწევს მას. ინგლისს არ შეუძლია გაიღოს იმაზე დიდი მსხვერპლი, რაც უკვე გაიღო“.**

სნოუდენის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რადგან აშკარაა, ინგლისს განზრახვა აქვს გადაჭრით დაიცვას თავისი თვალსაზრისი. სნოუდენის სიტყვის შემდეგ კონფერენციამ დაადგინა — განაგრძოს საერთო კამათი ოთხშაბათს დილის სხდომაზე (ადს).

გერმანიის დელეგაციის შიში

ჰააგა, 7 აგვისტო. კონფერენციის წრეებში ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ინგლისის დელეგაციის თავმჯდომარე **სნოუდენი თავის სიტყვაში სრულებით არ შეეხო რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხს, რომელსაც გერმანიის დელეგაცია კონფერენციის მთავარ პრობლემად და იუნგის გეგმის მიღების პირობად სთვლის.**

ეს ამაგრებს ფრანგების პოზიციას, რომლებიც სცდილობენ რეპარაციის საკითხი გამოჰყონ პოლიტიკური საკითხებიდან, აგრეთვე ევაკუაციის საკითხიდანაც და კონფერენციის მთელი ყურადღება შეაჩერონ რეპარაციებზე.

ინგლისის დელეგაციის ყოფაქცევა აძლიერებს გერმანიის წრეების შიშს იმის შესახებ, რომ ინგლისელები მხარს დაუჭერენ ბრიანის წინადადებას „შემარიგებელი კომიტეტის“ შექმნის შესახებ და, შეიძლება, ოკუპაციის გაგრძელების პროექტსაც.

გერმანელებს ეშინიათ, რომ ფრანგები ინგლისელების წინაშე დათმობაზე წავლენ სარეპარაციო თანხის მოკავშირეთა შორის განაწილების საკითხში (ადს).

კამათი იუნგის გეგმის შესახებ

ჰააგა, 7 აგვისტო. 7 აგვისტოს დილით დახურულ სხდომაზე განხილულ იქნა სხვადასხვა დელეგაციების პრინციპიალური დამოკიდებულება სარეპარაციო პრობლემებისადმი.

რუმინეთის დელეგატმა **ტიტულესკუმ** და საბერძნეთის დელეგატმა **ვენიზელოსმა** ერთსულოვნად აღიარეს, რომ მზად არიან დასთანხმდნენ, რათა სარეპარაციო საკითხი საბოლოოდ მოწესრიგდეს იუნგის გეგმის ფარგლებში ან ამ გეგმის გარეშე.

საფრანგეთის დელეგატმა **შერონმა** და იტალიის დელეგატმა **მარკონიმ** მოითხოვეს მიღება იუნგის გეგმის, როგორც მთლიანი კომპრომისის, რომელიც ყველა მონაწილისაგან მოითხოვს მსხვერპლის გაღებას.

სამხრეთ-სლავიის დელეგატმა **მარინკოვიჩმა** აღნიშნა, რომ სამხრეთ-სლავიის მთავრობა უფლებას იტოვებს შეიტანოს შესწორება იუნგის გეგმაში. მარინკოვიჩი ამ გეგმის მიღებას უკავშირებს ჰააგის კონფერენციის შედეგებს.

გერმანიის დელეგატმა **შტრეზემანმა** მოაგონა კონფერენციას, რომ გერმანიის მთავრობამ უკვე განაცხადა, რომ იგი მზად არის მიიღოს იუნგის გეგმა, როგორც სარეპარაციო საკითხების მოგვარების საფუძველი. შტრეზემანმა სთქვა, რომ, რადგან მსჯელობა მხოლოდ სარეპარაციო საკითხით არის განსაზღვრული, ამიტომ თავს იკავებს მასთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხების განხილვისაგან და უფლებას იტოვებს ილაპარაკოს მათ შესახებ პოლიტიკურ კომისიაში. (ადს).

სნოუდენის სიტყვის გამოძახილი

ჰააგა, 7 აგვისტო. კონფერენციის კულუარებში ამბობენ, რომ სნოუდენმა თავის სიტყვაში კონფერენციის დასაწყისშივე გადადგა ნაბიჯი იუნგის გეგმის შეცვლის სასარგებლოდ.

ყველა პოლიტიკურ წრეში აღნიშნავენ იმას, **რომ მაკდონალდის მთავრობას, როგორც ეტყობა, განზრახვა აქვს გადაჭრით დაიცვას ინგლისის კაპიტალის პოზიცია.**

ამ მხრით მეტად დამახასიათებელია ჰოლანდიური გაზეთის „ალგემაინ ჰანდელსბლად“-ის შენიშვნა: **„მუშათა პარტიის წარმომადგენელი ისე გაბედულად იცავდა ინგლისის მატერიალურ ინტერესებს, რომ მას ამაში ვერც ერთი კონსერვატორი ვერ აჯობებდა. ეტყობა, ინგლისის ფინანსიური ინტერესების დაცვის საქმეში მუშათა პარტია ლონდონის სიტისთან შეთანხმებით მოქმედებს. იგი აგრეთვე ინგლისის მრეწველობასთან ხელიხელ ჩაკიდებული ებრძვის გერმანიის კონკურენციას, რომლის განვითარებასაც ხელი შეუწყო ნატურით გადასახადმა. (ადს).**

პრესის გამოძახილი სნოუდენის სიტყვაზე

პარიზი, 8 აგვისტო. მთელი ფრანგული პრესა მკაცრად ილაშქრებს სნოუდენის გამოსვლის წინააღმდეგ ჰააგაში.

„ტან“-ი აცხადებს, რომ **სნოუდენის გამარჯვება ჰააგაში იუნგის გეგმის სრული დარღვევის მომასწავებელი იქნებოდაო. გაზეთი აფრთხილებს სნოუდენს, რომ მას ერთსულოვან წინააღმდეგობას გაუწევენ საფრანგეთი, იტალია, ბელგია და იაპონია (ადს).**

ჩინეთი და საბჭოთა კავშირი

ვან-ჯენ-ტინის განცხადება

შანჰაი, 7 აგვისტო. გომინის სააგენტო გადმოგვცემს ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ვან-ჯენ-ტინის შემდეგ განცხადებას:

„გამართლდა ის აზრი, რომ საბჭოთა კავშირი ოფიციალური მოლაპარაკების დაწყებამდე წამოაყენებდა მოთხოვნას. მაგრამ ჩინეთი ფორმალური მოლაპარაკების დაწყებამდე საბჭოთა კავშირის არავითარ პირობაზე არ დასთანხმდება. ნანკინის მთავრობას არა ერთხელ განუცხადებია, რომ ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილება შეიძლება მხოლოდ მოლაპარაკების გზით“.

შემდეგ ვან-ჯენ-ტინმა განაცხადა, რომ ამ კონფლიქტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩინეთის და არა მარტო მანჯურიის—საერთო ინტერესებიო (ადს).

ტოკიო, 7 აგვისტო. დემპო ცუსინის სააგენტოს ცნობით, ვან-ჯენ-ტინმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ მოლაპარაკების წარმატება მთლიანად საბჭოთა მთავრობის გულწრფელობაზეა დამოკიდებული; ნანკინის მთავრობა ყოველთვის მზადაა დაიწყოს მოლაპარაკება. (ადს).

უარს ამბობენ კომენტარიებზე

ვაშინგტონი, 7 აგვისტო. სახელმწიფო დეპარტამენტში უარი განაცხადეს გაუკეთონ კომენტარიები მოსკოვიდან გადაცემულ იმ ცნობას, რომ სტიმსონმა სახელმწიფოებს დაუგზავნა ნოტა, რომელშიაც წინადადებას იძლევა მოეწყოს საერთაშორისო კომისია აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე შექმნილი მდგომარეობის განსახილველად.

კოტონმა, რომელიც სტიმსონის მოადგილეა, მისი სხვაგან ყოფნის დროს, განაცხადა, რომ ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების რესპუბლიკა დაინტერესებულია ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის ნაბიჯში, რომელიც მიმართული იქნება კონფლიქტის მოგვარებისაკენ. (ადს).

რჩევას აძლევენ ნანკინს

პეკინი, 7 აგვისტო. „ტიანძინ ი-ში-ბაო“ მოითხოვს, რომ ნანკინის მთავრობამ არ გადაუხვიოს იმ მაგარ პოზიციას, რომელიც მას დღემდე ეჭირა საბჭოთა კავშირის მიმართ.

„ტიანძინ ტაკუნ-ბაო“ სწერს, რომ დიდხანს არ უნდა გაგრძელდეს დღევანდელი მდგომარეობა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საკითხი არც მაგდენად რთული საკითხია, რადგან ჩინეთი სრულიადაც არ ფიქრობს ხელთ ჩაიგდოს საბჭ. კავშირის უფლებები აღ.-ჩინეთის რკინის გზის მიმართ. ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ჩინეთისათვის საკითხი დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის შესახებო.

მშრომელთა პასუხი ჩინელ ხუნხუზებს

ჩიტა, 8 აგვისტო. ვინაიდან კონფლიქტმა ჩინეთთან ხანგრძლივი ხასიათი მიიღო, პარტიზანები და გლეხთა კრებები აცხადებენ, რომ მზად არიან გამოვიდნენ ყოველ წუთში, მუშები გზავნიან დელეგაციებს წითელ არმიაში და აცხადებენ, რომ მხარში ამოუდგებიან მას.

საბჭოთა მოსამსახურეების ჯგუფის ჩამოსვლა

ხაბაროვსკი, 8 აგვისტო. ვლადივოსტოკში ჩამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების და სავაჭრო დაწესებულებების თანამშრომელთა მორიგი ჯგუფი. (ადს).

ჩან-კაი-ში გადადგომას აპირებს?

შანხაი, 8 აგვისტო. ჩან-კაი-ში შანხაიში ჩავიდა იმ მიზნით, რომ ფინანსთა მინისტრს სუნ-ძი-ვენს უკან წაალებინოს გადადგომის თხოვნა. ამერიკელი გაზეთი „ივნინგ პოსტ“-ი ამის გამო აქვეყნებს სენსაციურ ცნობას იმის შესახებ, რომ თვით ჩან-კაი-შიც აპირებს გადადგომასო.

გაზეთის სიტყვით, გადადგომის მიზეზია ის, რომ ჩან-კაი-შის „არ შეუძლია ჩააბაროს ეროვნული შემოსავლის მილიონიანი თანხების ანგარიშები“, აგრეთვე ის, რომ ჩან-კაი-შის არ შეუძლია, თუნდაც ძალით, დაიმორჩილოს ცნობილი გენერლები, რომლებიც სულ ახალ-ახალ ფულს მოითხოვენ.

გაზეთის აზრით, ვან-ძინ-ვეის ჩამოსვლამდე, რომელსაც ვითომ მხარს უჭერენ გავლენიანი გენერლები, ადმინისტრაციას სათავეში ჩაუდგება ტან-ენ-კაი, გაზეთი ფიქრობს, რომ გენერლების მხარის დაჭერა გულწრფელი არ არის, ამიტომ შეიძლება მოვლენები ისე განვითარდეს, რომ მათ „მეტად ქაოტიური ხასიათი“ მიიღონ.

რამდენად მართალია გაზეთის ეს ცნობები, ჯერ-ჯერობით მეტად ძნელი გამოსარკვევია. (ადს).

იაპონია არ აპირებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტში ჩარევას

ტოკიო, 7 აგვისტო. იაპონიის ელჩმა ჩინეთში იოსიზავამ განუცხადა პრესის წარმომადგენლებს, რომ იაპონია არავითარ შემთხვევაში არ აპირებს ჩაერიოს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე მომხდარ კონფლიქტში, დამოუკიდებლად იმისა, დაიწყებს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთს შორის უშუალო მოლაპარაკება თუ არა. (ადს).

„ძი-ძი“-ს ცნობა

ტოკიო, 7 აგვისტო. „ძი-ძი“ ნანკინიდან იუწყება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა უარჰყოს საბჭოთა მთავრობის მოთხოვნა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის საბჭოთა თანამშრომლების აღდგენის შესახებ, მას სურს დაიწყოს მოლაპარაკება ამ წინასწარი პირობის გარეშე. (ადს).

ჩან-კაი-შის „მანიფესტი“ არმიის შემცირების შესახებ

შანხაი, 8 აგვისტო. ჩან-კაი-შიმ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიც აღნიშნულია არმიის შემცირების აუცილებლობა. ჩან-კაი-შის სიტყვით, არმია უნდა დავიდეს 800.000 კაცამდე. ჩან-კაი-ში მიუთითებს იმაზე, რომ ცენტრალურ და პროვინციალურ მთავრობებს არ შეუძლიათ დაფარონ არმიის და სხვადასხვა სამხედრო დაწესებულებების ხარჯები, რომლებიც 396 მილიონ დოლარს აღწევენ იმ დროს, როდესაც ეროვნული შემოსავალი 450 მილიონს უდრის. არმიის აღნიშნულ ნორმაზე შემცირების შემდეგაც კი სამხედრო ხარჯები მთელი ბიუჯეტის 60 პროცენტს შეადგენენ.

დასასრულ ჩან-კაი-ში ამბობს: „თუ არმიას არ შევამცირებთ, მთავრობას აღარ დარჩება მომავლის არავითარი იმედი“. (ადს).

ჩინელი ინჟინრები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე

ტოკიო, 7 აგვისტო. ხარბინში შიდა ჩინეთიდან ჩავიდა 30 ჩინელი ინჟინერი, რომლებიც სხვადასხვა თანამდებობაზე ინიშნებიან აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე. (ადს).

თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

თურქეთის მოსკოველი ელჩის განცხადება

სტამბოლი, 7 აგვისტო. თურქეთის ელჩმა მოსკოვში **ჰუსეინ რაგიბ-ბეიმ** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მომავალი მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან იწარმოებს არა ახალი ხელშეკრულების დადების შესახებ, არამედ არსებული ხელშეკრულების განხორციელების წესის შესახებო. მოლაპარაკების დაწყება ორ-სამ თვეზე ადრე არ არის მოსალოდნელი.

რაგიბ-ბეიმ აღნიშნა, რომ თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობა მუდამ მეგობრულია. ათი წლის განმავლობაში ეს ურთიერთობა თანდათან ვითარდებოდა და ღრმავდებოდა. (ადს).

ლატვიაში ფაშისტური გადატრიალება მზადდება

რიგა, 7 აგვისტო. ფაშისტური „ლატვია“ იცავს დეკრეტს არმიის რეორგანიზაციის შესახებ, აშკარად გამოდის სეიმის წინააღმდეგ და მოუწოდებს „ნაციონალურად მოაზროვნე მოქალაქეებს—შემჭიდროვდნენ ძლიერი ნაციონალური ხელისუფლების შესაქმნელად“.

გაზეთი სწერს, რომ „უკვე დაიწყო ამ ნაციონალურ ძალთა კონსოლიდაციის პროცესი“. გაზეთის მთელს წერილში ძლიერ მკაფიოდ მოისმის მოწოდება ფაშისტური გადატრიალებისაკენ. (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

რიგა, 7 აგვისტო. გაზეთების ცნობით, დვინსკში და მის რაიონში დაპატიმრებულია 12 კაცი, მათ შორის დამოუკიდებელი სოციალისტების ბელადი კისსინი და ქალაქის საბჭოს მუშურ-გლეხური ფრაქციის ხმოსანი პავლე სოკოლოვსკი. დაპატიმრებულია აგრეთვე სამუილ გურევიჩი, რომელსაც, თითქოს, უპოვეს „მოსკოვიდან მიღებული ინსტრუქციები“. გარდა ამისა ლივანში დაპატიმრებულია კომუნისტური უჯრედის 7 წევრი.

ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების საფუძვლები

ლონდონი, 7 აგვისტო. საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ის წინადადებანი, რომლებიც საფუძვლად უნდა დაედოს ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულებებს. წინადადებები ჩამოყალიბებულია 16 მუხლში. მათ შორის არის ასეთი მუხლები: ინგლისმა უნდა შესწყვიტოს ეგვიპტის სამხედრო ოკუპაცია; ინგლისი კისრულობს მხარი დაუჭიროს ეგვიპტის შუამდგომლობას ერთა ლიგაში მისი მიღების შესახებ; ხელშეკრულების თვითეულ მონაწილეს ევალება — არ დაიჭიროს უცხო სახელმწიფოებს შორის ისეთი პოზიცია, რომელიც არ შეესაბამება ინგლის - ეგვიპტის კავშირს; ეგვიპტეში უცხოელთა ცხოვრებისა და ქონებისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება ეგვიპტის მთავრობას. იმ შემთხვევაში, თუ ომი ატყდა, ინგლისი და ეგვიპტე მოქმედებენ, როგორც მოკავშირეები, ეგვიპტე აძლევს ინგლისს ყოველგვარ შეღავათს, სხვათა შორის ნავთსადგურებით, აეროდრომებითა და გზებით სარგებლობის უფლებას; თუ ეგვიპტის ჯარს უცხოელი ინსტრუქტორები დასჭირდა, ასეთ ინსტრუქტორებად ინგლისელი აფიცრები უნდა იყვნენ; სუეცის არხის დასაცავად საჭირო ინგლისის სამხედრო ძალები უნდა იმყოფებოდნენ იმ ადგილებში, რომელნიც მდებარეობენ აღმოსავლეთის სიგრძიდის 32 გრადუსის აღმოსავლეთით; წესად უნდა იქნას მიღებული, რომ ის უცხოელი მოხელეები, რომლებიც ეგვიპტის მთავრობის სამსახურში ირიცხებიან, ინგლისის მოქალაქეები იყვნენ; ინგლისს ევალება დაარწმუნოს ის სახელმწიფოები, რომლებიც ეგვიპტეში კაპიტულიაციის უფლებებით სარგებლობენ, დასთანხმდნენ, რომ შერეულმა სასამართლოებმა გაარჩიონ ის საქმეები, რომელთაც საკონსულო სასამართლოები არჩევენ, აგრეთვე გამოყენებულ იქნას უცხოელების მიმართ ეგვიპტის კანონმდებლობა. ინგლისის წარმომადგენლად ეგვიპტეში იქნება ელჩი კაირში, ხოლო ეგვიპტეს წარმომადგენლად ინგლისში—ელჩი ლონდონში; სუდანის უფლებრივი მდგომარეობა, როგორც წინად, დამყარებული იქნება 1899 წლის კონვენციებზე, მაგრამ მხარეების ინარჩუნებენ უფლებას — შესცვალონ ეს კონვენციები (კონვენციები აწესრიგებენ სუდანში „ინგლის - ეგვიპტის საერთო სუვერენიტეტის“ განხორციელების საქმეს). ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულება დაიდება 25 წლით. (ადს).

ინგლისური გაზეთები ინგლის-ეგვიპტის ხელშეკრულების შესახებ

ლონდონი, 7 აგვისტო. კონსერვატიული გაზეთები აკრიტიკებენ იმ ეგრედწოდებულ „წინადადებებს“, რომლებიც ინგლის-ეგვიპტეს ხელშეკრულებას უნდა დაედოს საფუძვლად.

„დეილი ტელეგრაფ“-ი განსაკუთრებით წინააღმდეგია იმის, რომ ინგლისმა უარი სთქვას „უცხოელთა დაცვა“-ზე ეგვიპტეში. გაზეთის თქმით, განსაზღვრულ პირობებში რომელიმე სხვა სახელმწიფოს შეუძლია თავისი ჯარი გადასხას ეგვიპტეში, გაზეთი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ეგვიპტეს შეუძლია ნეიტრალიტეტი გამოაცხადოს, როდესაც ინგლისი რომელიმე მესამე სახელმწიფოსთან ომს დაიწყებს.

„მორნინგ პოსტ“-ი აცხადებს, რომ „ეგვიპტეს არა აქვს დამოუკიდებლად არსებობის უნარი“ და ინგლისის „დათმობებს“ შეუძლიათ გამოიწვიონ ის, რომ რომელიმე სხვა სახელმწიფო მოახდენს ეგვიპტეს ოკუპაციას.

უფრო თავდაჭერილად სწერს „ტაიმს“-ი.

ლიბერალური გაზეთები სიხარულით ხვდებიან იმ წინადადებებს, რომლებიც ინგლის-ეგვიპტეს ხელშეკრულებას უნდა დაედოს საფუძვლად და პირდებიან მთავრობას, რომ ლიბერალები ამ საკითხში მას სავსებით მხარს დაუჭერენ. (ადს).

ნახას-ფაშას მოწოდება

ლონდონი, 7 აგვისტო. კაირიდან მიღებული ცნობით, ნახას-ფაშამ (ეგვიპტეს ყოფილი პრემიერი და ნაციონალისტური პარტიის —„ვაფდის“ ბელადი) გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიც მოითხოვს ეგვიპტეში კონსტიტუციური წყობილების დაუყოვნებლივ აღდგენას. ნახას-ფაშა აღნიშნავს, რომ პარლამენტის ახალი არჩევნები უნდა ჩაატაროს ახალმა მთავრობამ და არა მახმუდ-ფაშას ახლანდელმა კაბინეტმა, რომელმაც დაარღვია კონსტიტუცია და ეგვიპტეში დიქტატურა შემოიღო. შემდეგ ნახას-ფაშა მოუწოდებს ყველა მოქალაქეს „არ უპასუხონ დემონსტრაციებით ინგლის-ეგვიპტეს ხელშეკრულების პროექტზე, არამედ დამშვიდებით შეისწავლონ იგი“ (ადს).

დარბაზობა ბერლინში

„საბჭოთა ფრთების“ გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად

ბერლინი, 7 აგვისტო. „საბჭოთა ფრთები“-ს გადაფრენის მონაწილეთა პატივსაცემად საჰაერო მიმოსვლის გერმანულმა საზოგადოებამ „ლიუფტჰანზა“-მ გამართა უაღრესად გულთბილი და მეგობრული მიღება, რომელსაც დაესწრნენ ავიაციის ცნობილი გერმანელი მოღვაწენი და სპეციალისტები.

სპეციალისტების ერთსულოვანი განცხადებებით, „საბჭოთა ფრთებმა“ და მფრინავმა გრომოვმა განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწიეს. გერმანელი მოღვაწენი, ხაზგასმით აღნიშნავდნენ გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრულ თანამშრომლობას ავიაციაში და გამოსთქვამდნენ იმედს, რომ ეს თანამშრომლობა შემდეგში უფრო მეტად განვითარდება.

ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაცია

ლენინური სიმტკიცით გააჯანსაღებს თავის რიგებს

აზერბაიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმის დეპეშები

ბაქო, 8 აგვისტო. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) საკონტროლო კომისიის გაერთიანებულმა პლენუმმა, რომელმაც 5 აგვისტოს დაამთავრა მუშაობა, შემდეგი შინაარსის დეპეშები გაუგზავნა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალურ საკონტროლო კომისიას და ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტს:

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი
ამხ. სტალინსა და მოლოტოვს

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება აზერბეიჯანის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგებისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ, ესალმება ამ გადაწყვეტილებებს. გაერთიანებულ პლენუმს სავსებით სწორად და დროულად მიაჩნია ცენტრალური კომიტეტის ჩარევა აზერბეიჯანის საქმეებში და აზერბეიჯანის ძველი ხელმძღვანელობის შეცვლა. ვარწმუნებთ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ფართო პროლეტარული მასების მოზიდვის საფუძველზე ყველა მისი გადაწყვეტილება სწრაფად და გადაჭრით განხორციელდება.

გაუმარჯოს ლენინური პარტიის შტაბს—საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს!

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისია. ამხ. ორჯონიკიძეს და იაროსლავსკის.

„აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი, რომელმაც მოისმინა მოხსენება აზერბეიჯანის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების შესახებ, აღუთქვამს ცენტრალურ საკონტროლო კომისიას, რომ აზერბეიჯანის ორგანიზაცია შემდგომ მუშაობაში ენერგიულად გაატარებს ცხოვრებაში თვითკრიტიკის ბოლშევიკურ ლოზუნგს, „პიროვნების განურჩევლად. მივესალმებით ცენტრალურ საკონტროლო კომისიას — პარტიის ლენინური სიწმინდის ერთგულ დარაჯს და მედგარ მებრძოლს ყოველგვარი გადახრის წინააღმდეგ ლენინური ხაზიდან, პირველ რიგში მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ, რომელიც ამჟამად განსაკუთრებით საშიშია, აღგითქვამთ, რომ უახლოეს დროში მთელი ბოლშევიკური სიმკაცრით აღმოვფხვრით გახრწნის, ოჯახური ურთიერთობისა და თვითკრიტიკის ჩახშობის ფესვებს“.

—:—

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის გაფართოებული პლენუმი

ბაქო, 8 აგვისტო. დღეს კულტურის სასახლეში გაიხსნა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ბაქოს კომიტეტის გაფართოებული პლენუმი პარტიის წევრ დაზგის მუშებთან ერთად.

დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი ინსტრუქტორის ამხ. პშენიცინის მოხსენება, აზერბეიჯანის ორგანიზაციის გამოკვლევის შედეგების შესახებ და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებანი. საორგანიზაციო საკითხები (ადს).

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი

ბაქო, 8 აგვისტო. 6 აგვისტოს შესდგა აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომისიის წევრად ერთხმად არჩეულ იქნა ამხ. **ნემცევი** — პარტიის წევრი 1898 წლიდან. ამ უკანასკნელ დრომდე ამხ. ნემცევი მუშაობდა საბჭოთა კავშირის უზენაეს სასამართლოს წევრად. ამავე დროს ამხ. ნემცევი იყო რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების პასუხისმგებელი მდივანი.

აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) პარტკოლეგიის მდივნად დროებით არჩეულ იქნა ამხ. **ვანო სტურუა,** პრეზიდიუმის წევრად არჩეულ იქნენ: **თეიმურ გუსეინოვი, ალახვერდოვი** — მუშა, **ალამალი კასუმოვი** —მუშა, **ნიკიტინი** (განჯა) — მუშა, **სერგეი ვლადიმიროვი** (ქალაქის რაიონი), **ალი ბაბა** — მუშა, **ელისაბედ ივანოვა** — პროფმუშაკი, **ტიშინოვი** — მუშა, **მახმუდ დაუთოვი** — მუშა, **ვატაგინი** — მუშა, **ზრივინი** — მუშა, **აბას რამაზანი**—მუშა, **რაგიმ რაგიმოვი** — მუშა, **ვედზელიტი, აზრბა.**

პარტკოლეგია დამტკიცებულია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. **ნემცევი, ვანო სტურუა, აბას გაჯიევი** — მუშა, **ზოხრაბოვი** — მუშა, **ნოვიკოვი** — მუშა, **მახმუდოვი** — მუშა, **ფ. ნოვიკოვი** — მუშა, **ვორონინი** — მუშა და **ვედზელიტი.** (ადს).

ნობილეს ექსპედიციის მონაწილეთა ძებნა

ყინულის მჭრელი „სედოვ“-ი, 8 აგვისტო. ალბერტინის ექსპედიციამ (იტალიელები), რომელიც ნობილეს ექსპედიციის უგზოუკვლოდ დაკარგულ მონაწილეებს დაეძებს, რადიო - კავშირი გააბა ჩვენ ყინულის მჭრელთან. ყინულის მჭრელი ექსპედიციას შეჰპირდა მიაწოდოს ყოველდღიურად ცნობები ყინულის და ქარის მდგომარეობის შესახებ ფრანც იოსების მიწის რაიონში.

კარგი დარები ხელს უწყობენ ექსპედიციის წევრთა საგამოკვლეო მუშაობას. აღმოჩენილ იქნა ორი დიდი და 4 პატარა ტბა და პირამიდა, რომელიც თავის დროზე ბაზალტის ნატეხებისაგან ააგო სედოვის ექსპედიციამ (ადს).

საბჭოთა ექსპედიცია მონღოლეთში

ულან - ბატორი, 7 აგვისტო. მინდვრის მავნებლებთან მებრძოლმა საბჭოთა ექსპედიციამ, რომელიც მიწვეული იყო მონღოლეთის მთავრობის მიერ, მუშაობა დაამთავრა. ექსპედიციამ კალიისაგან გასწმინდა 22.500 ჰექტარი მონღოლეთის ჩრდილოეთ რაიონში, ხოლო აღმოსავლეთ რაიონში შემოიღო თაგვის მასიურ გავრცელებასთან ბრძოლის მუდმივი მეთოდები. მონღოლეთის საზოგადოებრივი წრეები დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამენ ექსპედიციის მუშაობის გამო (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გამომჟღავნებული პირფერობა

მოსკოვი, 8 აგვისტო, „პრავდა“ ასეთი სათაურით ათავსებს წერილს აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზის გარშემო შექმნილ მდგომარეობის შესახებ. გაზეთი სწერს:

ამერიკისა და საფრანგეთის იმპერიალისტებს განზრახვა აქვთ ხელთ ჩაიგდონ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა. მუკდენის გენერლები იმპერიალისტების თანხმობით და წაქეზებით ემზადებოდნენ რკინის გზის ყაჩაღურად ხელში ჩაგდებისათვის.

ნანკინის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნ-ფომ დეპეშათა სააგენტოს ტაჩუნის თანამშრომელს განუცხადა, რომ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზა მუკდენის ხელისუფლებამ ნანკინის პირდაპირი განკარგულებით დაიკავა. ამასთანავე სუნ-ფომ აცნობა ხსენებულ სააგენტოს თანამშრომელს, რომ ნანკინის მთავრობა მიიღებს ზომებს აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის მმართველობის თავის ხელში ასაღებად.

სანამ მუკდენის მილიტარისტები ყაჩაღურ თავდასხმას მოახდენდნენ, ნანკინში ჩავიდა ამერიკელი მრჩეველი რკინის გზათა საქმეებში მანტელი. აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინის გზაზე თავდასხმისათვის სამზადისის შესახებ მანტელმა ყოველივე კარგად იცოდა.

ამრიგად, სწერს „პრავდა“, ბრიანის პირფერული „მშვიდობიანობის“ მოყვარულობა, ჰენდერსონისა და ბრიანის შეხმატკბილებული გამოსვლა და სტიმსონის საიდუმლო ნოტა აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზის შესახებ ერთ მიზანს ისახავს—ეს არის აღნიშნული რკინის გზის ხელში ჩაგდება და საბჭოთა კავშირის მშრალზე დატოვება. მაგრამ საფრანგეთ - ამერიკის იმპერიალისტები ამ საკითხში სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდენ იაპონიის მხრით, რომელიც მანჯურიას მისჩერებია, როგორც თავის გავლენის სფეროს, და რომელიც ასე ადვილად ვერ შეურიგდება სხვა იმპერიალისტების გაბატონებას ჩინეთის ამ კუთხეში. საფრანგეთ - ამერიკის იმპერიალისტების ზრახვანი ფუჭ ოცნებად უნდა ჩაითვალოს, რადგან საბჭოთა კავშირის მშრომელი მასები მუდამ მზად არიან, ღირსეული პასუხი გასცენ თავგასულ იმპერიალისტებს.

ინდუსტრიალიზაციის დღის შედეგები საბჭოთა რუსეთში

მოსკოვი, 8 აგვისტო. მთელი პრესა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ინდუსტრიალიზაციის დღის შედეგებს საბჭოთა რუსეთში. ყოველი მხრიდან მოდის ცნობა, რომ ინდუსტრიალიზაციის დღე დიდი წარმატებით ჩატარდა. მუშები უკლებლივ გამოცხადდნენ სამუშაოზე. შრომის ნაყოფიერება ამ დღეს არაჩვეულებრივად დიდი იყო. ბევრგან 6 საათის განმავლობაში შეასრულეს რვა საათის სამუშაო. სამუშაოზე გამოვიდნენ ისინიც კი, ვინც მორიგ შვებულებაში იმყოფებოდა.

მუშები მოითხოვენ მთავრობისაგან, რომ 6 აგვისტო საბჭოთა რუსეთში უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში გამოცხადებულ იქნას ინდუსტრიალიზაციის დღეთ.

გაწმენდილთა მაგიერ დაწინაურებული მუშები

მოსკოვი, 8 აგვისტო. პროფესიონალური კავშირების ცენტრალური გამგეობანი შეუდგნენ სამზადისს იმისათვის, რომ აპარატის წმენდის დროს გამოაშკარავებულ უცხო ელემენტების შესაცვლელად შეარჩიონ დაზგის მუშების კადრები. საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ცეკა სხვადასხვა ქალაქებში აწყობს მუშათა გადასამზადებელ კურსებს. ამასთანავე მიღებულია ზომები მუშათა რეზერვის შესაქმნელად, რომ გაწმენდილთა ადგილას რაც შეიძლება სასწრაფოდ წამოყენებულ იქნან ახალი კანდიდატები.

„კაპიტალი“ ქართულ ენაზე

გუშინ ცეკავშირში, ამხ. მალაქია ტოროშელიძის კაბინეტში, შესდგა „კომუნისტი“-ს რედაქციის ინიციატივით მოწვეული თათბირი იმ ტეხნიკური საკითხების გამოსარკვევად, რომლებიც დაკავშირებულია კ. მარქსის „კაპიტალი“-ს ქართულ ენაზე გამოცემასთან. თათბირში მონაწილეობა მიიღეს „კაპიტალი“-ს ქართული თარგმანის რედაქტორებმა, სახელგამის, „კომუნისტი“-ს რედაქციისა და პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბის წარმომადგენლებმა.

მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ წიგნი აიწყოს არა მანქანებზე (ლინოტიპები), არამედ ხელით, „კაპიტალი“-ს ტექსტის სპეციფიურობის და აწყობის სიძნელის გამო. თათბირი შეეხო სპეციალურად კორექტურის საკითხს: გამოყოფილ იქნა დახელოვნებულ კორექტორთა შემადგენლობა და კერძოდ დანიშნული კორექტორი-კონტროლიორი, რომელსაც დავალებული ექნება ამავე დროს გამოცემის ხელმძღვანელობაც. წიგნის გამოცემა ნავარაუდევია 3 ნახ. თვეში, დაწყებული 15 აგვისტოდან, როდესაც პოლიგრაფტრესტის პირველი სტამბა შეუდგება უკვე დამზადებული მასალის ნაწილის წყობას.

სტამბა უკვე შეუდგა საჭირო წინასწარი ტეხნიკური ზომების მიღებას: წიგნი აიწყობა სრულიად ახალი, სპეციალურად ამ მიზნით დამზადებული შრიფტით.

ღამის ცნობები

ინგლისის პრესა ჰააგის კონფერენციის შესახებ

ლონდონი, 8 აგვისტო. ინგლისის პრესა ჰააგის კონფერენციის გახსნის გამო სწერს, რომ კონფერენციაზე გამართება „ხანგრძლივი ვაჭრობა" და საეჭვოა მალე იქნას მიღწეული შეთანხმება. „დეილი ტელეგრაფ"-ის დიპლომატიური მიმომხილველი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ არ მოისურვა კონფერენციაზე მონაწილეობის მიღება და დაკმაყოფილდა მხოლოდ თავისი „მეთვალყურის" გაგზავნითი (ადს).

ინტერესი საბჭოთა კავშირის ვაჭრობისადმი

ლონდონი, 8 აგვისტო. „ივნინგ სტანდარტი" (კონსერვატორების საღამოს გაზეთი) განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ჩრდილო - ამერიკის შეერთ. შტატების საქმიანი წრეების ინტერესი საბჭოთა კავშირის ვაჭრობისადმი განუწყვეტლივ იზრდება. გაზეთი გადმოგვცემს და აგრეთვე დაჟინებით ამბობენ, რომ ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების მთავრობა განიხილავს საბჭოთა კავშირის ცნობის საკითხსო.

ინგლისელი სპეციალისტის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა და ბაქოში მიემგზავრება ინჟ. აირვინგ ჩიტენდენი.

ბაქოდან ინჟ. ჩიტენდენი მიემგზავრება მოსკოვში „ნავთის სინდიკატის" წარმომადგენლებთან მოსალაპარაკებლად.

უმუშევრობა ინგლისში

ლონდონი, 7 აგვისტო. ოფიციალურად აღრიცხულ უმუშევართა რიცხვი ინგლისში 29 ივლისისთვის შეადგენდა 1.154.100 კაცს, ე. ი. 31.457 კაცით მეტს, ვიდრე წინა კვირაში. (ადს).

რუმინეთი აძლიერებს თავის ფლოტს

ვენა, 7 აგვისტო. ბუქარესტში ჩავიდა ფრანგი ექსპერტების კომისია, რომელმაც მონაწილეობა უნდა მიიღოს რუმინეთის სამხედრო ფლოტის გაძლიერების საკითხის დამუშავებაში. (ადს).

მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი

კარლსბადი, 7 აგვისტო. ჭადრაკის საერთაშორისო ტურნირის მე-7 ტურში შპილმანმა მოუგო ონერს, მატისონმა—ეიტს, კაპაბლანკამ—ვერა გენჩიკს და ეიუემ—ტრეიბალს, მაროცი-ვიდმარის, ტარტაკოვერ-კოლის, რუბინშტეინ-ზემიშის, ბოგოლიუბოვ-მარშალის, კანალ-გრიუნფელდის, ბეკერ-ნიმცოვიჩის და ტომას-გილმის პარტიები ყაიმით დამთავრდა. (ადს).

სხვადასხვა

- ტერიოკში (ფინეთი) გამართა დღესასწაული ინგერმანლანდიის თეთრგვარდიელთა რაზმების ათი წლის თავის გამო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული სიტყვა წარმოსთქვა სამხედრო აკადემიის უფროსმა, პოლკოვნიკმა ჰეინრიკსმა. მის გამოსვლას შეეხნენ სხვადასხვა ფინური გაზეთები. პრესა იგონებს იმ სავალალო შედეგებს, რაც ამ ათი წლის წინად ფინეთის ავანტიურას მოჰყვა, და სასტიკად ჰგმობს ჰეინრიკსისა და მისი დამქაშების უპასუხისმგებლო გამოსვლებს.
„კანსან კიუ" სწერს: „თუ მთავრობამ საჭირო ზომები არ მიიღო, ეს საკითხი უნდა განიხილოს სეიმმა და მთავრობას მიეცეს შეკითხვა. საჭიროა, ფინეთი ანგარიშს უწევდეს მშვიდობიან ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ინგერმანლანდია რუსეთის შემადგენლობაში შედის". (ადს).
- გაიხსნა პირდაპირი კავშირი რადიოთი ბერლინსა და მექსიკის დედა-ქალაქს შორის. (ადს).
- ანზაკის კომუნის (საფრანგეთი) მერი კომუნისტი ტექსიე თანამდებობიდან გადააყენეს იმისათვის, რომ მან 14 ივლისს (ბასტილიის აღების წლის თავი, რომელიც ეროვნულ დღესასწაულს წარმოადგენს) განკარგულება გასცა—კომუნალურ შენობებზე სამფეროვანი დროშების ნაცვლად წითელი დროშები აემართათ. (ადს).
- ნანკინის მთავრობის ფინანსთა მინისტრი სუნ-ძენ-ვენი გადადგა, ვინაიდან არ ეთანხმება სამხედრო ლიდერთა კონფერენციის გადაწყვეტილებებს არმიის დემობილიზაციის საკითხში. (ადს).

183-ის პროცესი

პრაღა, 7 აგვისტო. თანდათან ირკვევა, რომ მიუხედავად პოლიციის ღონისძიებებისა, წითელი დღე ჩეხო-სლოვაკიაში მრავალრიცხოვანი მანიფესტაციებით აღინიშნა. პრაღაში განსაკუთრებით ძლიერი დემონსტრაციები გაიმართა პროლეტარულ უბანში—ჟიჟკოვში დემონსტრაციები ღამემდე გაგრძელდა, ამიტომ პოლიციამ ზოგიერთ ჩუჩაში საალყო წესები გამოაცხადა.

ჩრდილოეთ - ჩეხიის სამრეწველო ქალაქებში მოეწყო ძლიერი მანიფესტაციები, რომლებსაც პოლიცამ ხელი ვერ შეუშალა. ეგერში დემონსტრაციაში ათასმა გაფიცულმა მუშამ მიიღო მონაწილეობა, ნაიდეკსა და ხოდოვში—თვითეულში 1.500 მუშამ. განსაკუთრებით დიდი მანიფესტაციები გაიმართა იმიერ კარპატის უკრაინაში.

გაზეთების ცნობით, მთელს სახელმწიფოში 1-ლ აგვისტოს 50 ორატორი დააპატიმრეს, მათ შორის 8 კომუნისტი დეპუტატი. დაპატიმრებულ დემონსტრატთა რიცხვი 150-ს უდრის. ბევრ მათგანს პასუხისგებაში აძლევენ. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, მზად დება „მონსტრ 183-ის პროცესი", კომუნისტმა ლემაკმა თავისი დაპატიმრების მომენტიდან შიმშილი გამოაცხადა. (ადს).

ახალგაზრდობის საერთაშორისო სოც. შეჯიბრება

მოსკოვი, 8 აგვისტო. საკავშირო ახალგ. ლენ. კომკავშირის ც. კ-თან გამართა თათბირი საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრების მოწყობის შესახებ. თათბირს დაესწრენ საკავშირო კომკავშირის ც.კ.-ის, ახალგ. კომინტერნის, აგიტპროპ - ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენლები, „კომსომოლსკაია პრავდა"-ს რედაქციის და საკავშირო პროფსაბჭოს წარმომადგენელნი. თათბირზე აღნიშნეს, რომ საერთაშორისო რევოლიუციონურმა შეჯიბრებამ წინ უნდა წასწიოს ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდა როგორც საბჭოთა კავშირში, ისე საზღვარ-გარეთ. შეჯიბრების მეორე ამოცანას უნდა შეადგენდეს—უჩვენოს ჩვენს ახალგაზრდობას, რომ მისი მონაწილეობა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მშენებლობაში არ არის მოწყვეტილი საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას. შეჯიბრება ჩატარებულ იქნას არა მარტო საბჭოთა კავშირსა და სხვა ქვეყნებს შორის, არამედ ევროპის ცალკე ქვეყნებს შორისაც, აგრეთვე საზღვარგარეთის კომკავშირის ცალკე უჯრედებს შორის.

ახალგ. კომინტერნის აღმასკომმა დაადგინა—გაუგზავნოს ყველა სექციას ინფორმაცია საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრების ჩატარების შესახებ. თათბირმა დაადგინა აგრეთვე — მოწონებულ იქნას „კომსომოლსკაია პრავდა"-ს ინიციატივა და ახალგ. კომინტერნის აღმასკომთან შეიქმნას საერთაშორისო რევოლიუციონური შეჯიბრების მთლიანი შტაბი (ადს).

დელეგატები წყნარ-ოკეანეს პროფკავშირთა კონგრესზე

ირკუტსკი, 8 აგვისტო. პროფკავშირთა წყნარ - ოკეანეს კონგრესზე დასასწრებლად მოვიდნენ პროფინტერნის მდივანი ამხ. ლოზოვსკი და უცხოელი დელეგატების ჯგუფი. სადგურზე მათ დახვდა ათასამდე მუშა. გაიმართა მიტინგი, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ლოზოვსკიმ, პროფკავშირთა წყნარ - ოკეანეს გაერთიანების გენერალურმა მდივანმა ბროუდერმა და სხვ. ირკუტსკის მუშებმა ამხ. ლოზოვსკის ჩააბარეს 50.000 მშრომელის წერილი კონგრესისათვის გადასაცემად. (ადს).

მოსკოვის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგ. შემოწმების შედეგები

საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტრ. კომისიის გაერთიანებული პლენუმი

ამხ. იანსონის მოხსენება

მოსკოვი, 8 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საკონტრ. კომისიის გაერთიანებულ სხდომაზე 7 აგვისტოს მოსმენილ იქნა ამხ. იანსონის მოხსენება მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი შემადგენლობის შემოწმების შედეგების შესახებ. შემოწმებამ გვიჩვენა, რომ მოსკოვის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი კადრები სავსებით აკმაყოფილებენ პარტიისა და მუშათა კლასის მოთხოვნებს და რომ მოსკოვის კომიტეტის და მოსკოვის საკონტრ. კომისიის ხელმძღვანელი შემადგენლობა სავსებით ჯანსაღია. შემოწმების დროს პარტიიდან გამორიცხულ იქნა მხოლოდ ერთი კაცი. (ადს).

15.000.000 მანეთი

ინდუსტრიალიზაციის ფონდში

მოსკოვი, 8 აგვისტო. საკავშირო პროფსაბჭოს სტატისტიკური გამოანგარიშებით, მუშების 6 აგვისტოს ხელფასი, რომელიც მთლიანად ინდუსტრიალიზაციის ფონდში შედის, შეადგენს სამრეწველო საწარმოებში 10 მილიონ მანეთს, ტრანსპორტზე 3 მილიონს, მშენებლობაში 2 მილიონს. ამაში არ შედის დაწესებულებებისა და კოოპერატიული საწარმოების მუშა - მოსამსახურეთა ხელფასი. (ადს).

ინდუსტრიალიზაციის ფონდის სასარგებლოდ

მინსკი, 8 აგვისტო. 6 აგვისტოს მუშაობდა ყველა საწარმო და დაწესებულება. გამოცხადდა ყველა მუშა. ტყავის ქარხანამ „ბოლშევიკ"-მა 6 საათის განმავლობაში გამოიმუშავა 8 საათის ჩვეულებრივი ნორმა.

ბობრუისკის და გომელის ოლქის მრავალი სოფლის გლეხებმა ინდუსტრიალიზაციის ფონდის სასარგებლოდ შესწირეს მომკილი პურის პირველი ძნები (ადს).

ჩაის ახალი ფაბრიკები საქართველოში

მოსკოვი, 8 აგვისტო. საკავშირო ფინსახკომმა დეპეშით განკარგულება გასცა შეძენილ იქნას ჩაის ფაბრიკის პროექტები „საქართველოს ჩაის" სააქციო საზოგადოებისათვის და ამ საჭიროებისათვის გადაიდოს 2.500 მანეთი.

სასოფლო-სამეურნეო მანქანები ა.-კავკასიისათვის

მოსკოვი, 8 აგვისტო. მანქანების მიწოდების მომწესრიგებელმა კომიტეტმა და საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ განიხილეს ამ.-კავკასიის განცხადება სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის რაოდენობის შესახებ და დაადგინეს—სასოფლო - სამეურნეო იარაღი და მანქანები ამიერ-კავკასიაში შეტანილ იქნას სამჯერ მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს. (ადს).

ღარიბი გლეხობა ახალ მიწებზე

ამიერ - კავკასიიდან სოჭის ოლქში გადასახლებული იქნება 15.000 კაცი

მოსკოვი, 8 აგვისტო. საკავშირო სახკომსაბჭომ დაადგინა—ამიერ-კავკასიიდან შავი ზღვის ოლქში—სოჭის რაიონში გადასახლებულთა რაოდენობა ხუთი წლის განმავლობაში განსაზღვრულ იქნას 15.000 კაცით, ამ.-კავკასიის მთავრობის მიერ გათვალისწინებული 28.000 კაცის ნაცვლად. სომეხ ლტოლვილებთაგან მოწყობილი იქნება 6.400 კაცი, ამ.-კავკ. მთავრობის მიერ გათვალისწინებული 41.800 კაცის ნაცვლად. (ადს).

ა.-კ. პიონერთა პირველი შეკრება

პიონერთა კონფერენცია

კამათი ამხ. გავრიშის მოხსენების გარშემო

გუშინ დილით კონფერენციის მეორე სხდომაზე ამხ. გავრიშის მოხსენების მოსმენის შემდეგ, სხვადასხვა ნაციონალურ ენაზე, დაიწყო პიონერთა პატაკის მიღება ცალკე რესპუბლიკებიდან მათი მუშაობის შესახებ.

კონიუშკინა (ბაქო)

ბაქოს ნ. პიონერთა ორგანიზაცია ამჟამად აერთიანებს 21 ათას პიონერს. პიონერთა ორგანიზაცია დღითი-დღე აუმჯობესებს მუშაობას და ამაგრებს თავის რიგებს. პიონერები აქტიურ დახმარებას უწევენ პარტიას სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების ჩატარების საქმეში, როგორიცაა: საბჭოების არჩევნები, თესვის კამპანია, სოციალისტური შეჯიბრება და სხვ. წარმოება-დაწესებულებებში პიონერთა ინიციატივით მოწვეულ იქნა მუშა-მოსამსახურეთა კრებები. ამ კრებებზე პიონერები მოუწოდებდნენ მუშა-მოსამსახურეებს, რომ მათ აღმოფხვრან სიმულიანტობა, მოსპონ ლოთობა, განამტკიცონ შრომის დისციპლინა და გაადიდონ შრომის ნაყოფიერება. ბავშვთა ასეთ მოწოდებამ უდიდესი გავლენა მოახდინა მუშებზე. პიონერების მონაწილეობა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში იზრდება. ჩავატარეთ კულტურული ლაშქრობა, რომლის დროსაც გავხსენით რამოდენიმე სალიკვიდაციო სკოლა და ჩვენს მშობლებს შევასწავლეთ წერა-კითხვა. დიდი ყურადღება ექცევა პიონერების ჯანმრთელობის დაცვას. ამ ზაფხულს ორგანიზაციის 30 პროც. გასულია ბანაკად.

კითხულობენ კედლის გაზეთს

არუთინოვი (ერევანი)

ჩვენი ნ. პიონერთა ორგანიზაცია მუშაობას აწარმოებს ახალი ფორმებით და მეთოდებით. წარსულში საგრძნობლად მოიკოჭლებდა ინტერნაციონალური-აღმზრდელობითი მუშაობა. ამას დროზე მიექცა ხელმძღვანელ ორგანოების ყურადღება და დღეს მუშაობა ამ მხრივ თავის სიმაღლეზე დადგა. სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში პიონერები ღებულობენ მონაწილეობას. აი მაგ., საბჭოების წარსულ არჩევნებში პიონერები დიდ დახმარებას უწევდნენ საარჩევნო კომისიებს მუშაობაში; არიგებდნენ საარჩევნო უწყებებს, ატყობინებდნენ მშობლებს საარჩევნო კრებების მოწვევას და სხვ., მოვაწყვეთ ერთდღიური ბავშვთა ბაგები, და ამით ხელი შეუწყვეთ მშობლების დასწრებას საარჩევნო კრებებზე. პიონერები ღებულობენ ყოველგვარ ზომებს, რომ თავის მშობლებს შეასწავლონ წერა-კითხვა. ზოგ შემთხვევაში პარტიული ხელმძღვანელობა პიონერთა ორგანიზაციებზე მოისუსტებს.

სუდარუშკინა (აჭარისტანი)

თუმცა ნელის ნაბიჯით, მაგრამ ჩვენი ორგანიზაცია მაინც იზრდება. 1928-29 წელს პიონერთა ორგანიზაციაში ჩავაბით 473 ბავშვი. უკანასკნელ დროს ამ მხრივ მუშაობა უფრო გავაძლიერეთ. პიონერთა ორგანიზაციამ აღზარდა და გადასცა კომკავშირის რიგებს 200 საუკეთესო პიონერი.

ჩვენს ორგანიზაციის გარეშე მყოფ ბავშვთა შორის მუშაობას დიდ ყურადღებას ვაქცევთ. უკანასკნელ ხანებში დავიწყეთ ახალ-ფორმებითა და მეთოდებით მუშაობა. ჩვენ გაძლევთ სიტყვას, რომ შემდეგ წლებში უფრო გავაძლიერებთ და გავაათკეცებთ ჩვენს მუშაობას და მოვსპობთ წერა-კითხვის უცოდინარობას მშობელთა შორის.

კურტახლ-ოღლი (აფხაზეთი)

აფხაზეთის ნ. პიონერთა ორგანიზაცია აერთიანებს 7.849 პიონერს. ჩვენი ყურადღება მიქცეულია იქითკენ, რომ რაც შეიძლება მეტად ჩავაბათ ჩვენს რიგებში ჩვენი ორგანიზაციის გარეშე მყოფი ბავშვები. პიონერთა ინტერნაციონალური აღზრდა თავის სიმაღლეზე გვაქვს დაყენებული. ჩვენი მონაწილეობის გარეშე არ ტარდება არც ერთი პოლიტიკური კამპანია. გვქვას დამყარებული კავშირი და ვაწარმოებთ მიწერ-მოწერას სხვადასხვა ქალაქების ნორჩ-პიონერთა ორგანიზაციებთან. პროფილაქტიკის დარგში მუშაობას ყურადღებას ვაქცევთ. პიონერთა ინიციატივით მოეწყო ბავშვთა ამბულატორია. ამჟამად პიონერთა ორგანიზაციის ზრდა სწარმოებს აფხაზ ბავშვების ხარჯზე, რომელთა მოზიდვაც ჩვენს ორგანიზაციაში დღემდე გვიძნელდებოდა.

მაკაბერიძე (თბილისი)

თბილისის ორგანიზაციას თავის მუშაობაში აქვს შემდეგი მიღწევები:

საბჭოების არჩევნების დროს პიონერების მიერ ირთვებოდა შესაკრები პუნქტები, ეწყობოდა „ლურჯი ხალათის" გამოსვლა; მოწვეული იქნა პიონერთა კონფერენცია, ჩვენს ორგანიზაციის გარეშე მყოფ ბავშვებთან, რომელზედაც გამოვიმუშავეთ „ნაკაზი" თბილისის საბჭოსათვის მისაცემათ. საგაზაფხულო თესვის კამპანიის ჩატარებაშიაც მივიღეთ აქტიური მონაწილეობა. პიონერ-კოლექტივებთან ჩამოყალიბდა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც აგიტაციას ეწეოდნენ მოსავლის გადიდებისათვის. ჩვენმა კოლექტივებმა ამ მიზნით დაამყარეს მჭიდრო კავშირი სოფლის პიონერ-კოლექტივებთან. ქაღალდის მაკულატურის და შავი ლითონის შეგროვებაში დიდი აქტივობა გამოიჩინეს. ჩავატარეთ წერა-კითხვის უცოდინარ-მშობლების აღრიცხვა, რის შემდეგ შეუდგექით მათში წ.-კ. უცოდინარობის ლიკვიდაციას. ბავშვთა გონებრივ გართობას სისტემატიური ხასიათი მიეცა. კოლექტივების მიერ ეწყობა საკლუბო დღეები, საათები, იდგმება სალამო-წარმოდგენები, კითხვა-პასუხის სალამოები, ექსკურსიები და სხვ. გასამხედროებისა და ინტერნაციონალური აღზრდის დარგშიაც პიონერებმა ბევრი რამ გააკეთეს; მოეწყო წითელი ყაზარმების დათვალიერება, გავაბით კავშირი წითელ-არმიის ნაწილებთან და სხვ. შედგენილი გვაქვს პიონერებისაგან „მსუბუქი კავალერიები". აღნიშნულ მიღწევებს მომავალში უფრო განვამტკიცებთ და ამით დავეხმარებით პარტიას და კომკავშირს სოციალისტურ მშენებლობაში.

ბაგიროვი (განჯა)

განჯის ორგანიზაციამ უკანასკნელ ხანებში დიდათ გააცხოველა მუშაობა. ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას სხვადასხვა კამპანიების ჩატარებაში. საგაზაფხულო თესვის კამპანიის დროს დავეხმარეთ სოფლის ღარიბ გლეხობას მიწის დამუშავებაში—შაბათობების მოწყობით. ჩავატარეთ კულტურული ლაშქრობა და დავაარსეთ წ.-კ. უცოდინართა სკოლები მშობლებისათვის. ვღებულობთ ზომებს სკოლებში მოწაფეთა ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. მოვაწყვეთ შეჯიბრება ფორ-ფოსტების შორის. შევაგროვეთ 100 ფუთი ქაღალდის მაკულატურა. შემდეგისათვის მუშაობას უფრო გავაცხოველებთ და აქტიურ მონაწილეობას მივიღებთ სოციალისტურ მშენებლობაში.

ბაგიროვი (ნახიჩევანი)

ქალაქის პიონერთა ორგანიზაციებს მჭიდრო კავშირი გვაქვს დამყარებული სოფლის ორგანიზაციებთან. ვღებულობთ აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში. თესვის კამპანიის დროს 255 პიონერი დაეხმარა ღარიბ გლეხებს. 8.500 პიონერმა მიიღო მონაწილეობა სარწყავი არხების გაწმენდაში. გამოყოფილი აქვთ პიონერ - კოლექტივებს ცალკე მიწის ნაკვეთები, რომლებსაც ამუშავებენ კოლექტიურად.

ამით დამთავრდა პიონერთა მიერ პატაკის მიცემა, რის შემდეგ გაიმართა კამათი ა.-კ. პიონერთა ბიუროს მოხსენების ირგვლივ; კამათი გრძელდებოდა სალამოს სხდომაზედაც.

კამათში გამოსული პიონერები უმთავრესად აღნიშნავდნენ ა.-კ. პიონერთა ბიუროს მუშაობისა და ხელმძღვანელობის სისუსტეს ზოგიერთ ადგილებზე. განსაკუთრებით პიონერები უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ იმაში, რომ ბიურომ დღემდე არ მიიღო ზომები ამიერ-კავკასიის პიონერთა დასაკავშირებლად. ისინი მოითხოვდნენ, რომ ა.-კ. სხვადასხვა ეროვნებათა ბავშვების დაახლოვების საქმეში მომავალში უფრო გაუმჯობესდეს და განმტკიცდეს. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ უმთავრესად სოფლის ორგანიზაციებზე პარტიისა და კომკავშირის ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რამოდენიმე ათეულმა პიონერმა ა.-კ. სხვადასხვა კუთხიდან. კამათში მოკლესიტყვით გამოვიდა აგრეთვე საქ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ შავერდოვა.

ამხ. შავერდოვას სიტყვა

პატარა ამხანაგებო! თქვენს კონფერენციას შეუძლიან დიდი საქმე გააკეთოს ა.-კ. ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის საქმეში. თქვენ უნდა კარგად გაითვალისწინოთ თქვენი მუშაობის ყოველივე ნაკლი და მიღწევები და გამოიმუშაოთ ღონისძიებანი შემდეგში მუშაობის უფრო გასაღრმავებლად და განსამტკიცებლად. მე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება შემდეგზე: თქვენ ალბად დიდ წინააღმდეგობასა ხედავთ მათ შორის, რაც არის თქვენს ოჯახში და თქვენ კოლექტივებში. კოლექტივში თქვენ ყველანი მეგობრულად მუშაობთ, სახლში კი თქვენ სულ სხვას ხედავთ. თქვენი მშობლები ხშირად გოგონებს არ უშვებენ კოლექტივებში და ეაუებთან მათ გავლასაც უშლიან. კოლექტივებში თქვენ ანტირელიგიურ მუშაობას აწარმოებთ, თქვენი მშობლები კი რელიგიურ დღესასწაულებსა უქმობენ. ეს აიხსნება იმით, რომ თქვენი მშობლები საგრძნობლად ჩამორჩენილები არიან კულტურულად. თქვენ უნდა დაისახოთ ამოცანათ, რომ აღნიშნული წინააღმდეგობანი მოსპოთ. თქვენ უნდა პირობა მოგვცეთ, რომ ერთი წლის თავზე თქვენს მშობლებს შეასწავლით წერა-კითხვას;—მზად ვართ, მზად ვართ—დარბაზიდან გაისმა პიონერთა პასუხი.

სხდომის დამთავრების შემდეგ თეატრის დარბაზში გაიმართა პიონერთა შემოქმედების სალამო.

დღეს

დღეს დილის ათ საათზე გაგრძელდება კამათი ა.-კ. პიონერთა ბიუროს მოხსენების ირგვლივ. დღეს ნაშუადღევისას მოელიან მოსკოვიდან თბილისში ნორვეგიის პიონერთა დელეგაციას.

შეკრების მონაწილენი სტუმრად ოქტომბრელებთან

საქ. პროფსაბჭოს პლენუმი

საბჭოთა აპარატის წმენდა და პროფკავშირები

ამხ. გოლდბაუმის მოხსენება

პლენუმზე დამსწრეთა შორის გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია ამხ. გოლდბაუმის მოხსენებამ საბჭოთა აპარატის წმენდის შესახებ.

— ყველა იმ ამოცანების გადაჭრა,— სთქვა ამხ. გოლდბაუმმა,—რომლებიც დასმულია მუშათა კლასის წინაშე მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგი და ჯანსაღი იქნება ჩვენი საბჭოთა აპარატი. აპარატის ხარისხი კი ბევრად დამოკიდებულია არა მარტო მის ორგანიზაციულ სტრუქტურაზე, არამედ მასში მომუშავეებზეც. პარტიის და ხელისუფლების დირექტივები ზოგჯერ არ ტარდება ცხოვრებაში, ზოგჯერ კი ზოგიერთი, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ელემენტები, ამახინჯებენ, ამრუდებენ ამ დირექტივებს. ამიტომ საბჭოთა აპარატის წმენდის დროს ამა თუ იმ მუშაკის შეფასების დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, თუ რამდენად წესიერად ასრულებს იგი იმ ფუნქციებს, რომლებიც დაკისრებული აქვს მას. საბჭოთა აპარატი გაწმენდილი უნდა იქნას ყველა ჩვენთვის უცხო, გახრწნილ, მტრულად განწყობილ ელემენტებისაგან, რომლებიც კლასიური ხაზის გატარების ნაცვლად მავნებლობას ეწევიან.

როგორი უნდა იყოს პროფკავშირების როლი საბჭოთა აპარატის გაუმჯობესების საქმეში? პროფკავშირებმა უნდა დარაზმონ მასები ჩვენი აპარატის გაჯანსაღების ამოცანის გარშემო. ყველა წარმოება-დაწესებულებებში ჩამოყალიბებული უნდა იქნეს აპარატის წმენდის ხელის შემწყობი კომისიები, რომლებშიც შევლენ უჯრედის, ფაბქარხადგილკომის და სამეურნეო ორგანოს (დაწესებულების) წარმომადგენლები. ამ კომისიებს ევალება მოაგროონ მასალები ყველა თანამშრომელთა შესახებ, შეადგინონ მათი დახასიათება და ამით გაუადვილონ მუშაობა იმ კომისიებს, რომლებიც დანიშნული იქნება მუშ.-გლეხთა ინსპექციის მიერ. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ იმაში, რომ პროფკავშირები წარმატებით შეასრულებენ მათზე დაკისრებულ ამ ამოცანასაც და საბჭოთა აპარატის წმენდაში მხურვალე მონაწილეობით თვალსაჩინოდ განამტკიცებენ ამ აპარატის საქმიანობას.

კამათი

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. სიხარულიძემ, არაქელოვმა, ჩარგეიშვილმა, სალდაძემ, სხირელმა და სხვ. ორატორები, აღნიშნავდნენ რა საბჭოთა აპარატის წმენდის მიზანშეწონილობას, მოჰყავდათ მრავალი ფაქტები—მაჩვენებელი იმის, თუ როგორ ძვრება ჩვენს აპარატში პროლეტარიატისათვის უცხო ხალხი. დამახასიათებელი მაგალითები მოიყვანა მუხრანის თემიდან ამხ. სიხარულიძემ. მუხრანის თემში მთელი წლების განმავლობაში თემამ. თავმჯდ. მოვალეობას ასრულებ და ყოფილი „გოროდოვოი": ამავე თემის გლეხკომის თავმჯდომარედ იყო ვინმე მიტო მუხრანსკი—ძველი თავადი. ფინსახკომიდან განდევნილი ვინმე ბაგრატ მუხრანსკი დაბრუნდა მუხრანში და მოითხოვა „მამა-პაპეული" მიწა. აღმასკომის და გლეხკომის თავმჯდომარეები მას მიემხრნენ და შეადგინეს ყალბი ოქმი, თითქოს ღარიბთა კრებამ გადასწყვიტა ზემოხსენებული პირის თხოვნის დაკმაყოფილება.

ამხ. გოლდბაუმის საბოლოო სიტყვა

თავის საბოლოო სიტყვაში ამხ. გოლდბაუმმა აღნიშნა, რომ წმენდას საჯაროდ გაივლიან ის პირები, რომლებზედაც შემოსული იქნება რაიმე უარყოფითი მასალა, დანარჩენნი კი მექანიკურად ჩაითვლებიან შემოწმებულად. რათა საბჭოთა აპარატში არავინ დაგვრჩეს უღირსი მუშაკი, უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს მასალების მოგროვებას და საერთოდ წინასწარ მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას.

მრეწველობის 1929—30 წ. საკონტროლო ციფრები

ამხ. ზ. ჟურულიშვილის მოხსენება

შემდეგ მრეწველობის 1929-30 წლის საკონტროლო ციფრების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ჟურულიშვილმა, რომელმაც აღნიშნა რა მრეწველობის და ელექტროფიკაციის დღევანდელი მდგომარეობა, შეეხო იმ ღონისძიებებს, რომლებიც გათვალისწინებულია გეგმით მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის.

ამხ. ჟურულიშვილის მოხსენების შემდეგ საქ. პროფსაბჭოს სახელით სიტყვით გამოვიდა ამხ. გოდაბრელიძე, რომელმაც პლენუმს გააცნო პროფსაბჭოს მიერ შემუშავებული შესწორებების პროექტი, რომელიც შეტანილი უნდა იქნეს საკონტროლო ციფრებში.

პლენუმი მქუხარე ტაშით შეეგება გროზნოელ მუშა-ველოსიპედისტებს, რომლებიც გამოცხადდნენ და მიესალმნენ პლენუმს.

წითელი არმიის მანევრების წინ

საქ. ავიაქიმის მონაწილეობა მანევრებში

თუ რა მონაწილეობას მიიღებს საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი წითელი არმიის დიდ მანევრებში, ამის შესახებ ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საქართველოს ავიაქიმში აცნობეს შემდეგი:

ავიაქიმის თბილისის საბჭო თავის წევრებისაგან შეადგენს 3 ათასეულს, გორის ავიაქიმი—1 ათასეულს. ეს ათასეულები მივლინებული იქნებიან მანევრებზე.

მანევრებზე გაიწვევიან სამხედრო ცოდნათა წრეების ის წევრები, რომლებსაც აქვთ საკმაო სამხედრო ცოდნა. მთავარი ყურადღება მიექცევა მუშა-ახალგაზრდების და კომკავშირელების გაგზავნას მანევრებზე.

მოკლე ხანში ავიაქიმის ორგანიზაციები შეუდგებიან იმ თადარიგის მეთაურების აღრიცხვას, რომლებმაც გაიარეს ავიაქიმის გადასამზადებელი კურსები. ეს მეთაურები მანევრების დროს გამოყენებული იქნებიან ათასეულების ხელმძღვანელებად. უფროს მეთაურებათ მიწვეული იქნებიან წითელი ჯარის კადრის მეთაურები.

ავიაქიმის პრაქტიკულ ორგანიზაციებიდან მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ რადიო, ტელეფონის და ტელეგრაფის კურსები, ჯაშიანი ძაღლების მემტრედეობის სექციები, ქიმრაზმები და პირველი დახმარების ჯგუფები.

მანევრების დაწყებამდე საქართველოს ავიაქიმი გამოსცემს წიგნებს, რომლებშიაც განმარტებული იქნება, თუ რა არის მანევრები, როგორ ტარდება იგი და რა მნიშვნელობა აქვს მას წითელი ჯარისა და მშრომელი მოსახლეობისათვის.

* * *

საქ. ავიაქიმის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ა. წილოსანმა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ ავიაქიმის ორგანიზაციები დაუყონებლივ უნდა შეუდგნენ სამზადისს მანევრებისათვის, სამზადისის დროს მათ უნდა გაითვალისწინონ წარსული წლის მანევრების გამოცდილება.

უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს ათასეულების შედგენას და მათ მომზადებას მანევრებისათვის. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს პრაქტიკული სამხედრო ხასიათის მეცადინეობა ათასეულებში და სამხედრო ცოდნათა წრეებში.

მანევრების დროს ავიაქიმის წევრების მიერ წარმოებული იქნება მოსახლეობის შორის საგიტაციო მუშაობა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ირგვლივ. გლეხობას განემარტება ხსენებული საზოგადოების მიზნები და ამოცანები, სოფლებში დაარსდება ავიაქიმის უჯრედები, ტირები და სხვადასხვა სახის წრეები.

სპეციალური ნაწილები მანევრებზე

გარდა ჯარის იარაღის მთავარი სახეებისა (ფეხოსანი და ცხენოსანი ნაწილები, არტილერია) მანევრებში მიიღებენ მონაწილეობას სხვადასხვა სახის სპეციალური ნაწილები, როგორიც არის: ტანკები, ჯავშან-მატარებლები და ავტომობილები, ავიაცია, საინჟინერო ნაწილები და რადიო-ქიმიური ნაწილები.

მანევრებში მიიღებს მონაწილეობას თანამედროვე ახალი ტიპის ბატარეა, რომელიც მოძრაობს რკინის გზის ლიანდაგზე.

კოოპერაციის მონაწილეობა

სამხ.-სამომხმარებლო კოოპერაცია („ზაკვოენპო") მანევრებში მიიღებს უახლოეს მონაწილეობას.

მანევრების მიდამოებში გამართული იქნება მოძრავი სასადილოები, სავაჭროები, ბუფეტები, დუქნები.

სამხ. კოოპერაცია მანევრებს გამოიყენებს იმ გამოცდილებების მისაღებად, რომელიც საჭიროა სამხ. კოოპერაციისათვის საბრძოლო პირობებში.

მემარჯვენენი საშუალო გლეხობასთან კავშირის შესახებ

> „გლეხი, როგორც მშრომელი, ისწრაფვის სოციალიზმისაკენ, აძლევს რა უპირატესობას მუშათა დიქტატურას, ბურჟუაზიის დიქტატურასთან შედარებით. გლეხი, როგორც პურის ვაჭარი, ისწრაფვის ბურჟუაზიისაკენ, ვაჭრობის თავისუფლებისაკენ, ე. ი. უკან კაპიტალიზმისაკენ".
>
> ლენინი. ტ. XVI, გვ. 227)

პარტიის მიმდინარე გენერალურმა წმენდამ ნათლად დაგვიმტკიცა მემარჯვენე საფრთხის საშიშროების უეჭველი არსებობა ჩვენში. კიდევ მეტი: როგორც არა ერთხელ აღნიშნულა, მრავლად მოიპოვება მემარჯვენეების „თეორიის" შეგნებით თუ შეუგნებლობით გამტარებელნი პრაქტიკაში. და ეს განსაკუთრებით სოფლად პარტმომუშავე ამხანაგებში. თუ მემარჯვენეებს კულაკებთან დამოკიდებულების საკითხში აქვთ სოციალიზმში კულაკების შეზრდის „თეორია", სამაგიეროდ, აქაც, საშუალო გლეხობასთან ურთიერთობის საქმეშიაც მათ აქვთ თავისი თეორია, რომელსაც სახელად გლეხობისადმი „პერმანენტული დათმობათა თეორია" ეწოდება.

სოფლის პარტიულ ორგანიზაციების წმენდამ საკმაო მასალები მოგვცა იმის დასამტკიცებლად, რომ ზოგ ამხანაგს ჯერაც არ აქვს სწორად შეთვისებული გლეხობის დიფერენციაციის საკითხი.

— ჩვენში მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ღარიბები არისო. აი, სოფლად მომუშავე ამხანაგების დამახასიათებელი პასუხი გამწმენდ კომისიის შეკითხვაზე სოფლის ფენებად დაყოფის შესახებ. ჩვენ აქ არ შევუდგებით იმის მტკიცებას, თუ რომელს ეწოდება ღარიბი, საშუალო და კულაკი. ამ საკითხზე სრულიად გარკვეული განმარტება მოგვცა საქ. კ. პ. მე-6 ყრილობაზე ამხ. ლ. ლოლობერიძის მიერ წარდგენილმა თეზისებმა. ამის მიხედვით ლენინის თეზისი იმის შესახებ, რომ „მიწადმოქმედებაში ცენტრალურ ფიგურას საშუალო გლეხობა წარმოადგენს", ჩვენშიაც (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოშიც) ძალაში რჩება. მხოლოდ ის, ვისაც ჩვენი სოფლის მოსახლეობის უმრავლესობად ღარიბი გლეხობა გამოჰყავს, ფაქტიურად მემარჯვენე პოლიტიკის გამტარებელი ხდება სოფლად.

პარტიის გენერალურმა წმენდამ ამთავითვე დაგვანახვა მეორე უარყოფითი ანტილენინური განწყობილება ზოგ ამხანაგებში საშუალო გლეხობისადმი ყოველგვარ დათმობათა მიცემის შესახებ.

საშუალო გლეხი მშრომელია (განა მარტო მშრომელია? ს. მ.) მას არავინ ჰყავს დაქირავებული, მაშასადამე მათი ყოველგვარი მოთხოვნილებები ჩვენ უნდა დავაკმაყოფილოთ.

აი პასუხი, რომელსაც ძალიან ხშირად გაიგონებთ, როგორც პარტწმენდის დროს მიცემულ შეკითხვებზე, ისე ზოგ ამხანაგთან კერძო საუბარშიაც. ამიტომ, სწორედ ამ საკითხებზე გვინდა შევჩერდეთ ჩვენ, ვინაიდან, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში მემარჯვენეებს აქვთ თავისი საკუთარი თეორია —გლეხობისადმი „პერმანენტულ დათმობათა თეორია", რომელიც რადიკალურად განსხვავდება პარტიის—ლენინური თეორიისაგან საშუალო გლეხობასთან ურთიერთობის საკითხში.

რადგან საშუალო გლეხობა ჩვენი მოკავშირეა და არა კლასიური მტერი, რათ უნდა ვაწყენინოთ ამ ჩვენ მოყვარეს? ასე მსჯელობს ბევრი. მთელი უბედურებაც იმაშია, რომ დღემდე არამც თუ სოფლად მომუშავე თვითეულ პარტიულ ამხანაგს, არამედ ზოგ პასუხისმგებელ კომუნისტსაც ვერ შეუგნია, რომ გლეხობასთან კავშირი არის კლასიური ბრძოლის თავისებური ფორმა. ის კავშირიც არის, რომელიც ზავს, შეთანხმებულ, მშვიდობიან თანამშრომლობას გულისხმობს, მაგრამ ამავე დროს მუშათა კლასსა და საშუალო გლეხობას შორის ბრძოლის განსაკუთრებულ სახესაც ატარებს. სწორია თუ არა ეს განმარტება ლენინური თვალსაზრისით? დიახ! ის სავსებით სწორია. ლენინი ბროშიურა „პროლეტარიატის დიქტატურაზე" გეგმაში სწერს, რომ, „მთავარი „შინაური" მტერი—ეს წვრილი ბურჟუაზია არის"-ო. (ლენინის 3 კრ. გვ. 508).

მეათე ყრილობის შემდეგ, სრულიად რუსეთის მტვირთავ მუშების ყრილობაზე ლენინი შემდეგს ამბობდა:

„მეორე ძალა (პროლეტარიატის შემდეგ) ეს არის ის, რაც სდგას კაპიტალის განვითარებისა და პროლეტარიატის შორის. ეს არის წვრილი ბურჟუაზია, წვრილი მეურნენი, ესაა ის, რაც იმის შედეგია, რომ რუსეთში გლეხური მოსახლეობის დიდი სიჭარბეა. ამ ძალამ პროლეტარული დიქტატურის რევოლიუციონური ენერგიის და უანგარობის მეოხებით ძალიან მალე მოუღო ბოლო თავის მტრებს მარჯვნივ, მემამულეთა კლასს, აღგავა იგი სავსებით და არაჩვეულებრივი სისწრაფით მოსპო მისი ბატონობა. მაგრამ რაც უფრო მალე მოსპო მან ამ კლასის ბატონობა, რაც უფრო მალე გადადიოდა იგი საეროთო-სახალხო შიწაზე სამუშაოდ, რაც უფრო მკაცრად უსწორდებოდა იგი კულაკების პატარა უმცირესობას, მით უფრო მალე ხდებოდა მეურნედ. თქვენ იცით, რომ რუსული სოფელი ამ ხნის განმავლობაში შეთანასწორდა, კლებულობდა დიდი მემამულეების წილი, მატულობდა საშუალო მეურნეობა. ჩვენი სოფელი ამ ხნის განმავლობაში უფრო წვრილი ბურჟუაზიული გახდა. ეს არის დამოუკიდებელი კლასი, რომელიც მემამულეების და კაპიტალისტების მოსპობის, განდევნის შემდეგ რჩება მთლიან კლასად, რომელსაც შეუძლია დაუპირისპირდეს პროლეტარიატს. და ამიტომ შეუსაბამობაა პლაკატებზე იმის წერა, რომ მუშათა და გლეხთა სამეფოს დასასრული არ მოელის" (ლენინი. თხზ. კრებ., ტ. 17, ნაწ. 1, გვ. 177 —178).

როგორც ვხედავთ, ლენინი აქ გარკვევით ლაპარაკობს „შინაური" მტერის არსებობის შესახებ. მაგრამ საკითხი იმაშია, თუ როგორ უნდა დავიმორჩილოთ, როგორ უნდა დავამარცხოთ ეს „შინაური" მტერი?

ლენინი კომინტერნის მესამე კონგრესზე აღნიშნავდა, რომ „ეხლა რევოლიუციის მთავარი კითხვა მდგომარეობს ორი კლასის (წვრილი საქონლის მწარმოებელი და წვრილი მიწის მომუშავენი) წინააღმდეგ ბრძოლაში"-ო.

როგორია ამ ბრძოლის ფორმა?

ლენინი აქვე უპასუხებს: „პირველი ფორმა, —კავშირია, მჭიდრო კავშირი". (ლენინი ტ. XVIII. ნაწ. 1, გვ. 326).

ნათქვამი გასაგებია. კავშირი გლეხობის (წვრილ ბურჟუაზიულ განწყობილების) წინააღმდეგ ბრძოლისათვის. როგორ უნდა გავიგოთ კავშირის ასეთი განმარტება?

ლენინი „პროლეტარიატის დიქტატურის რამოდენიმე თეორიულ მხარეების საკითხის" შესახებ თავის კონსპექტში (ლენ. III კრებ. გვ. 494) სწერს:

„პროლეტარიატის დიქტატურის დროს არსებობს კლასობრივი ბრძოლის ორი ძირითადი ამოცანა (და ამის მიხედვით ორი ახალი ფორმა).

1) მყვლეფელთა წინააღმდეგობის დაძლევა, აგრეთვე კაპიტალიზმისაკენ და კაპიტალისტური ტრადიციებისაკენ დაბრუნების ყოველგვარი რეციდივის დაძლევა.

2) სისტემატიური ხელმძღვანელი ზეგავლენა (აგრეთვე ბრძოლა, მაგრამ განსაკუთრებული სახისა, ერთგვარი, მართალია, სრულიად სხვანაირი წინააღმდეგობის დაძლევა და სრულიად სხვაგვარად დაძლევა) ყველა მშრომელებზე გარდა პროლეტარებისა".

ამრიგად „სისტემატიური ხელმძღვანელობითი ზეგავლენა" გლეხობის ძირითად მასებზე—ეს ბრძოლის თავისებური სახეა. პროლეტარიატის „სისტემატიური ხელმძღვანელობა" არარად იქცეოდა, რომ ის არ შევსებულიყო ბრძოლებით იმ ბურჟუაზიულ ტენდენციების წინააღმდეგ, რომლებიც ჯერ კიდევ ბუდობენ მშრომელთა მასებში.

ლენინის ნაწარმოებიდან ზემოდ მოყვანილი ადგილების შემდეგ უკვე გასაგები უნდა გახდეს ყველასათვის, რომ გლეხობასთან კავშირი კლასიური ბრძოლის განსაკუთრებული სახეთაგანია. ამის დავიწყება კლასიური ბრძოლის იარაღის დაჩლუნგებას ნიშნავს მუშათა კლასის საზიანოდ და წვრილ ბურჟუაზიულ ტენდენციების სასარგებლოდ.

როდესაც ვლაპარაკობთ გლეხობასთან კავშირის შესახებ, მხედველობაში გვაქვს კავშირი საშუალო გლეხობასთან, „როგორც ცენტრალურ ფიგურასთან მიწათმოქმედებაში".

მემარჯვენეებმა გლეხობასთან კავშირის განსამტკიცებლად „მუდმივ დათმობათა თეორია" წამოაყენეს.

მაგრამ საკითხის უფრო გარკვევისათვის, მოვიგონოთ უკვე ისტორიის არქივში ჩაბარებული „გლეხობაზე ტროცკისტული ზეგავლენის თეორიაც".

როგორც ვიცით, ტროცკი გლეხობაში მხოლოდ მის რეაქციონურ მხარეს—პროლეტარიატისადმი მტრულად განწყობილებას ხედავს. რევოლიუციის მეორე დღესვე, ტროცკის აზრით, აუცილებელია მუშებისა და გლეხების შეჯახება, რომლის შედეგად პროლეტარიატი, უსათუოდ, დამარცხდება, თუ ბედმა მას არ გაუღიმა და საერთაშორისო პროლეტარულმა რევოლიუციამ არ მოუსწრო.

რა არის იმის უმთავრესი მიზეზი, რომ ტროცკიზმი — წინააღმდეგ ლენინიზმისა, ასე სასოწარკვეთილებით შეჰყურებს გლეხობის როლს რევოლიუციაში. ტროცკიზმის მთელი უბედურება იმაშია, რომ ის უარჰყოფს საშუალო გლეხობას, როგორც კლასს პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, საშუალო გლეხობას კულაკობას უერთებს და სოფელში ჰეგემონად „მაგარ" გლეხობას („крепкий мужик") სცნობს. აი სათანადო, საყურადღებო ადგილი ტროცკის ნაწერებიდან ამ საკითხის შესახებ:

„ძალა-უფლების სათავეში მყოფი პროლეტარიატი მოიმოქმედებს ყველაფერს მისგან დამოკიდებულს, რომ არ გამოიწვიოს ნაადრევი კონფლიქტი გლეხობასთან; მაგრამ ძალა-უფლების დაპყრობა არამც თუ შესცვლის მის კლასიურ ბუნებას, არამედ პირიქით, აიძულებს მას თავის ბუნების გადაჭრით გამოაშკარავებას; ვინაიდან მას არ შეუძლია მხარი არ დაუჭიროს სასოფლო მეურნეობის მუშებს ადამიანურ ცხოვრებისათვის ბრძოლაში — ამიტომ პროლეტარიატსა და „მაგარი" გლეხობას შორის კონფლიქტი ბოლოს და ბოლოს აუცილებელია, მაგრამ ეს იქნება დასაწყისი დასასრულის. რით დამთავრდება კონფლიქტი? ცხადია, არა იმით, რომ პროლეტარიატის წარმომადგენლები სამინისტრო სავარძლიდან ოპოზიციის სავარძელზე გადაჯდებიან. მდგომარეობა უფრო სერიოზული იქნება. კონფლიქტი სამოქალაქო ომით და პროლეტარიატის დამარცხებით დასრულდება". (ლ. ტროცკი. „კაუტსკი რუსეთის რევოლიუციის შესახებ". გვ. 143—144. გამოც. 1907 წ.).

ამონაწერი კომენტარიებს აღარ საჭიროებს. საშუალო გლეხობა სოფლის ეს „ცენტრალური ფიგურა" აქ არსად სჩანს, ის „მაგარ" გლეხობაშია გათქვეფილი. რომ ტროცკის საშუალო გლეხობა კულაკებში არ გაპარვოდა, რომ ტროცკის არ უარეყო საშუალო გლეხობა, როგორც კლასი, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში და მისი რევოლიუციონური მხარეც შეემჩნია, მაშინ შესაძლოა ტროცკის ნათელი დასკვნა გამოეყვანა იმის შესახებ, რომ არც ისე ძნელია კულაკების იზოლიაცია, რომ პროლეტარიატს ბობოლა გლეხთან ბრძოლის დროს, შეუძლია დაეყრდნოს სოფლის ღარიბებს და იქონიონ კავშირი საშუალო გლეხობასთან. მაგრამ ეს ტროცკის თეორიაში არსად სჩანს. ეს საფუძვლიანად ეწინააღმდეგება მის პერმანენტულ რევოლიუციის თეორიის" შინაგან ბუნებას.

ამრიგად, ტროცკი ზედმეტ მნიშვნელობას აკუთვნებს კულაკობას. დავიწყებული ჰყავს საშუალო გლეხობა როგორც კლასი და ამ კლასის რევოლიუციონური მხარე. აი რა უდევს სარჩულად „გლეხობაზე ტროცკისტულ ზეგავლენის თეორიას". ტროცკისტები ხედავდნენ რა გლეხობაში მხოლოდ რეაქციონურ ძალას, აყენებდნენ ისეთ ღონისძიებებს, რომელნიც მძიმე ტვირთად უნდა დასწოლოდნენ გლეხობას. ყველას ახსოვს ტროცკიზმის მიერ წამოყრანტალებული პოლიტიკა ე. წ. „ზეინდუსტრიალიზაციის" შესახებ, რომელსაც სოციალისტური მრეწველობის სოფლის მეურნეობიდან გათიშვამდე მივყავდით.

პრეობრაჟენსკი კი ამ დებულების თეორიულად დასაბუთების მიზნით, თავის ცნობილ შრომაში „ახალი ეკონომიკა"-ში გლეხურ მეურნეობას იხილავდა, როგორც „კოლონიას" და გლეხურ მეურნეობის ექსპლოატაციაზე ხომ აშკარად და ყველასათვის გასაგებად სწერდა.

ტროცკისტები საშუალო გლეხობას უყურებენ როგორც „კულაკის უმცროს ძმას". ამიტომ ისინი ისეთ პოლიტიკის გატარებას მოითხოვდნენ საშუალო გლეხობის მიმართ, როგორსაც პარტია კულაკების მიმართ ატარებდა და ატარებს. და გლეხობის ეს პოლიტიკა კი, პოლიტიკა „ზეგავლენისა" და „კოლონიისა" მუშების კავშირის აუცილებელ გათიშვამდე მიგვიყვანდა. აი რატომ არის „გლეხობაზე ტროცკისტული ზეგავლენის თეორია" უცხო ლენინიზმისათვის და მიუღებელი ჩვენი პარტიისათვის.

თუ კი გლეხობაზე „ზეგავლენის თეორია" ტროცკიზმს გლეხთა რევოლიუციონური როლის შეუფასებლობიდან გამოჰყავდა, სამაგიეროდ ახლადშობილ მემარჯვენეთა „დათმობების თეორია", როგორც ამას ქვემოდ დავინახავთ, გლეხთა რეაქციონურ როლის შეუფასებლობიდან გამომდინარეობს. ზემოდ უკვე აღვნიშნეთ, რომ მემარჯვენეები თავის უბიწო „დათმობათა თეორიით" ცდილობენ პარტიის ტაქტიკის შეცვლას მუშათა და გლეხთა ურთიერთობის საკითხში. „დათმობათა თეორიის" იდეურ ქურუმებს გლეხობასთან კავშირის განმტკიცება მხოლოდ მუდმივი დათმობის სახით წარმოუდგენია. „მუდმივ დათმობათა თეორიას" ისინი ლენინურ თეორიად ასაღებენ. რომ ეს ასეა, ამას მოწმობს ამხ. ლიადოვის სიტყვა, წარმოთქმული მოსკოვის კომიტეტისა და საკონტროლო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე გასული წლის სექტემბერში. მოუსმინოთ ლიადოვს:

„ჩვენში არსებობენ კლასები და ამ კლასებს შორის მერყეობს საშუალო გლეხობა. მაგრამ ეს იყო მართალი 25, 20, 15 წლის წინადაც, ეს იყო 1905 წ., 1917 წ. და 1921 წელშიც. ეს არის ეხლაც. მაგრამ თქმა ამისა ცოტაა, იმისათვის, რომ ამაზე ავაგოთ ტაქტიკა. ჩვენ ამხ. ლენინი გვასწავლიდა, რომ საჭიროა დაყურადება რომელ მხარეზე მერყეობს ეხლა საშუალო გლეხობა: ჩვენს მხარეზეა, თუ კულაკის მხარეზე, ნეპმანის მხარეზე.

ეს ბრძოლა ძალიან მკაცრია, მას უნდა დაყურება და აღრიცხვა, რომელ მხარეზე ქანაობს საშუალო გლეხობა. მარტო ამის განცხადება არ არის საკმარისი. ეს ჩვენ ვიცოდით 25 წლის წინადაც მესამე ყრილობაზე. მაგრამ ყოველ ცალკე შემთხვევაში იმ დამოკიდებულების მიხედვით, თუ რომელ მხარეზე მერყეობს საშუალო გლეხობა, განისაზღვრება პარტიის ტაქტიკა, სწორედ ამ მერყეობაზეა აგებული დებულება საშუალო გლეხობასთან კავშირის შესახებ დაიჭირო, სწორად მიაყურადო, რომელ მხარეზე მერყეობს საშუალო გლეხობა, ამაში უნდა მდგომარეობდეს ბოლშევიკური ტაქტიკა.—არ გაუშვა ის მომენტი, როდესაც საშუალო გლეხობა მკაცრად დაიწყებს მერყეობას კულაკის მხარეზე. . ილიჩმა 1921 წ. დაიჭირა მომენტი, ის საშვალო გლეხობასთან დათმობაზე წავიდა.

და სწორედ მოიქცა ივლისის პლენუმი, როდესაც წავიდა საშვალო გლეხობასთან დათმობაზე, ასწია რა მან ფასი პურზე. ეს სამწუხარო მოვლენაა, რომ ჩვენ მოგვიხდა დათმობა, მაგრამ სწორად მოიქცა პარტია, როდ ეს მომენტი დაიჭირა".

ამრიგად მემარჯვენეების აზრით პარტიის პოლიტიკას საშვალო გლეხობის მერყეობა განსაზღვრავს, თურმე მხოლოდ საშვალო გლეხობის მერყეობაზეა აგებული ლენინური დებულება მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ და ამ კავშირის შენარჩუნება. ნუ იტყვით, ეს ყოველივე შესაძლებელი ყოფილა მხოლოდ „დათმობათა" საშვალებით.

წინასწარ, საკითხების უფრო მეტად გარკვევისათვის, საჭიროა ერთ მნიშვნელოვან დებულებაზე პასუხის გაცემა:

ბოლშევიკური პარტია აქცევს თუ არა ყურადღებას საშუალო გლეხთა მერყეობას?

იქვს გარეშეა, რომ კომუნისტური პარტია საჭირო ყურადღებას აქცევდა გლეხთა ხმას, გლეხობის სულიერ განწყობილებას, განსაკუთრებით მის უდიდეს ნაწილს „ცენტრალურ ფიგურას"—საშუალო გლეხობის მერყეობას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბოლშევიკური პარტია გლეხობისადმი პოლიტიკის გამომუშავების დროს, როგორც ეს მემარჯვენეებს წარმოუდგენიათ, მხოლოდ საშუალო გლეხობის განწყობილებას აქცევდეს ყურადღებას და სხვას არაფერს. ლენინის თქმით საშუალო გლეხობა „მერყევი კლასია", ამიტომ პარტია გლეხობისადმი ტაქტიკის გამომუშავების დროს, სხვა მომენტებთან ერთად, საშუალო გლეხობის მერყეობასაც იღებს მხედველობაში. ლენინი ყოველთვის გვირჩევს სოფლად მუშაობის პოლიტიკის დასახვის დროს, ვიხელმძღვანელოთ კლასობრივი დამოკიდებულებით და განსაკუთრებით გამოვარკვიოთ ხომ არ არის შემთხვევითი ხასიათის საშუალო გლეხთა მერყეობა, თუ მას ღრმა სოციალური ფესვები აქვს. აი რას ამბობს ლენინი ამის შესახებ: „ჩვენი პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ტაქტიკის შერჩევის დროს იხელმძღვანელო კლასობრივი დამოკიდებულებით, რომ ჩვენ ამ საკითხში სწორად გავერკვეთ. რა არის ეს—უხასიათობის, მერყეობის შემთხვევითი გამოაშკარავებაა, რომელთაც არ აქვთ არავითარი საფუძველი, თუ, პირიქით, ეს პროცესია, რომელსაც აქვს ღრმა სოციალური ფესვები"—(ლენინი ტ. XV, გვ. 578)

ლენინის ამ გარკვეულ პასუხის შემდეგ მემარჯვენეთა დებულება, თითქოს საკითხი გლეხობასთან კავშირის შესახებ აგებულია საშუალო გლეხთა ყოველგვარ მერყეობისათვის ანგარიშის გაწევაზე ზღაპრულ ხასიათს ღებულობს. მაშ თუ ეს ასეა, საკითხავია, რაღა მნიშვნელობა ენიჭება გლეხთა მერყეობას? თამაშობს თუ არა ის რაიმე როლს?

გლეხთა მერყეობას პარტიის პოლიტიკის გამომუშავების საქმეში სათანადო ადგილი უჭირავს. საშუალო გლეხთა მერყეობა ერთგვარ მაჩვენებელ როლს თამაშობს. თუ საშუალო გლეხობა მერყეობს ბურჟუაზიის სასარგებლოდ—კულაკების მხარეზე, მაშინ ეს მერყეობა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის დამოკიდებულების დარგში ვერა გვაქვს ყველაფერი წესზე, რომ საჭიროა მთელი რიგი ღონისძიებათა მიღება არანორმალურ მოვლენათა აღმოსაფხვრელად. თუ კი მერყეობა პირიქითი მიმართულებისაა, ე. ი. პროლეტარიატის მხარეზე, მუშათა კლასის სასარგებლოდ, მაშინ გლეხობისადმი პარტიის დამოკიდებულების საკითხები უცვლელი რჩება. მაგრამ პარტიას არ შეუძლია თავისი ტაქტიკა გლეხობის მიმართ მხოლოდ „საშუალო გლეხთა მერყეობაზე" ააგოს და მხედველობაში არ მიიღოს სხვა ობიექტიური მოვლენები. პარტია კი საშუალო გლეხთა მერყეობას ვერ აყვება, წინააღმდეგ შემთხვევაში ის თავის თავს დაიუძლურებს. ლენინი ამის შესახებ გარკვევით სწერს: „წვრილი ბურჟუაზიის, წვრილი გლეხის ეს მერყეობანი არა შემთხვევითია, არამედ მისი ეკონომიური მდგომარეობის აუცილებელი შედეგია.. **პროლეტარიატი დაიუძლურებს თავის თავს თუ კი ის ნებას მისცემს თავის პარტიას აქანაოს, როგორც ქანაობს წვრილი ბურჟუაზია.** პროლეტარიატი შეასრულებს თავის ამოცანას მხოლოდ მაშინ, თუ კი შესძლებს დიად მიზნისაკენ სვლას ურყევად, წაიყოლიებს რა წინ წვრილ ბურჟუაზიას... (ლენინი. „პრავდა" № 260, 7 ნოემბ. 1928 წ.).

ლენინის ამ სიტყვების შინარსი სრულიად უსუსურს ხდის მემარჯვენეთა „დათმობის თეორიას" და ცხადათ ააშკარავებს ამ „თეორიის" ანტიბოლშევიკურ ხასიათს. მაშ საიდან გამომდინარეობს მემარჯვენეთა „დათმობის თეორია"? მემარჯვენეთა „ფილოსოფიის" მთელი უბედურება იმაშია, რომ ისინი ვერ ხედავენ პროლეტარიატსა და გლეხობის შორის განსხვავებას, როგორც კლასების განსხვავებას, მათ ავიწყდებათ ლენინის შესანიშნავი აზრი: „ისტორიაში ჩვენ პირველად გვაქვს საქმე ისეთ საზოგადოებრივ წესწყობილებასთან, როდესაც ექსპლოატატორთა კლასი მოშორებულია, მაგრამ როდესაც ჩვენ გვყავს ორი სხვადასხვა კლასი,—მუშათა კლასი და გლეხობა"-ო.

თუ კი ტროცკიზმი გლეხობაში მხოლოდ რეაქციონურ როლს ამჩნევს და რევოლიუციონურს კი ვერა, სამაგიეროთ მემარჯვენეები პირიქით, გლეხობაში რეაქციონურ მხარეს ვერ პოულობენ და რევოლიუციონურს კი გადაჭარბებით აფასებენ. ეს იმ დროს როდესაც გლეხობაში ერთიც და მეორეც მოცემულია: „გლეხი როგორც მშრომელი ისწრაფვის სოციალიზმისაკენ, აძლევს რა უპირატესობას მუშათა დიქტატურას, ბურჟუაზიის დიქტატურასთან შედარებით, გლეხი როგორც პურის ვაჭარი ისწრაფვის ბურჟუაზიისაკენ; ვაჭრობის თავისუფლებისაკენ, ე. ი. უკან.. კაპიტალიზმისაკენ" (ლენინი ტ. XV, გვ. 227) მემარჯვენეთა გლეხობის შეფასება კი, ლენინის ამ დებულებას ძირშივე ეწინააღმდეგება.

ლენინის თეორია მუშებისა და გლეხების კავშირის შესახებ რადიკალურად განსხვავდება, „მემარცხენე" და მემარჯვენეების „თეორიიდან". საკითხის უფრო ნათელსაყოფად, საჭიროა გამოვნახოთ ის სარჩული, რომელსაც ლენინი ამ ორი კლასის ბლოკის აუცილებლობას უდებდა. სწორედ ამ ძირითად, მნიშვნელოვან და გადამწყვეტ საკითხშია ბოლშევიკური პარტიის განსხვავება ყველა ჯურის ოპორტუნისტულ პარტიებისაგან. კომუნისტური პარტია წინააღმდეგ მენშევიკებისა, ტროცკისტებისა და მემარჯვენეებისა, დაყრდნობილი მარქსის დიალექტიურ მატერიალიზმის საფუძვლებზე, ყოველთვის გლეხობის ორგვარ ბუნებისაგან, მისი ხასიათის ორმაგ შინაარსიდან გამოდიოდა. როგორც ზემოდ ვთქვით, ლენინი გლეხობაში ხედავს კერძო მესაკუთრესაც და მშრომელსაც. ლენინი ყოველთვის აღნიშნავდა, რომ გლეხები არის არა მარტო „წვრილი მეპატრონე, მესაკუთრე და ვაჭარი, არამედ საკმაოდ მნიშვნელოვანი (ჩამორჩენილ რუსეთში კი ვეებერთელა) მშრომელთა მასა, რომელიც შეკავშირებულია მშრომელთა საერთო ინტერესთან—მემამულეებისა და კაპიტალისტებისაგან განსათავისუფლებლად". (ლენინი. ტ. XV გვ. 354).

გლეხობის ამ რევოლიუციონურ მხარეს ვერ ხედავენ ტროცკისტები. მემარჯვენეებმა კი კულაკები საშუალო გლეხობას შეურთენ, მთელი გლეხობა კი პროლეტარიატს და ამგვარად მიჩქმალეს პროლეტარიატის ჰეგემონიის როლი გლეხობასთან დამოკიდებულების საქმეში. ლენინიზმი კი გლეხობაში წინააღმდეგ წვრილ ბურჟუაზიულ პარტიების იდეოლოგიისა, ორ მხარეს არჩევს: რევოლიუციონურს და რეაქციონურს. ლენინს გლეხობას ეს ორი მხარე იმ თავითვე შესწავლილი ჰქონდა. ის ჯერ კიდევ შორეულ წარსულში, პლეხანოვის მიერ წარმოდგენილ რ. ს. დ. მ. პ. პროგრამის პროექტის შესახებ შენიშნავდა: „პროგრამის პროექტი დადებითად ლაპარაკობს წვრილ ბურჟუაზიის რევოლიუციონერობაზე... და არც ერთ სიტყვას არ იხსენიებს მის კონსერვატორობაზე (თუნდაც რეაქციონერობაზე). ეს სრულიად ცალმხრივია და არა სწორი"-ო. (ლენ. II კრ. გვ. 79).

ამრიგად, საკითხი ნათელია. ლენინის თეორიას მუშათა და გლეხთა კავშირის შესახებ საფუძვლად გლეხობის ორმაგი მხარე უდევს —რევოლიუციონური და რეაქციონური. მაგრამ, რამდენადაც ვიცით, როგორც კაპიტალიზმის, ისე პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში გლეხობა სხვადასხვა ფენებისაგან შესდგება: ღარიბი, საშუალო და კულაკი. გლეხობის რევოლიუციონური მხარე ყველაზე უფრო ღარიბ გლეხობაში სჩანს, მხოლოდ რეაქციონური—კულაკობაში. რევოლიუციონური და რეაქციონური თვისებების გამომხატველი ეს საშუალო გლეხობაა, ამიტომ ლენინი მას სამართლიანად „მერყევ კლასს" უწოდებდა. ლენინის თეორია მუშათა და გლეხთა ბლოკის შესახებ, სრულებითაც არ ნიშნავს კავშირს ან, ერთი ოტის ოდენა დათმობას კულაკობისადმი.

რა თქმა უნდა, ღარიბ გლეხობისადმი დათმობაზე ლაპარაკი ზედმეტია. ვინაიდან ის მატერიალური თუ სხვა ღონისძიებანი, რომელნიც ღარიბების მიმართ ტარდება, ეს დათმობა კი არ არის, არამედ ის დახმარებაა მუშათა კლასის მხრივ თავის მონათესავესადმი სოფლად, რომელსაც ის ეყრდნობა „როგორც სისხლი სისხლთაგანს და ხორცი ხორცთაგან"-ს. როდესაც ვლაპარაკობთ დათმობაზე, აქ ჩვენ მაშინვე მუშათა კლასის ნახევრად ანტიპოდი, მეორე კლასი უნდა ვიგულისხმოთ. ეს კლასი კი საშუალო გლეხობაა. მაშასადამე მუშათა კლასისაგან დათმობა მხოლოდ საშუალო გლეხობისადმი ხდება. და, მართლაც, ლენინი დათმობაში, მხოლოდ საშუალო გლეხობისადმი დათმობას გულისხმობს. „ეკონომიურ დათმობებს, გლეხობისათვის ვაკეთებდით. ეს დათმობები მშრომელთა იმ ნაწილისათვის კეთდებოდა, რომელიც ქვეყნის უმრავლესობას წარმოადგენს"-ო. (ლენინი ტ. XVIII, გვ. 271).

ვინ წარმოადგენს ჩვენს სინამდვილეში ქვეყნის უმრავლესობას? ცხადია აქ ლენინი საშუალო გლეხობაზე ლაპარაკობდა. ლენინი საშუალო გლეხობისადმი დათმობის შესახებ უფრო გარკვევით შემდეგს ლაპარაკობს: „ჩვენ დავამტკიცეთ ეს, მივიღეთ და მკაცრად გავატარეთ რა კანონი მიწის სოციალიზაციის შესახებ; ამ კანონში ბევრი დათმობებია საშუალო გლეხობის ინტერესებისა და შეხედულებებისადმი... ეხლანდელი კავშირი არის სრული შედუღება სოფლის ღარიბებთან; დათმობა და შეთანხმება საშუალო გლეხებთან; შეუბრალებელი შეტევა კულაკების, ამ სისხლის მსმელების, ვამპირების, ხალხის მძარცველების წინააღმდეგ". (ლენინი ტ. XX, ნაწ. II, გვ. 258). და იმის შემდეგ, როდესაც მემარჯვენეები ლაპარაკობენ საერთოდ გლეხობისადმი დათმობაზე ან და აყენებენ მოთხოვნილებას ისეთი დიდი დათმობის შესახებ (მაგ. პურზე ფასების აწევა 70 პროც. და კიდევ მეტით), რომელიც ფაქტიურად ხდება კულაკობისადმი დათმობად, განა ეს არ ნიშნავს ლენინის თეორიის გადასინჯვას საშუალო გლეხობასთან დამოკიდებულების საკითხში? მაშ რა უწოდოთ ამას, თუ არა ანტილენინელობა და ლენინიზმის „რევიზიონისტობა"? მემარჯვენეთა მიმართ სხვა სახელი არ არსებობს.

ეხლა ვიკითხოთ, მართალია თუ არა მემარჯვენეთა „თეორია" იმის შესახებ, თითქოს მუშათა და გლეხთა კავშირის ლენინური თეორია მხოლოდ გლეხობისადმი დათმობაზეა აგებული, თუ გარდა დათმობისა მთელი რიგი ღონისძიებანი შედის ამ თეორიაში?

ამ საკითხის შესახებ ამხ. სტალინი ცეკას ივლისის პლენუმის შედეგებზე გაკეთებულ მოხსენებაში გარკვეულ პასუხს იძლევა: „ხანდისხან ამბობენ, რომ კავშირის (მუშ. და გლეხთა,—ს. მ.) უზრუნველსაყოფად ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი რეზერვი—გლეხობისადმი დათმობის რეზერვი. გამოდიან რა აქედან, ხანდისხან ქმნიან განუწყვეტლივ დათმობათა თეორიას, ფიქრობენ, რომ განუწყვეტელი დათმობით მუშათა კლასს შეუძლია თავის თავის გაძლიერება.

ეს არ არის სწორი, ამხანაგებო. ეს სრულიად არ არის სწორი, ასეთ თეორიას შეუძლია დაღუპოს მთელი საქმე. ეს უიმედობის თეორიაა. იმისათვის, რომ განამტკიცო კავშირი, შენს განკარგულებაში გარდა დათმობების რეზერვისა, უნდა გქონდეს მთელი რიგი სხვა რეზერვები სოფლად სამეურნეო დასაყრდენ პუნქტების სახით (კოლექტივის განვითარება, კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობანი), აგრეთვე პოლიტიკურ დასაყრდენ პუნქტების სახითაც (გაძლიერებული მუშაობა ღარიბთა შორის და ღარიბთა უზრუნველყოფა დახმარებით). საშუალო გლეხობა მერყევი კლასია. ჩვენ ვერ ვეხმარებით ღარიბებს, თუ საბჭოთა ხელისუფლება სუსტია სოფლად, საშუალო გლეხობას შეუძლია მერყეობა, მერყეობა კულაკების მხარეზე. და პირიქით: თუ ღარიბთა დახმარება უზრუნველყოფილია, შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ საშუალო გლეხობა მერყეობს საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე".

ამის შემდეგ მემარჯვენეთა დებულება იმის შესახებ, თითქოს, მუშათა და გლეხთა კავშირის საფუძველი გლეხობისადმი მხოლოდ დათმობებია, ისევ ზღაპრულ ხასიათს ღებულობს. ეს „ბუჩქებს იქით, ტყის არ დანახვას ნიშნავს".

როგორც აღვნიშნეთ, დათმობა გლეხობისადმი დასაშვებია. წინააღმდეგ მემარჯვენეებისა, ლენინი მხოლოდ საშუალო გლეხობისადმი დათმობას გვასწავლიდა. მაგრამ საკითხავია, აქვს თუ არა ამ დათმობას თავისი საზღვარი? თუ ის, მემარჯვენეების თქმის არ იყოს, მართლადაც განუსაზღვრელია? ლენინი არასდროს არ ხელმძღვანელობდა იმ ლოზუნგით, რომლითაც „დათმობათა თეორიის" ქურუმები ხელმძღვანელობენ: „უკეთესია დაუთმოთ მეტი, ვიდრე არ დაუთმოთ", ეს ლოზუნგი, როგორც ვხედავთ, დათმობის განუსაზღვრელ ხასიათს ატარებს. ასეთი დებულება კი, ისე როგორც მემარჯვენეების დებულება, საერთოდ, ძირიან-ფესვიანად ეწინააღმდეგება ლენინიზმს. ლენინი არასოდეს არ ლაპარაკობდა განუსაზღვრელ დათმობაზე. ის ამ დათმობებს თავის საზღვარს უდებდა. აი საამისო ადგილებიც: „ჩვენ ყოველგვარ დათმობაზე წავალთ იმის ფარგლებში, რაც ხელს უწყობს და ამაგრებს პროლეტარიატს, რომელიც მიუხედავად სიძნელეებისა და წინააღმდეგობისა, ურყევად მიდის კლასების მოსპობისა და კომუნიზმისაკენ". (ლენინი. ტ. XVIII, ნაწ. I, გვ. 272).

აი მეორე ადგილიც: „ჩვენ წავალთ ყველა დათმობაზე, რომელიც გვამაგრებს ჩვენ და ანადგურებს მტრის ძალებს". (იქვე გვ. 355).

ლენინს დათმობების არ ეშინოდა, მაგრამ იმ პირობით, რომ მუშათა კლასი გაბატონებულ კლასად უნდა დარჩენილიყო: „მეტ დათმობებს გავაკეთებთ, რასაკვირველია პროლეტარიატისაგან დათმობის შესაძლებლობის ფარგლებში, ისე რომ ის გაბატონებულ კლასად დარჩეს"-ო. ამბობს ლენინი. კავშირის დათმობა ჩვენ გვჭირდება არა იმისათვის, რომ დავაკანონოთ კლასები, არამედ იმისთვის, რომ მოვსპოთ ისინი, გლეხობისა და მუშათა კლასის დაახლოვების გზით.

კავშირი ჩვენ იმიტომ კი არ გვჭირდება,— ამბობს ამხ. სტალინი—რომ სამუდამოთ შევინარჩუნოთ კლასები, კავშირი ჩვენ გვჭირდება იმისათვის, რომ დავუახლოვოთ გლეხობა მუშათა კლასს, ხელახლა აღვზარდოთ გლეხობა კოლექტივიზმის სულისკვეთებით და ამრიგათ მოვამზადოთ მისი ლიკვიდაცია, კლასის მოსპობა სოციალისტური საზოგადოების საფუძველზე. ვისაც ეს არ ესმის, ან არ სურს აღიაროს, ის მარქსისტი—ლენინელი არ არის, ის გლეხობის ფილოსოფია, რომელიც იცქირება უკან და არა წინ". (სტალინის მოხსენება ცეკას ივლისის პლენუმის შედეგებზე).

ლენინი კომინტერნის მესამე კონგრესზე გარკვევით ამბობდა: „ჩვენ უცხადებთ გლეხობას სრულიად აშკარად, რომ იმათ უნდა ამოირჩიონ ან ბოლშევიკების ხელისუფლება, (ჩვენ წავალთ ყოველგვარ დათმობაზე იმ ფარგლებამდის, სანამდისაც შესაძლებელია ხელისუფლების შენარჩუნება, შემდეგ კი წავიყვანთ მათ სოციალიზმისაკენ) ან და ბურჟუაზიული ხელისუფლება"-ო. (იქვე, გვ. 329).

ამრიგად ლენინი ხსენებულ თავის სიტყვებში აშკარად ლაპარაკობს დათმობებზე, მაგრამ იქვე საზღვრავს მათ. მაშასადამე, მემარჯვენეთა თეორია „უკეთესია დაუთმოთ მეტი—ვიდრე არ დაუთმოთ"-ო, ჩვენი ბელადის სიტყვებით რომ ვსთქვათ, ისე უახლოვდება ლენინის თეორიას, როგორც „ქრისტიანი იუდას კოცნა—ქრისტეს, ან და ბისმარკი მუშათა მოძრაობას".

სევ. მინდაძე.

საბჭოთა აპარატის გაჯანსაღებისათვის

ვინ უნდა გავდევნოთ საბჭოთა აპარატიდან

მოვამზადოთ დაწინაურებულ მუშათა კადრი გაწმენდილთა შესაცვლელად

მავნებლები საბჭოთა დაწესებულებებში

(წერილი გურიიდან)

სოციალისტურ მშენებლობის დღევანდელ პერიოდში უმნიშვნელოვანესი როლი უჭირავს საბჭოთა აპარატის მოქნილ და ჯანსაღ მუშაობას, იმ დირექტივათა შესრულების საქმეში, რომელსაც პარტია და ხელისუფლება იძლევა.

საბჭოთა აპარატში, რომ მრავალი, კლასიურად მიუღებელი პირობები არიან, ეს უტყუარი ფაქტია. პარტიამ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი აპარატის გასაჯანსაღებლად. პარტიას უნდა დავეხმაროთ. ვინც თავდადებულად იბრძვის სოციალიზმის საქმისათვის, მან გაბედულად უნდა გამოამჟღავნოს სოციალისტურ მშენებლობის ხელისშემშლელნი.

ოზურგეთის მაზრიდან საკმაო რაოდენობა-- არიან გასული სხვადასხვა ადგილზე გაიძვერები, რომლებიც გურიის გლეხკაცობაში ავტორიტეტს უკარგავს ხელისუფლებას. ესენი არცხვენენ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს. ბევრია ამის მაგალითები. გავიხსენოთ კოჯორის სკოლა, კახეთის ტრესტის ბუღალტერი პაიჭაძე და სხვა. ოზურგეთის მაზრის მშრომელებმა უნდა აღიმაღლონ ხმა და გზავნონ მამხილებელი მასალები სათანადო ორგანოებში იმ გაიძვერა პირებზე, რომლებიც გურიიდან გაიპარნენ და სხვა ადგილზე სახელს უტეხენ პროლეტარიატის დიქტატურის ორგანოებს.

ამას გარდა მაზრაში ბევრი მოიპოვება საბჭოთა აპარატის წმენდის კანდიდატები. აი ზოგი მათგანი:

კოტე გვაზარია. მსახურობს ბუღალტრად „საქართველოს ჩაის" ოზურგეთის ცენტრალურ სადგურში. ყოფ. გენერლის შვილი, ყოფ. პოლკოვნიკი, რესპუბლიკის სხვადასხვა ადგილას მსახურობდა. გაფლანგვისათვის პასუხისგებაში მიცემული, ბიუროკრატი, დღესაც ამაყობს მისი პოლკოვნიკობით, რომლის დროსაც თავის ძაღლს ჯარის კაცები დააგლეჯინა.

კიკიტია კალანდაძე — ცნობილი ბანდიტის ტიპი. „ოსობი ოტრიადჩიკი", მას ცხოვრებაში ქეიფის და გარყვნილების მეტი არაფერი უკეთებია. რაღაც მახინაციებით მოეწყო ხიდის თავის „ეპო"-ში, ისიც გასტრონომიულ განყოფილებაში (ალბად იციან კიკიტიეს გემო).

ხოსიკო ბერძენიშვილი, ნაგომრის საბჭოთა აფთიაქის გამგე, ყოფილი ოფიცერი და მერმედ როგორც დიდ „ჩინ-ეპოლეტებიანი", მენშევიკების დროსაც გვერდს იმშვენებდა ექსელ ბანტებით ცნობილ რეაქციონერ ასლანბეგის ადიუტანტობის დროს ოზურგეთში. ფლანგავდა სახალხო ქონებას. უაღრესად გარყვნილი ადამიანი. მთელი გურიის მოსახლეობა იცნობს მის „კვაჭობას". უკანასკნელად ის მსახურებდა ბათომში და აქტიური მონაწილე იყო იმ ქეიფის, რომელსაც მართავდნენ აჭარ-სახმედვაჭრობის პასუხისმგებელი ხელმძღვანელები სახელმწიფო ფულებით. ამ ამბის გამოაშკარავების შემდეგ მას იქ წყალი შეუდგა და რაღაც მახინაციებით სუფსამ ნაგომარში გამორიყა.

მიხაკო ქილიფთარი, გამფლანგველი. მთელმა გურიამ იცის, როგორ მიითვისა ნაგომრის „ეპო"-ს ქონება, ამბობენ იმასაც, რომ ამ გაფლანგული ფულებით ვილაცამ ბედნიერი ცხოვრება მოაწყოო. ამისათვის ციხეშიც იჯდა. დღეს კი ეს გამფლანგველი მოწყობილია კომუნალურ მეურნეობაში ამშენებლობის ზედამხედველად.

სანდრო თოიძე, ბნელი წარსულის მქონე (ვაჭრობდა სპირტით), გაკულაკების გზაზე დამდგარი, ბიუროკრატი, მუშებს ძალზე უხეშად ეპყრობა, საუბედუროდ პარტიის წევრია. მუშაობს ქარხნის ბუღალტრად ოზურგეთში.

უშანგი მამაკაძე. ხევის თემალმასკომის მდივანი, გახრწნილი, სისტემატიურად ლოთობს, გლეხებს ატყუილებდა და ფულს ართმევდა სახდაზღვევის ბლანკების შევსებისთვის. საერთოდ ლოთობის და თამადობის მეტს იგი არაფერს აკეთებს.

საშურა ურუშაძე. ლანჩხუთის თემალმასკომის მდივანი. ყოფილი პრაპორჩიკი და ბნელი წარსულის მქონე. ავარობის და ოხრობის მეტს არაფერს აკეთებდა. ეხლაც არ იშლის კომბინატორობას. მან სამოსახლო მასალა უკანონოდ გაჰყიდა. ხელს არ აკლებს იმასაც, რომ ცოტა „საქმის" გაკეთებისათვის ვინმეს რაიმე გააფცქვნას:

ჯაველიძე ბექტარიონ. თავსურების საფერშლო პუნქტის გამგე, სისტემატიურად ლოთობს, ავადმყოფების მიღების მაგივრად გალეშილი აგდია ბიბინეიშვილის ტრაქტირში ძმა-ბიჭებთან. საუბედუროდ ის პარტიის კანდიდატია.

მეხი.

ვაჭარი—კავშირის წევრი

მოქ. პ. ლ. სარიშვილი ცნობილი ვაჭარი და მოიჯარადრეა, რომელიც ტყავს აძრობს გლეხობას. მიუხედავად ამისა რაღაც მოხერხებით და მამიდაშვილობის წყალობით იგი შევიდა პროფკავშირში და სულ მალე სამუშაოც იშოვა.

— კავშირის წევრი კი არა, მალე პარტიის მანდატსაც ვიგდებ გვერდზეო—ამაყად იკვეხის სარიშვილი თავის ძმა-ბიჭებში. რამდენათ განახორციელებს ამ კვეხნას არ ვიცით, მაგრამ ის კი ცხადია, რომ თავისი კომბინატორული მოხერხებით მან ხელთ იგდო საკუთარი ჯიბის სასარგებლოდ დიდი საქმე.

სარიშვილმა ხელშეკრულება დასდო ქალაქის ალმასკომთან 1.500 კუბ. საჟ. მაგარი ჯიშის შეშის დამზადების შესახებ. პირველად სარიშვილი, არ სთხოვდა ავანსს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვით, საქმით კი, მთელი შეშის ღირებულება წინასწარ გაიტანა ალმასკომის სალაროდან.

როგორი შეშა დაამზადა სარიშვილმა? მან მაგარი ჯიშის შეშის მაგიერ, დაამზადა ლეღვი, ტირიფი, ხურმა და სხვ. გადავხედოთ ეხლა მის „შტატს", დამამზადებელი—სარიშვილი, გამომტანი—სარიშვილი, მიმღები—სარიშვილი და ჩამბარებელი—სარიშვილი. ყველა ამაში მოქ. სარიშვილი ღებულობს განსაკუთრებულ სპეციალურ ხელფასს. ამაზედ არის ნათქვამი: „მეჭურჭლე ქოთანსო". ასე ყვლეფს კავშირის წევრი, მოქ. სარიშვილი ალმასკომს და გლეხობას.

მეთვალყურე.

აპარატის გაჯანსაღება

პარტიის რიგების წმენდის შემდეგ, საბჭოთა აპარატის გაწმენდის საკითხი მორიგი და მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია გადადგმული წინ საამშენებლო მუშაობის წარმოებისათვის.

აპარატის გაჯანსაღებისათვის საჭიროა ორი აუცილებელი ელემენტის შეთავსება: საქმის წარმოების გამარტივება-რაციონალიზაცია და შემადგენელი პერსონალის სათანადო შერჩევა.

ადმინისტრატიული პერსონალის და წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელის შერჩევას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იქ, სადაც ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მოქცეულია ბიუროკრატიზმის სენით დაავადებული ხელმძღვანელი, ადვილად ედება ეს სენი მთელ ნაწილს და მაგრად იკიდებს ფეხს. რა იწვევს ამ მოვლენას?

ამას იწვევს აპარატის მუშაობის საქმიანობის სუსტი ცოდნა ან სულ არ ცოდნა, მომუშავეთა შემადგენლობის შრომის და შრომის უნარიანობის გაუცნობლობა; გულგრილი და ცივი დამოკიდებულება აპარატში მომუშავეებისადმი; ვიწრო, მხოლოდ კაბინეტის ფარგლებით შემოზღუდული მუშაობის წარმოება და სხვა.

დაწინაურებული, აქტიური მუშა, რომელსაც შესწევს ძალა და აღჭურვილია მტკიცე, კომუნისტური ნებისყოფით. შესძლებს ძველებური კაბინეტური მუშაობა გადააქციოს პრაქტიკულ საქმიანობად. მოახდინოს დაკვირვება დაწესებულებების საქმიანობაზე, გააცნოს მუშა-მოსამსახურეებს შრომის ნაყოფიერება და სხვა, რაც ერთი უმთავრესი და მასთან თითქმის სრულიად შეუსწავლელი საკითხია ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში.

წარმოება-დაწესებულებათა გაწმენდა მავნე და უცხო ელემენტებისაგან საშუალებას მისცემს ჩვენს აპარატს უფრო მტკიცედ და წარმატებით მოჰკიდოს ხელი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს და ძირიანფესვიანად აღმოფხვრას დაუდევრობის, უყაირათობის და ბიუროკრატიზმის ნაშთები. მშრომელთა ფართე მასებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ დიდ საქმეში.

ჯაფარ-ფაშა.

პროფკავშირების მონაწილეობა საბჭოთა აპარატის წმენდაში

საბჭოთა აპარატის გამწმენდ რესპუბლიკანურ კომისიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე მოისმინა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენლის—ამხ. **მარკმანის** მოხსენება.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ პროფსაბჭომ უკვე დაამუშავა გეგმა პროფორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ საბჭოთა აპარატის წმენდაში, საკითხი წმენდის შესახებ განხილული იქნა პროფაქტივის საქალაქო კრებაზე. სახკომატების მოხსენებების მოსმენა ვერ მოხერხდა, თუმცა ეს საჭიროებას წარმოადგენდა. ამას ხელი შეუშალა სხვადასხვა კამპანიების ჩატარებამ (ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის რეალიზაციის კამპანია, საერთაშორისო წითელი დღის ჩატარება და სხვ.). კლუბების მონაწილეობა მასების ყურადღების მობილიზაციის საქმეში წმენდის საკითხების ირგვლივ, საგრძნობლად მოისუსტა. ამ გარემოებას პროფსაბჭომ მიაქცია სერიოზული ყურადღება და მისცა წინადადება კულტ-განყოფილებას, რათა კლუბებმა აქტიური მონაწილეობა მიიღონ წმენდის ამოცანების პოპულარიზაციის საქმეში და ფართოდ გაშალონ სააგიტაციო მუშაობა.

პროფკავშირებმა გამოჰყვეს მუშათა ბრიგადები 130 კაცის შემადგენლობით. ეს ბრიგადები მიმაგრებული იქნენ სხვადასხვა კომისარიატებზე. დღემდე ვერ შევძელით ლიტერატურისა და საჭირო პლაკატების გამოცემა წმენდასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამ ნაკლის გამოსასწორებლად უკვე მიღებულია ზომები. პროფსაბჭომ გადასწყვიტა საბჭოთა აპარატის წმენდა 14 აგვისტოდან დაიწყოს სოცდაზღვევის კომიტეტის ორგანოებში.

მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათის დამთავრების შემდეგ სხდომამ დაადგინა, რომ გაძლიერდეს საგიტაციო და ახსნა-განმარტებითი კამპანიის ჩატარება წარმოება-დაწესებულებებში, მოსმენილი იქნეს სახ. კომისარიატების მოხსენება პროფაქტივის სხდომებზე, დაჩქარდეს წმენდასთან დაკავშირებულ საკითხებზე სათანადო ლიტერატურისა და პლაკატ-ლოზუნგების გამოცემა.

დასასრულ სხდომამ გამოჰყო კომისია ამხ. **კაიშაურის** (მ.-გ. ინსპექციიდან), **კობახიძის** (სტალინის სახელობის მთ. სახელოსნოს მუშებიდან) და ამხ. **კომახიძის** (ს.პ.კ.ს.) შემადგენლობით. ამ კომისიას დაევალა გამოიკვლიოს დამხმარე კომისიების მუშაობა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებებთან, რომლებიც გამოყოფილნი არიან წმენდისათვის პირველ რიგში. ამავე სხდომამ რესპუბლიკანურ გამწმენდ კომისიის მდივნად გამოჰყო ამხ. **კაიშაური.**

კბილები გაუსინჯეთ

ქალაქის [illegible] თავმოყრილია ყოფილ ხალხთა ხროვა, რომელთა თაიგულის სურნელოვანება სწამლავს წარმოებაში მყოფ მომუშავეთა ურთიერთობას. ამ ხალხს, თავის პირად სამსახურის გარდა სხვა არაფერი არ ახსოვთ. ავიღოთ თუნდაც ყოფილი მღვდელი მოლოდინი. მას პრეტენზიები ძალიან დიდი აქვს. მიუკარებლობა და ყოველგვარ საზოგადოებრიობიდან შორს დგომა. უარესი, ხმის უფლებას მოკლებულია. კავშირში მოიკალათა და სამსახურშიც იმედიანად არის.

სტრაევსკი. ყოფილი მეფის ერთგული მონა. დღეს, როგორც „სპეცი", მაგრად არის მოკალათებული სამსახურში. გაუსწორებელი კავშირის წევრი, სტურუა. სისტემატიური სიმულიანტი, რის გამოც შავი დაფაც იხილა. ცნობილი ლოთი ბოლოტინი, რომელიც ერთ დღეს ფხიზელი არ არის. მრავალი გაკიცხვები და გაფრთხილებები აქვს მიცემული, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. მოქ. უთმელიძე, ყოფილი მეფის ოფიცერი. გაფლანგვისათვის იჯდა ციხეში. კონტროლიორად ყოფნის დროს სისტემატიურად მთვრალი იყო. ამ ვაჟბატონს ადგილკომი მფარველობს და ყველგან წინ აყენებს, რადგან პურმარილი ჯერ არ დასძველებიათ.

ვფიქრობთ ახალი დირექტორი კბილებს დაუსინჯავს ამ ხალხს და სათანადო გზასაც მოუნახავს მათ.

კოოპერატორი.

ვაჭრების კოლექტივი

თბილისის შრომის ბირჟას ეკუთვნის გაერთიანებული შრომის კოლექტივი წითელ საშაქარლამო კოლექტივის გამგის თანაშემწე ტიგრან ოსიპოვი ყოფილი ვაჭარია. მან თავის კერძო საწარმოო დახურა 1927 წლის ბოლოში. ოსიპოვი ღებულობს თვეში ორას მანეთს. ის თავისუფლად გრძნობს თავს და კოოპერატიულ „იარლიკის" ქვეშ ათასგვარ ბოროტებას სჩადის. კოლექტივის მაღაზიის გამგეთ არის **პაპოიანის ქალი** (ყოფილი ვაჭარი). მან ამ ერთი წლის წინათ დახურა თავის კერძო სავაჭრო და შევიდა კოლექტივში.

კოლექტივის გამგეს არ ესმის შრომის კანონები. უხეშად არღვევს კოლხელშეკრულებას. შრომის დისციპლინა მოისუსტებს, ადგილი აქვს სამუშაო საათების გაცდენას, არავითარ ანგარიშს არ უწევს მუშების მოთხოვნილებას და სხვ. გამგე ძალიან ხშირათ თვრება და უწესოდ იქცევა. საერთოდ ამ კოლექტივში მთელი რიგი სისაძაგლეს აქვს ადგილი: პროდუქტის დაკარგვა, ფულის გაფლანგვა, ზედმეტი ხარჯები და სხვ.

კოლექტივის კანტორაზე იხარჯება ორი ათასი მანეთი. იმ დროს, როდესაც უკანტოროდაც შეიძლება კოლექტივის მუშაობა. მით უმეტეს, რომ შრომის ბირჟასთან არსებობს გაერთიანებული სამმართველო. შრომის ბირჟამ რაციონალურად უნდა მოაგვაროს კოლექტივის მუშაობა.

მსუბუქი კავალერისტი.

ყოფილი ადამიანების თაიგული

ბათუმის საბაჟოში

ბათუმი, 8 აგვისტო. ბათუმის საბაჟოში, წინად ჩატარებული წმენდის მიუხედავათ, ისევ მსახურობენ „ყოფილ ადამიანები". აი ისინი: **ვლადიმერ მხეიძე** — ყოფილი თავადი. მისი მამა მეფის დროს სასახლის საპატიო ყარაულში იყო. თითონ მხეიძე ყოფილი ნაციონალ - დემოკრატია, თავის დროზე გასამართლებული იყო ანტისაბჭოთა მოქმედებისათვის. სასჯელისაგან განთავისუფლებულ იქნა ამნისტიით. **ვიქტორ დიდია** — ყოფილი აზნაური, ზუგდიდის მაზრის უფროსის ყოფილი თანაშემწე. 1923 წელს ჰბრალდებოდა სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგ გამოსვლა. **გიორგი ლიპარტიანი** — ყოფილი მღვდელი, დაპატიმრებული და გასამართლებული იყო საბჭოთა ხელისუფლების დროს. **კონსტანტინე აბაშიძე** — ყოფილი თავადი საჩხერიდან, აშკარად ანტისაბჭოთა განწყობილებისაა. **ნიკოლოზ ლაზარაშვილი** — სოფელ აბაშის ყოფილი მღვდელი, არაერთხელ იყო დაპატიმრებული და გასამართლებული ბანდიტიზმისათვის. **ვასილ ციციშვილი** — ყოფილი თავადი. **ივანე ცერცვაძე** — მენშევიკური არმიის ყოფილი ოფიცერი და მენშევიკური მილიციის ყოფილი უფროსი. ამჟამად მას კავშირი აქვს საბჭოთა ხელისუფლებისათვის უცხო ელემენტებთან. 1925 წელს გასამართლებულ იქნა. ბრალი ედებოდა იმაში, რომ როცა ქუთაისი საბჭოთა ჯარს ეჭირა, იგი ფულს აგროვებდა მენშევიკური არმიის სასარგებლოდ. (ადს)

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა

ხუთწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების საწინდარია

აგვისტოდანვე შეუდგეთ ობლიგაციების ღირებულების შეტანას ხაზინაში

სესხის მნიშვნელობა

და

ობლიგაციების შეძენის პირობები

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მშენებლობის 5 წლიანი გეგმის განხორციელება მოითხოვს მთელი ქვეყნის ფინანსიურ შესაძლებლობათა უდიდეს დაჭიმვას. იმისათვის, რომ დაძლეულ იქნას არსებული სამეურნეო დაბრკოლებანი, და ტეხნიკურად ჩამორჩენილი ქვეყანა გარდაიქმნას სოციალისტურ ქვეყნათ, საჭიროა გავაერთიანოთ მშრომელთა საშუალებანი და მიზანშეწონილად განვახორციელოთ სოციალისტური მშენებლობისათვის ყველა აუცილებელი ღონისძიებანი. უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგში, მაგრამ ეს მიღწევები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ დაკმაყოფილებული იქნას ცხოვრების მიერ წამოყენებული მატერიალურ - კულტურული მოთხოვნილებანი: ჩვენი მეურნეობის განვითარების ტემპი არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს. ჩვენი მიზანია არა მარტო დავეწიოთ ეკონომიურ - კულტურულათ დაწინაურებულ სახელმწიფოებს, არამედ გაუსწროთ მათ და ჩვენი ქვეყნის მეურნეობა მოვაწყოთ ახალ სოციალისტურ საფუძვლებზე. ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა — დავაჩქაროთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის ტემპი. ამ საქმეში კი დიდი დახმარების გაწევა შეუძლია საშინაო სესხს.

სახელმწიფო კრედიტს ამ ბოლო წლებში თანდათან განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა. იგი დიდ ადგილს იჭერს სახელმწიფო ბიუჯეტში. სახელმწიფო კრედიტის განვითარება კი მოწმობს იმას, რომ საბჭოთა კავშირის მოსახლეობა და, განსაკუთრებით, მშრომელი კლასი თანაგრძნობით ხვდება სახელმწიფო სესხებს და მთავრობის იმედებს სავსებით ამართლებს. დღემდე გამოშვებული ყველა სახელმწიფო სესხები დიდი წარმატებით იქნა განაღდებული მთელს კავშირში და კერძოდ საქართველოში. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის განაღდების შედეგი, რომელიც საქართველოში ჩატარდა 125 პროცენტის გადაჭარბებით. მოთხოვნილება მეორე სესხის ობლიგაციებზე დაუკმაყოფილებელი დარჩა. მოსახლეობის თანაგრძნობის საუკეთესო დამამტკიცებელია აგრეთვე მუშა - მოსამსახურეთა სტიქიური ხელმოწერა ინდუსტრიალიზაციის ახალ სესხზე, რომელიც ჯერ გამოშვებულიც არ არის. ახალი სესხის გამოშვება საფინანსო გეგმით გათვალისწინებული იყო მხოლოდ დეკემბრიდან, მაგრამ საკავშირო მთავრობამ ანგარიში გაუწია რა მშრომელთა შეგნებულ მოთხოვნას და წინასწარ ხელმოწერას, გადასწყვიტა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხი გამოუშვას დეკემბრიდან, ხოლო ხელმოწერის ჩამოსაყალიბებლად მუშაობა ჩაატაროს ამთავითვე.

სესხის პირობები შემდეგია:

სესხი გამოშვებული იქნება 10 წლის ვადით და 750 მილიონი მანეთის რაოდენობით. ობლიგაციები ამ სესხისა, ისე როგორც ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის, იქნება პროცენტიან - მომგებიანი და უპროცენტო - მომგებიანი. პროცენტიან - მომგებიან ობლიგაციები იქნება 250 მილიონი მანეთის, უპროცენტო მომგებიანი კი — 500 მილიონი მანეთის. ამ ორ გამოცემათა შორის ის განსხვავებაა, რომ პროცენტიან - მომგებიან გამოცემის სესხში შემოსავლის 6 პროცენტი ობლიგაციის მქონებელს მიეცემა მტკიცე სარგებლის სახით, ხოლო 4,4 პროცენტი კი გათამაშებული იქნება მოგებების სახით; უპროცენტო - მომგებიანი გამოცემის სესხში ობლიგაციების მთელი შემოსავალი, ე. ი. ყველა 10,4 პროცენტი სესხის შემოსავლისა, გათამაშებული იქნება მოგებების სახით და მაშასადამე, შანსი მოგებისა ამ გამოცემით თითქმის ორჯერ მეტია.

ობლიგაციები არის 50 მანეთიანი და 25 მანეთიანი, რომლებიც იყოფა მეხუთედ ნაწილებად. ამის და მიხედვით თვითეული მეხუთედი ნაწილი ობლიგაციისა ღირს ათი მანეთი და 5 მანეთი.

კოლექტიურ ხელმომწერთათვის დაწესებულია შეღავათები, რომელიც გამოიხატება ფულის ვადაგანაწილებით გადახდაში. სახელდობრ, კოლექტიურ ხელმომწერლებს უფლება აქვთ ვალი დაჰფარონ 1930 წლის 1-ლ ივლისამდე იმ ვარაუდით, რომ ყოველ თვეში გადახდილ იქნას ხელმოწერილი თანხის არა ნაკლებ ერთი მეათედისა, ხოლო თუ ხელმოწერა ამთავითვე იქნება ჩატარებული და პირველი ხვედრი ნაწილი ფულისა აგვისტოში იქნება გადახდილი, მაშინ შენატანების რაოდენობა სათანადოდ შემცირდება და ათი თვის ვადის ნაცვლად ხელმომწერლებს მიეცემათ თერთმეტი თვე. ინდივიდუალურ ხელმომწერლებს ხელმოწერილი თანხის გადასახდელათ ეძლევათ სამი თვის ვადა. ნაღდ ფულზე მყიდველთათვის დაწესებულია მეორე სახის შეღავათიც, რომელიც გამოიხატება ობლიგაციების ფასის დაკლებაში, სახელდობრ ნაღდზე მყიდველთათვის 50 მანეთიანი ობლიგაცია გაიყიდება 15 სექტემბრამდე 47 მანეთად და 90 კაპ., შემდეგ კი ყოველი ათი დღის განმავლობაში ფასი მოიმატებს და დეკემბერში გაიყიდება ნომინალური ღირებულების მიხედვით, ე. ი. 50 მანეთიანი ობლიგაცია გაიყიდება 50 მანეთად.

კოლექტიურ ხელმომწერლებს ფული დაეკავებათ თვეში ორჯერ, ჯამაგირების დარიგების დროს და პირველი შენატანის შემდეგ მათ სახელზე გამოწერილი იქნება ობლიგაციების ნომრები.

ინდუსტრიალიზაციის მე-3-მე სესხის პირველი ტირაჟი მოხდება 1930 წ. 1-ლ თებერვალს. ობლიგაცია, რომელსაც მოგება შეხვდება, შემდგომ გათამაშებებში მონაწილეობას აღარ მიიღებს, იგი დაიფარება და მოგებული თანხის გარდა ობლიგაციის პატრონი მიიღებს ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასაც.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის შეძენით ქალაქი და სოფელი თავისი დანაზოგი თანხებით დაეხმარება თავის მთავრობას იმ უდიდესი ამოცანების გადაჭრაში, რომლებიც ჩვენი პარტიის და ხელისუფლების დღის წესრიგში დგანან ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში. პროფკავშირების ყოველ წევრმა და სოფლის თვითეულმა მეურნემ უნდა შეიძინოს ამ სესხის ობლიგაცია.

დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ სესხის განაღდების კამპანია ფართოდ გაიშლება და გადამეტებით შევასრულებთ დავალებას. ამის თავდებია ის დიდი ენტუზიაზმი, რომელსაც მშრომელი ხალხი იჩენს შინაურ სესხებისადმი.

გალ. ვაშაძე

სესხის რეალიზაცია

წარმატებით მიმდინარეობს

სესხზე ხელის მოწერა ცალკე კავშირებში

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელის მოწერა პროფკავშირებში გაერთიანებულ მუშა-მოსამსახურეთა შორის წარმატებით მიმდინარეობს, რასაც ადასტურებს პროფსაბჭოს მიერ მიღებული ჯერ კიდევ არა საბოლოო ცნობები. ეს ცნობები შეეხება მხოლოდ თბილისს. ფეიქართა პროფკავშირის მიერ გაერთიანებულ წევრებიდან თბილისში ხელი მოაწერეს 66.608 მანეთზე (მათი თვიური ხელფასი კი უდრის 60021 მანეთს), მშენებელთა პროფკავშირში გაერთიანებულ 14 წარმოებაში—90980 მანეთზე, სახალხო კვების პროფკავშირის წევრთა ხელმოწერამ თბილისში მოგვცა 36807 მანეთი (ყველამ მოაწერა ხელი არა ნაკლებ 1 თვის ხელფასის რაოდენობისა) განათლების კავშირის წევრთა უმრავლესობამ ხელი მოაწერა 1 ნახ. თვის ხელფასის რაოდენობით, მბეჭდავთა კავშირის 10 წარმოებაში—33.750 მანეთზე, ქიმიკოსთა კავშირის 4 წარმოებაში—31.000 მანეთის, სახალხო შეერთების კავშირში (ფოსტა-ტელეგრ.) ხელმოწერა 1 თვის ხელფასს აღემატება. მეტყევეთა კავშირის 5 წარმოებაში თვიური ხელფასი უდრის 73200 მანეთს, სესხზე ხელმოწერა კი 73545 მანეთს (პირველი და მეორე ტყავის ქარხნების ყველა მუშებმა შესაბამისად კოლექტიურად ჩააბარეს პირველი და მეორე სესხების ობლიგაციები). კავშირების მთელ რიგ სამაზრო ორგანიზაციებში ხელმოწერა თვიურ ხელფასზე ნაკლები არ არის და ზოგ ადგილას 2 თვის ხელფასზედაც აღწევს.

ხელს ვაწერ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 400 მანეთის რაოდენობით და ვიწვევ საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმიდგან შემდეგ თანამშრომლებს: **ნარსიას, მასკალიოვს, ერზიკიანს, ზარგარიანს, ნ. ელიავას; პ. ჯანელიძეს,** ინჟ. **გედევანიშვილს** და **ს. ჩხეიძეს.**

ნიკოლოზ ქობულაშვილი.

—:—

ჩინეთის ხუნხუზების საპასუხოდ

31 ივლისს თბილისის ალმასკომის განათლების განყოფილების მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებულ კრებაზე, ინდუსტრიალიზაციის მე-3 სესხის გამოშვების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. სოხიანმა, რომელმაც მოკლედ განმარტა საბჭოთა ამშენებლობის ეკონომიკა და პოლიტიკური პოზიცია ხელისუფლების გარდამავალ ხანაში, კრებამ ერთხმად მოიწონა მე-3 ინდუსტრიალიზაციის გამოშვება და მიიღო დადგენილება 130 მან. ჯამაგირის მქონე მუშა-მოსამსახურემ ხელი მოაწეროს ერთი თვის ხელფასის რაოდენობით და მასზე ზევით კი—ორი თვის ხელფასზე. აგრეთვე კრებამ მიიღო დადგენილება შეინარჩუნოს ხელზე ან კოლექტიურად როგორც მე-2, ისე მე-3 ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციები. კრებამ გამოიწვია შემდეგი დაწესებულებები: განათლების სახალხო კომისარიატი, მთიელთა კულტურული საზოგადოება, განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობა და თბილისის ყველა შრომის სკოლები.

—:—

30 ივლისს რუსთაველის თეატრში შესდგა ამავე თეატრის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე წინასწარ ხელის მოწერის და ინდუსტრიალიზაციის დღის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა ხელოვნების კავშირის თავმჯდომარემ ამხ. **დ. დიასამიძემ.** კრებამ დაადგინა ხელი მოაწერონ მესამე სესხზე ორი თვის ხელფასის რაოდენობით და იმუშაონ ერთი დღე ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად, გარდა ამისა კრებამ გადასწყვიტა შეინახონ ინდუსტრიალიზაციის როგორც მეორე, ისე მესამე სესხის ობლიგაც. კოლექტიურად და გამოიწვიონ რუსთაველის თეატრის დასის მსახიობები და რეჟისორები, რათა მათ მოაწერონ ხელი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე.

—:—

პროფსაბჭოს თანამშრომელთა საერთო კრებამ გამოიტანა დადგენილება, რათა ხელი მოაწერონ ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე თვენახევრის და ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

—:—

მიწა-ტყის პროფკავშირის და გაზ. „მოჯამაგირის ხმა"-ს რედაქციის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელი მოაწერეს ორი თვის ხელფასის რაოდენობით.

პასუხად პირველი კლინიკური ინსტიტუტის გამოწვევაზე ვენინსტიტუტის თანამშრომლები აღფრთოვანებით შეხვდენ ამ საკითხს და თავიანთ საერთო კრებაზე ერთხმად დაადგინეს მიიღონ მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის შესახებ სესხის რეალიზაციაში, რაც გამოიხატება ერთი თვის ჯამაგირის გადადებაში და თავიანთი მხრივ იწვევენ: ცენტრალურ ამბულატორიას, მე-7 ამბულატორიას, ვერის ამბულატორიას და ცენტრალურ პოლიკლინიკას.

მესამე სესხის რეალიზაციის საინიციატივო სამეული.

—:—

შინამრეწველ-ხელოსანთა შორის

სახელმწიფო სესხის ხელისშემწყობი კომისიის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელისმოწერა შინამრეწველ-ხელოსანთა არტელებში. 7 აგვისტოს უდრიდა:

„ავტოტრანსპორტ"-ში—6.395 მან., „გრუზხრომკოჟ"-ში—5.835 მან., „ქრა-კერვა"-ში—4.075 მან., „ხიმკოოპ"-ქი—2.000 მან., „სმიჩკა"-ში—1.025 მან., „ტეხნოხიმ"-ში—4.500მ., „კაბლუკ"-ში—5.000 მან., „შრომა"-ში—12.000 მან., „ოქტომბერში"—7.000 მან., „პიშჩევიკ"-ში—3.500 მან., „ინტერნაციონალ"-ში—1.200 მან., „ზარია"-ში—5.800 მან., „უროჟაი"-ში—5.6000 მან., „შტამპომეტალ"-ში—1.800 მან., „მკერვალ"-ში—5.000 მან., „ძაფმაუდ"-ში—3.500 მან., „პროლეტარში"—1.000 მან., „კარტონაჟნიკში"—1.400 მან., „ხიმ-კოოპ"-ში—2.160 მან., „მიწა„-ში—2.000 მან., „მშრომელში"—2.155 მან., „ისკრაში"—1.875 მან., სულ 84.820 მანეთი, ხელისმოწერა გრძელდება.

სას.-სამ. მანქანა-იარაღების განაწილება

თბილისის ალმასკომის მიწადმოქმედებას განყოფილება უკვე შეუდგა სამზადისს საშემოდგომო თესვისათვის. ამ მიზნით მან უკვე დაანაწილა სასოფლო სამეურნეო მანქანა-იარაღები ადგილებისათვის. განაწილების მიხედვით აღბულაღის თემს მიეცემა 23 გუთანი, 2 ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, ასურეთს—24 გუთანი, წალკს—20 გუთანი და 2 ფარცხი, მანგლისს—11 გუთანი (სხვადასხვა სისტემისა) და ერთი ფარცხი, თიანეთს—13 გუთანი, ერთი ფარცხი და ერთიც მწკრივზე მთესველი მანქანა, ერწოს—19 გუთანი, 2 ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, დუშეთს—15 გუთანი და 2 მწკრივზე მთესველი მანქანა, მუხრანს—17 გუთანი, ნატახტარს—20 გუთანი, ერთი ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, მცხეთას—15 გუთანი და ერთი ფარცხი, დიღომს—7 გუთანი, ორი ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, ავჭალას—8 გუთანი და ერთი ფარცხი, მარტყოფს—28 გუთანი, 2 ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, სართიჭალას—20 გუთანი, 3 ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა. საგარეჯოს—27 გუთანი. ერთი ფარცხი და ერთი მწკრივზე მთესველი მანქანა, ყარაიაზს 25 გუთანი, „სოფლის მეურნეს 8 გუთანი.

რა ხდება ადგილებზე

მარგანეცის ექსპორტი

ფოთი, 7 აგვისტო. ივლისის განმავლობაში ფოთიდან გავიდა მარგანეცით დატვირთული უცხოეთის 12 გემი, რომლებმაც წაიღეს 61.717 ტონა მარგანეცი. (ადს).

მეთამბაქოების მსხვილი საბჭოთა მეურნეობა

სოხუმი, 7 აგვისტო. მოსკოვიდან მიღებული ცნობებით, „ტაბაკსირიო"-ს გამგეობამ, შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივებთან დაკავშირებით, მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთში მეთამბაქოობის მსხვილი საბჭოთა მეურნეობის მოწყობის შესახებ. საბჭოთა მეურნეობა მოეწყობა გაგრის მაზრაში, სადაც, მასთან დაკავშირებით, უნდა მოხდეს ზოგიერთი სამელიორაციო სამუშაო. საბჭოთა მეურნეობისათვის განზრახულია გამოიყოს 1.500 ჰექტარი მიწა, რომელიც სავსებით გამოსადეგია მაღალხარისხოვანი მეთამბაქოობისათვის. საბჭოთა მეურნეობა მოეწყობა რაციონალური თესლბრუნვის პრინციპის მიხედვით. ეს იქნება საბჭოთა მეურნეობა—კომბინატი. საბჭოთა მეურნეობის მოსაწყობად განზრახულია გადაიდოს მილიონ ნახევარი მანეთი. (ადს).

საბჭოთა მეურნეობის მოსავლის რეალიზაცია

სოხუმი, 7 აგვისტო. „ილიჩ"-ის საბჭოთა მეურნეობის ბაღების მთელი მოსავალი (ვაშლი, მსხალი, და სხ.) შეიძინა „აბსელსოიუზ"-მა 15.000 მანეთად, „მესამე ინტერნაციონალ"-ის საბჭოთა მეურნეობის მოსავალი—ქლიავი და ვაშლი—შეიძინა „ზაკგოსტორგ"-მა საექსპორტოდ.

საბჭოთა მეურნეობამ „ილიჩ"-მა დრანდის რაიონში მოაწყო გლეხთა მინდვრების დამუშავება. ილეწება შემოდგომის პური, რისთვისაც გამოყოფილია ერთი ტრაქტორიანი სალეწი მანქანა. (ადს).

ბეტონის ქვებისა და მილების დამამზადებელი ქარხანა

სოხუმი, 7 აგვისტო. აფხაზეთის ს. მ. უ. საბჭომ 1929-30 წლის საკონტროლო ციფრებში შეიტანა სავარაუდო თანხა სოხუმში ბეტონის ქვებისა და მილების დამამზადებელი ქარხნის ასაგებად. (ადს).

საერთო ტერიტორიალური შეკრება

მიმდინარე წლის სექტემბერში ამხ. ფრუნზეს სახელობის მე-2 ქართ. მსრ. დივიზია ატარებს მორიგ საერთო ტერიტორიალურ შეკრებას.

შეკრება, რომელზედაც უნდა გამოცხადდენ 1902, 1903, 1904 და 1905 წელში დაბადებული ცვალებადი წითელი არმიელები, ჩატარდება ტერიტორიალური დივიზიის საზაფხულო ბანაკში.

შეკრებიდან არავინ არ იქნება განთავისუფლებული. ყოველი ცვალებადელი, რომელსაც ეხება შეკრებაზე გასვლა, ვალდებულია გამოცხადდეს თავის დროზე მიწერილ ლეგიონის შტაბში.

ცვალებადელებიდან გამოყოფილ რწმუნებულებს ევალებათ დროზე აცნობონ თავისი რაიონის ცვალებადელებს შეკრებაზე გამოცხადების დრო და მიიღონ ყოველგვარი ზომები, რომ ყველა ცვალებადელი დროზე გამოცხადდეს ნაწილში.

ის ცვალებადელები, რომლებიც შემჩნეული იქნებიან დეზერტირობაში, ან ეცდებიან აირიდონ თავიდან შეკრებაზე გამოცხადება, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.

სახელმწიფო, საზოგადოებრივი დაწესებულება-წარმოებები ვალდებულნი არიან დროზე გაანთავისუფლონ ცვალებადელები სამსახურიდან და გაუსწორონ ანგარიში, თანახმად არსებული კანონმდებლობისა.

ყველა ცვალებადელებს, რომელიც გაიწვევა ერთთვიან საერთო შეკრებაზე, ენახება სამსახურის ადგილი.

მეორე ქართული საარტილერიო ლეგიონი წინადადებას აძლევს ლეგიონის ცვალებად მეთაურებს გამოცხადდენ საერთო შეკრებაზე ლეგიონის შტაბში ამა წლის 17 აგვისტოს.

ლეგიონზე მიწერილი ცვალებადი უმცროსი მეთაურები და წითელი არმიელები, დაბადებულნი 1902, 1903, 1904 და 1905 წელში ცხადდებიან საერთო შეკრებაზე შემდეგ ვადებში და შემდეგ სამოსწავლო წერტებზე: **თბილისის რაიონი**—31 აგვისტოს, დილის 10 საათზე—თბილისში, კლარა ცეტკინის ქუჩა, № 119; **ქუთაისის რაიონი**—31 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ქუთაისის სამხედრო კომისარიატში; **ხონის რაიონი**—31 აგვისტოს, 5 საათზე, ხონის სამოსწავლო წერტზე; **სამტრედის რაიონი**—31 აგვისტოს, 10 საათზე, სამტრედიის სამოსწავლო წერტზე.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი

აბრეშუმის მრეწველობაში

საქ. მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემომღები კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილ იქნა აბრეშუმის ტრესტის მოხსენება საქართველოს აბრეშუმის მრეწველობაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წელს აბრეშუმის მრეწველობაში განუწყვეტელი მუშაობის შემოღებას ხელს უშლის ორი უმთავრესი დაბრკოლება: პირველი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ აბრეშუმის მოსავალი ცუდია და მოსავლის განზრახულ რაოდენობას დააკლდება 40.000 ფუთი. ამის გამო შეუძლებელი ხდება ექსპორტის გეგმის შესრულებასთან ერთად აბრეშუმის მრეწველობის დაკმაყოფილება ნედლეულის ისეთი რაოდენობით, რომ განუწყვეტელი მუშაობა შესძლონ ყველა ქარხნებმა.

მეორე უმთავრესი დაბრკოლება მდგომარეობს იმაში, რომ აბრეშუმის მრეწველობაში არსებული ორთქლისა და ელექტრონის მეურნეობას არ შეუძლია ქარხნებს მიაწოდონ ენერგიის საკმაო რაოდენობა.

საქმის მდგომარეობის გაცნობის შემდეგ კომისიამ [illegible] აღიარა, რომ აბრეშუმის მრეწველობის ზოგიერთ წარმოებებში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი შემოღებული იქნეს მომავალი სამეურნეო წლის მეორე [illegible], კერძოთ, კომისიამ მსჯელობა [illegible] ქუთაისის აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში განუწყვეტელი საწარმოო წელიწადის შემოღების შესახებ და დაადგინა, რომ იქ შემოღებული იქნეს 2 ცვლათ მუშაობა და ფაბრიკა განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადაყვანილ იქნეს მიმდინარე წელშივე.

აბრეშუმის ტრესტს დაევალა დაწვრილებით შეისწავლოს ცალკე წარმოებებში განუწყვეტელ მუშაობის შემოღების საკითხი და შეიმუშაოს ღონისძიებები დაბრკოლებების თავიდან ასაცილებლად.

ელექტრო-მშენებლობის პერსპექტივები მომავალი წლისათვის

(ა.-კ. ს.მ.უ.ს. მასალებიდან)

ამიერ-კავკ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობებით მომავალი სამეურნეო წლის განმავლობაში დაწყებული იქნება მთელ რიგ რაიონული, ადგილობრივი და სასოფლო მნიშვნელობის ელექტრო-სადგურების მშენებლობა.

საქართველოში მომავალ სამეურნეო წელს იწარმოებს—რიონჰესის ჰიდრო-ელსადგურის გაფართოება, დაიწყება აგრეთვე ზაჰესის გაფართოება 37.000 ცხენის ძალის სიძლიერის სადგურამდე. მუშაობა ზაჰესის გასაფართოებლად უნდა დასრულდეს 1931—32 სამეურნეო წლისათვის ე. ი. იმ დროისათვის, როდესაც მზად იქნება ფერო-მარგანეცის ქარხანა.

ახალი ჰიდრო-ელსადგურების მშენებლობა დაიწყება: მდ. ალაზანზე, სადაც აგებული უნდა იქნეს 4.500 ცხ. ძალიანი სადგური, მუშაობა დაჯდება 2.200.000 მანეთი. აღნიშნული სადგურის საამშენებლო სამუშაოები დაიწყება 1931—32 საბიუჯეტო წელს.

მომავალ წელს დაწყებული იქნება აგრეთვე გუმისტისა და გალიზგის ჰიდრო-ელსადგურის აგება. გუმისტის სადგურის ძალოვნება განსაზღვრულია 1.750 ცხ. ძალით და დაჯდება 2.500.000 მანეთი.

გალიზგის სადგური ენერგიას მიაწოდებს ტყვარჩელის სამრეწველო რაიონს. გალიზგის სადგურის აგება დაჯდება 3.000 000 მანეთი. მისი ძალოვნება განსაზღვრულია 3.500 ცხენის ძალით.

მომავალ წლის განმავლობაში საქართველოში დაიწყება 6 სასოფლო მნიშვნელობის ელექტრო-სადგურის აგება.

აზერბეიჯანში და სომხეთში დაიწყება შემდეგი ელსადგურის აგება: განჯაში—ორი ელსადგურის, ჩურნაბადში 2700 ცხ. ძალიანი ახალი სადგურის და ნუხაში ახალი ადგილობრივი მნიშვნელობის ჰიდრო-ელსადგურის აგება. სულ მომავალ წელს მთელ ამიერ-კავკასიაში ასაგებ ელექტრო - სადგურებმა უნდა მოგვცენ 32.101 ცხენის ძალის ენერგია.

შვებულებების მიცემის წესები

დამზღვევი სალაროს ხაზით

ამიერ-კავკ. სოცდაზღვევის სამმართველომ წინადადებით მიმართა სოციალური დაზღვევის რესპუბლიკანურ კომიტეტებს და ყველა დამზღვევ სალაროებს, რომ მიმდინარე საზაფხულო სეზონის განმავლობაში დაზღვეულთათვის შვებულებების მიცემის დროს იხელმძღვანელონ შემდეგი წესებით:

ვინაიდან სოციალური დაზღვევის ორგანოები ამჟამად იმყოფებიან ფინანსიური დაბრკოლებების წინაშე, რაც გამოწვეულია უმთავრესად დროებით შრომის უნარდაკარგულთათვის შვებულებებისა და კომპენსაციების მიცემით, ამიტომ მიმდინარე ზაფხულზე ავადმყოფ დაზღვეულებს შვებულებები არ უნდა მიეცეთ და ისინი დაკმაყოფილებულნი უნდა იქნენ მხოლოდ მათი სამსახურის ადგილიდან კუთვნილი შვებულებით. ზაფხულის პერიოდში შვებულებები უნდა მიეცეს მხოლოდ იმ დაზღვეულს, რომელზედაც ხდებოდა ხანგრძლივი სამკურნალო მეთვალყურეობა, რომელსაც უსათუოდ ეჭირვება საზაფხულო კურორტზე წასვლა მკურნალობის გასაგრძელებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზღვეულს აქვს სანატორიუმში გაგზავნის მოწმობა პროფესიონალური, ან სამეურნეო ორგანოდან —მას შვებულება უნდა მიეცეს მხოლოდ მაშინ, თუ ამოწურულია მკურნალობის ყველა დანარჩენი საშუალებანი.

საექიმო-საკონტროლო კომისიაში გასავლელათ დაზღვეულმა აუცილებლათ უნდა წარადგინოს ყველა საჭირო დოკუმენტები იმის დასადასტურებლათ, რომ მასზედ ხდებოდა ხანგრძლივი საექიმო დაკვირვებები.

ყველა დანარჩენ შემთხვევებში დაზღვეულს შვებულება მიეცემა მხოლოდ მწვავე ავადმყოფობის, ან ისეთი ქრონიკული დაავადებისას, როდესაც მას აღარ ექნება შესაძლებლობა იმუშაოს. ქირურგიული ავადმყოფობის შემდეგ (ოპერაციები), ან ტიფის ავადმყოფობის შემდეგ, დაზღვეულებს შვებულება მიეცემათ იმ წესების თანახმად, რომელსაც შეიმუშავებენ სოც. დაზღვევისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები.

კრედიტების განაწილება კოლმეურნეობებს შორის

ა. კ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა თავისი მოგებიდან საქ. კოლმეურნეობათა ცენტრს გადასცა 16.500 მანეთი კოლმეურნეობებზე გასანაწილებლად. კოლმეურნეობის ცენტრმა ხსენებული თანხა გაანაწილა შემდეგნაირად: ანთოკის სასოფლო-სამეურნეო კომუნას—1000 მან., თბილისის მესაქონლეთა არტელს „წყარო"-ს—800 მანეთი, ამხ. ბოლქვაძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელ „გლეხის ოჯახს"—400 მანეთი, ამხ. ლადო სუხიშვილის სახელობის მარტყოფის არტელს—400 მანეთი, ბაზალეთის არტელ „იმედს"—800 მანეთი, კუმისის სასოფლო-სამეურნეო არტელს—400 მანეთი, დიღომის არტელებს „გუთანს" და „მარანს"—2000 მანეთი (თვითეულს 1000 მანეთი), ციხის ჯვრის (გორის მ.) სასოფლო-სამეურნეო არტელს—1000 მანეთი, ლანირის კომუნას—1000 მანეთი, ქვემოჭალის არტელს—500 მანეთი, ლებალათაურის (სენაკის მ.) კომუნას—2000 მანეთი, ვანის არტელს—500 მანეთი, ზემო-მაჩხაანის არტელს „განთიადს"—6000 მანეთი, ჩუმლაყის არტელ „გუთანს"—500 მანეთი, ბოგიშის მესაქონლეობის არტელს (ლეჩხ. მ.)—600 მანეთი, აფხაზეთის კოლმეურნეობათა ცენტრს (გასანაწილებლად 2000 მანეთი, აჭარისტანის—1000 მანეთი და სამხრეთ-ოსეთის—1000 მანეთი.

პარტგანათლების ძირითადი ქსელის პროპაგანდისტთა გადასამზადებელი კურსები

ს.კ.პ. (ბ) ც.კ. აგიტპროპბეჭდვითი განყოფილება და პოლიტგანათლების მთავარმმართველობა იუწყება, რომ ა.-წ. 15 აგვისტოდან დაიწყება მეცადინეობა პარტგანათლების ძირითადი ქსელის პროპაგანდ. ერთთვიან კურსებზე. ძველი შემადგენლობის პროპაგანდისტებიდან მოწვეულია მხოლოდ ზოგიერთები (რომელთა გადამზადება აუცილებლობას წარმოადგენს), გარდა ამისა მოწვეული არიან ახალი მუშაკებიც, სახელდობრ:

1) სტურუა არკადი, 2) ტატიევი ილია, 3) ჯიბლაძე გიორგი, 4) ქითანავა თოფანე, 5) ხუბულავა ნიკოლოზ, 6) მექვაბიშვილი ნოე, 7) დონდუა ამბროსი, 8) ბერუთაშვილი სიმონ, 9) ჯატიევი ვარდენ, 10) მარკალაია ლევან, 11) ლობჟანიძე გიორგი, 12) მეტრეველი სერგო, 13) კალანდაძე სერგო, 14) შეყლაშვილი კარპეზ, 15) [illegible] ივანე, 16) კვინტრაძე პანტელეიმონ, 17) კახიძე პეტრე, 18) ტატარიანი გეურქ, 19) შიხლინსკი (ბორჩალო), 20) ისმაილ-ოღლი აკიპ, 21) აირაპეტიან არტ., 22) ეაბიან ივანე, 23) გალუსტიან თედავოზ, 24) ჩხეიძე ალი, 25) გასანოვი მამედ, 26) ჰელიძე გრიგოლ, 27) ცუცქირიძე არჩილ, 28) თვაური გიორგი, 29) სიმონიშვილი ზაქრო, 30) ქადიაშვილი კაპიტონ, 31) კვაშალი მიხეილ, 32) ჯიხაშვილი ნესტორ, 33) პერანიძე კოტე, 34) მაისურაძე ვარდენ, 35) გაბრიჩიძე იოსებ, 36) ლობჟანიძე გიორგი, 37) ქოჩაროვი ზაქრო, 38) ჯაყელი ოსმან, 39) მალრაძე ვასილ, 40) ცხაკაია ბონდო, 41) კუხალეიშვილი შალვა, 42) გვარამაძე გიორგი, 43) დისპუტაშვილი ნიკოლოზ, 44) გოგიაშვილი გრიგოლ, 45) მირცხულავა კოლია, 46) კიკნაძე ვარდენ, 47) ნეფარიძე იროდი, 48) ელიოზაშვილი იაკოფი, 49) კაკალოვი სარქის, 50) ხოშტარია გალაქტიონ, 51) გვენცაძე ილია, 52) გულაშვილი იოსებ, 53) გრძელიშვილი ლავრენტი.

გარდა ზემოაღნიშნული ამხანაგებისა ქვემოთ ჩამოთვლილ მაზრებმა და ოლქებმა ადგილებზე უნდა შეარჩიოს და გადმოგზავნოს:

1) აჭარისტანის ოლქკომმა—4 აჭარელი, 1 ბერძენი და 1 ქართველი; 2) აფხაზეთის ოლქკომმა—3 აფხაზი, 1 ბერძენი, 1 სომეხი, 1 რუსი და 1 ქართველი; 3) ოსეთის ოლქკომმა—3 ოსი; 4) თბილისის ოლქკომმა—2 თურქი, 1 სომეხი, 1 ბერძენი, 1 რუსი; 5) ახალციხის მაზრკომმა—1 თურქი; 6) ახალქალაქის—1 სომეხი, 1 თურქი; 7) გორის—1 ოსი; 8) კახეთის ოლქკომმა—1 ოსი, 1 რუსი და 1 თურქი; 9) ქუთაისის ოლქკომმა—1 ებრაელი; 10) წითელი არმია — თვითეულ დივიზიიდან ორ-ორი კაცი.

კურსებზე მოვლინებულნი აუცილებლად უნდა იყვნენ პარტწევრები ან კანდიდატები. განათლების მხრივ კი—არა ნაკლებ მეორე საფეხურის პოლიტსკოლა დამთავრებულნი.

კურსანტები უნდა გამოცხადდენ 15 აგვისტოს ც.კ-ს აგიტპროპბეჭდვითით განყოფილებაში (ოთახი № 13) ამხ. დ. კომახიძესთან (ან კურსების საერთო საცხოვრებელში, ენგელსის ქუჩა № 28).

კურსანტებმა თან უნდა იქონიონ საზაფხულო საბნები, ბალიშები და თეთრეული.

ხორჰურდაინ ჰაისტან

VI*)

რასაკვირველია, სრული არ იქნებოდა ჩვენი წარმოდგენა სომხეთის დღევანდელ კულტურულ მდგომარეობაზე, რომ მოკლედ არ გავეცნობოდით სახალხო განათლების ქსელს. უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში სომხეთს ამ ფრონტზედაც დიდი გამარჯვება აქვს მოპოვებული. თუ ომამდე განათლების დარგში იხარჯებოდა თვითეულ სულზე 90 კაპიკამდე, ეხლა ეს ციფრი უკვე 6,5 მანეთს აღწევს. სახალხო განათლების ყოველი დარგი და საფეხური შეუჩერებლად მიიწევს წინ. სომხეთს, რომელსაც ომამდე არ მოეპოვებოდა ერთი საბავშვო სახლიც კი, ეხლა აქვს 50-მდე სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულება. პირველი საფეხურის, შრომის სკოლების რიცხვი კი უდრის 743, სადაც 88 ათასი ახალგაზრდა სწავლობს. საჭიროებასთან შედარებით სომხეთში მცირეა მე-2 საფეხურის შრომის სკოლების რიცხვი, რომელიც 36 არ აღემატება. ფართოდ გაუდგამს ფეხი გლეხური ახალგაზრდობის სკოლებს, რომელთაც ორი სამი წლის განმავლობაში 34-სათვის მიუღწევია და თავის გარშემო შემოუკრებია 3.203 ახალგაზრდა გლეხი. ეროვნულ უმცირესობათა ახალგაზრდობისათვის გახსნილია 165 სასწავლებელი (ერთი თურქული პედაგოგიური ტეხნიკუმია). ჯერ-ჯერობით სკოლა არა აქვთ ეზიდებს. განსახკომმა ეხლახან შეიმუშავა მათთვის ახალი ალფავიტი, რომელიც განსახილველად წარდგენილია საკავშირო მეცნიერებათა აკადემიაში.

ფართო ხასიათს ღებულობს პროფტეხნიკური განათლებაც. სომხეთს აქვს 13 ტეხნიკუმი—ორი ინდუსტრიალური, ორი სასოფლო-სამეურნეო და თითო-თითო სამხატვრო, სამრეწველო კოოპერატიული და 7 პედაგოგიური. ყველა ამ ტეხნიკუმში სწავლობს 1.636 მოწაფე. ყოველწლიურად ეწყობა აგრეთვე კურსები. რაც შეეხება უმაღლეს განათლებას, სომხეთის უნივერსიტეტს, სადაც 1.324 სტუდენტი ირიცხება, აქვს 5 ფაკულტეტი: მედიკური, ტეხნიკური, სასოფლო-სამეურნეო, სოციალურ-ეკონომიური და პედაგოგიური შემდეგი დარგებით: ფიზიკო-მათემატიკური, სალიტერატურო-ისტორიული და ბიოლოგიური. შარშან 8 ნოემბერს ერევანს შემატა კიდევ ახალი უმაღლესი სასწავლებელი: ამიერ-კავკასიის საზეითლო ინსტიტუტი, უნივერსიტეტის პედაგოგიური პერსონალი შესდგება საკმაოდ ცნობილ ძალებისაგან, რომელთაგან ზოგიერთს საკავშირო ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

პოლიტგანათლების მხრიდაც დიდი ნაბიჯია გადადგმული: 417 წ. კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტი, მცირე მცოდნეთა (159 სკოლა) უმაღლესი ტიპის (4), საბჭოთა პარტიული—(5) სკოლები, 181 სოფლის სამკითხველო, 39 კლუბი, 141 წიგნთსაცავი, 14 მოძრავი და სტაციონალური კინო,—აი პოლიტგანათლების მდგომარეობის მაჩვენებელი ციფრები სომხეთში.

საკმაოდ ვრცელია სამეცნიერო დაწესებულებათა ქსელი, რომელშიაც შედიან სამეცნიერო და სახელოვნო ინსტიტუტი, ეჩმიაძინის სახელმწიფო წიგნთსაცავი, მხარეთ-მცოდნეობის ბიურო, სახელმწიფო მუზეუმი, რევოლიუციის მუზეუმი, წიგნის პალატა და სხვა. აღსანიშნავია პირველი მათგანის—სახელოვნო და სამეცნიერო ინსტიტუტის ნაყოფიერი მუშაობა; მას შეუკრებია და გამოუცია ხალხური სიტყვიერების დიდძალი ნიმუში (4.000 ლექსი), მეცნიერულად დაუმუშავებია კომპოზიტორ კომიტასის მიერ შეკრებილი 300 ხალხური სიმღერა, შეუდგენია, გამოუცია და გამოსაცემად დაუმზადებია: სომხური ენის ძირეული სიტყვარი (გამოცემულია ორი ტომი, მესამე და მეოთხე მზადდება), სომხური ენის განმარტებითი სიტყვარი (იბეჭდება); სამეცნიერო, საამშენებლო, იურიდიული ლექსიკონები (უკვე გამოცემულია), და ეხლა ემზადება პოლიტ.-ეკონ. სიტყვარი. როგორც ვხედავთ, ტერმინოლოგიის დამუშავება უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს სომხეთში, ვიდრე ჩვენში, თუმც ტერმინების დადგენაში ჯერ კიდევ ერთსულოვნება არ არსებობს; სომხურ სამეცნიერო ტერმინოლოგიას ქართულივით ჯერ კიდევ სიჭრელე ახასიათებს.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ მუშაობა ეჩმიაძინის სახელმწიფო წიგნთსაცავის და მხარეთმცოდნეობის ბიუროსი, რომლის ერთ-ერთი სექცია ამჟამად აწარმოებს ზვართნოცის მიდამოებში დამარხულ ქალაქის და უძველეს ქალაქ არმავირის არქეოლოგიურ შესწავლას.

ნაყოფიერია სახელმწიფო გამომცემლობის საქმიანობა. უკანასკნელ წლის სამ კვარტალში მას გამოუცია 200 სახელწოდების წიგნი, დაახლოვებით 200 ათასი ტირაჟით. საგამომცემლო სექტორებს შორის პირველი ადგილი უჭირავს სახელმძღვანელოებს, რომელთა საშუალო ტირაჟი 7—8 ათასს უდრის. ჩვეულებრივ, პოლიტიკური ან მხატვრული წიგნის ტირაჟი, ირყევა 2 ათასიდან 3 ათასამდე. სახელმძღვანელოების დიდი ტირაჟი იხსნება მით, რომ სომხეთის სახელგამი აკმაყოფილებს არა მარტო სომხეთის, არამედ მეზობელ რესპუბლიკების სომხური სკოლების საჭიროებას. როგორც განათლების სახკომისარმა ამხ. მრავიანმა გადმოგვცა—ყველა სახელმძღვანელო ღირსებით ჯერ კიდევ დამაკმაყოფილებელი ვერ არის. მომზადებულ პედაგოგიურ ძალების რაოდენობა, რომელთაც შეუძლია ახალი მეთოდით სახელმძღვანელოების დამუშავება მეტად განსაზღვრულია. ჩვენ იძულებული ვხდებით გამოვსცეთ ნაკლებ კვალიფიციური პირების მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით".

სათანადოთ მოუწესრიგებია სომხეთის სახელგამს მარქსისტული ლიტერატურის გამოცემის საკითხი: მზადდება და წელს გამოვა ლენინის თხზულებათა 5 ტომი, იცემა პლეხანოვის ნაწერები ხელოვნების და ფილოსოფიის საკითხებზე. ითარგმნება მარქსის „კაპიტალი" და სხვ. სომხური კლასიკური ლიტერატურის და აგრეთვე მსოფლიო კლასიკოსების გამოცემის საქმე წელს დაუბრკოლებია ქაღალდის ნაკლებობას; გეგმა მხოლოდ 25 პრ. შეუსრულებიათ, შეიძლება ბევრი რამ არა, მაგრამ საქართ. სახელგამზე მეტი გაუკეთებია სომხეთის სახელმწიფო გამომცემლობას მეზობელ ერთა ლიტერატურის გადასათარგმნათ და გასავრცელებლად სომეხ მშრომელ მასებში, უმთავრესად მოსწავლე ახალგაზრდობაში. გამოუცია ქართველ კლასიკ მწერალთა რჩეულ ნაწარმოების კრებული, გამოცემულია ცალკე წიგნებათ, აგრეთვე ძველი და ახალი თაობის მწერალთა თხზულებები. ჩვენსობას ბაზარზე გამოვიდა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერალთა კ. ლორთქიფანიძის და პ. სამსონიძის სომხურად ნათარგმნი მოთხრობები. გარდა ამისა, ჟურნალებში სისტემატიურად იბეჭდება თარგმნები უახლოესი ქართული ლიტერატურიდან. ასეთივე მუშაობა ჩატარებული აზერბეიჯანელი ლიტერატურის გადასათარგმნად და გამოსაცემად. მომავალი სამოსწავლო წლიდან განზრახულია სკოლებისთვის გამოიცეს ქრესტომატია, სადაც ქართველ და თურქი მწერლების მასალებით მხატვრულად იქნება გაშუქებული სომხურ ნაციონალიზმთან ბრძოლის საკითხები.

რაც შეეხება პერიოდულ გამომცემლობას, სომხეთში ამჟამად გამოდის სამი ყოველდღიური გაზეთი (ორი სომხურათ, ერთი თურქულად) რამოდენიმე კვირეული გაზეთი და სამი ყოველთვიური სამეცნიერო-მხატვრული ჟურნალი. ყველაზე მეტად გავრცელებული „ხორჰურდაინ ჰაისტანი" („წითელი სომხეთი"), მისი ტირაჟი 15 ათასს უდრის, დანარჩენი გაზეთების ტირაჟი—5-დან 10 ათასამდე.

***

ქართველ და აზერბეიჯანელ მწერლების სომხეთში გამგზავრების მიზანი პირველ ყოვლისა იყო გაცნობა სომეხ მწერლებისა და სომხეთის ლიტერატურის. მიუხედავად ამისა, ხელოვნ. დარგებს შორის ყველაზე მეტად გაუცნობი, ყველაზე უფრო „terra incognita"-დ დარჩა მწერლობა (მწერლების პერსონალური გაცნობა ხომ ლიტერატურის გაცნობა არ არის?) ეს გასაგებიც არის, ენაც რომ იცოდე, ერთი ორი კვირის განმავლობაში შეუძლებელია მიწვდე მწერლობას, რომელიც ხალხს ათეული და ასეული წლების განმავლობაში შეუქმნია. პირადად ჩემ ზოგად წარმოდგენას სომხურ ლიტერატურაზე, (რომელსაც მე გავსცნობივა რრუს პოეტ ვ. ბრიუსოვის და მ. გორკის რედაქციით გამოცემულ სომეხ მწერალთა სანიმუშო ნაწარმოების კრებულებით და აგრეთვე ქართულად ნათარგმნ ზოგ ნაწარმოებით), არაფერი შემატებია, იმ მოხსენებით, რომელიც ჩვენ ერთ საღამოს მოვისმინეთ. ჩემი ზოგადი წარმოდგენა სომხურ ლიტერატურაზე კი ასეთია: სომხების ძველი მწერლობა მდიდარი და მრავალფეროვანია, მე-19 საუკუნის კი უფრო ერთფეროვანი. გასული საუკუნის სომეხ მწერალთა და პოეტთა შემოქმედების ლეიტმოტივი ეროვნულ უბედურებაა. ამ თაობის მწერლები ეროვნულ ჩაგვრას ისე მწვავედ განიცდიან, რომ მათ ნაწერებში ცხარე ცრემლებით მოსთქვამენ არა მარტო ადამიანები, არამედ სულიერი თუ უსულო საგნებიც: ცხოველები [illegible], ნანგრევები, ტაძრები, მდინარეები. ცრემლებით რა გაკეთდება, მაგრამ მათ მიერ დაღვრილი ცრემლები რომ მართლა ნამდვილი და არა პოეტური ყოფილიყო, გააძლებდენ იმ ველებს, რომლის მოსარწყავად დღეს საბჭოთა სომხეთი მილიონებს ხარჯავს. თანამედროვე მწერლობა, რასაკვირველია, ცრემლებს არ ღვრის. ტირილს გადაეჩვიენ ძველი თაობის მწერლებიც, რომელნიც დღევანდელ სომხეთს მოეწრნენ.

რა სასაცილო იქნებოდა ტირილი იმ ქვეყანაში, რომელიც სამეურნეო და კულტურული რენესანსის პერიოდს განიცდის. სომხეთის პროლეტარულ მწერლობას არა თუ ცრემლებით გოდება, არამედ უდიდესი ენტუზიაზმი ახასიათებს, თანამედროვე სომხური მწერლობა შინაარსით გამდიდრდა, გამრავალფეროვნდა თემატიურად. ეს იმიტომ, რომ მწერლობა ცდილობს გამოსახოს გრანდიოზული მშენებლობის ყველა მნიშვნელოვანი მომენტები. ფორმალურადაც მას დიდი წინსვლა ეტყობა. რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალ. მწერ. განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია. როგორც სომხეთის ერთ-ერთ ცნობილმა ლიტერატორმა და კრიტიკოსმა ამხ. ცოლაკ ხანზარდიანმა განაცხადა—ჩემთან საუბარში — პროლეტარულ მწერლობას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა დასჭირდება, რომ შექმნას ნამდვილი შედევრები, ე. ი. ნაწარმოები მასებისათვის მისაწვდომი და ამავე დროს დიდ მხატვრულ ღირსებით დაჯილდოვებული.

***

ყოველ საღამოს, როცა ჩვენ პროგრამით გათვალისწინებულ დღის წესრიგს ამოვსწურავდით, ვიკრიბებოდით ერევნის კომუნართა სახელობის ბაღში და ერთმანეთს ვუზიარებდით საკუთარ შთაბეჭდილებებს.

განა შეიძლება, რომელიმე ჩვენგანმა დაივიწყოს საღამოები არარატის ჩრდილ-ქვეშ; კომუნართა სახელობის ბაღში, ალვისა და ჭადრის ხეების ფოთოლთა შრიალში, ელნათურების მკრთალ ციმციმში და ორკესტრის ხმებში ჩაძირული საღამოები, და ამიერ-კავკასიის მწერალთა საუბრები დაღამებამდე, ვიდრე მთვარე თავის ნათელში არ გახვევდა არარატის შევერცხლილ გუმბათს. ვცდი აღვადგინო ერთი მათგანი.

კომუნართა ბაღში შეკრებილან ამიერ-კავკასიის მწერლები, სომხეთის ხელოვნების მოღვაწეები, მთავრობის, საზოგადოებრივ კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლები. უკრავს სიმებიანი ორკესტრი და მომღერლები მღერიან, რომანსებს, ბაიათებს. აზერბეიჯანულ ხალხურ მელოდიებს სცვლის სპენდიარიანის სევდიანი ესკიზები, ხოლო ამ უკანასკნელთ ქართული ოპერების ნაცნობი მოტივები. იქმნება განწყობილება, თითქოს აზერბეიჯანი და საქართველო თავისი მრავალფეროვნებით გადმოტანილია აქ—კომუნართა სახელობის ბაღში. არ არის ქართველი, არ არის სომეხი, არც თურქი, არის ერთი ინტიმიური წრე. და გულახდილი საუბარი, გულითად მეგობართა ისეთი დაახლოვება, რომელმაც იმ საღამოს თბილისიდან მოულოდნელად ჩამოსულს ამხ. ს. ფირუმოვს ათქმევინა:

— ვერ გამირჩევია რომელია თქვენს შორის სტუმარი, რომელი მასპინძელიაო.

არც ქართველს და არც თურქ მწერალს არ ყოფნის სიტყვა გამოხატოს თავისი შთაბეჭდილება, თავისი აღტაცება ნახულით და განცდილით.

— ჩვენ გვაოცებს სომხეთის ბუნება,—ამთავრებს თავის სიტყვას ორატორთა ერთი წყება.

— ჩვენ გვანცვიფრებს სომხეთის ხელოვნება, მისი დიადი კულტურა,—ამბობს მეორე.

— მაგრამ ყველაზე მეტად ჩვენ გვაოცებს სომხეთის მშრომელი ხალხი,—განაგრძობს მესამე,—ხალხი, რომელიც ვერ მოუდრეკია ვერც ისტორიულ ქარტეხილს, ვერც სტიქიურ საშინელებებს; ხალხი, რომელიც ახალგაზრდული ენერგიით იწყებს ახალ ცხოვრებას.

— გვხიბლავს სომხეთის მშრომელი ხალხი, რომელსაც კლდეები და ძველ შენობათა ნანგრევები გადაუქცევია ახალი ქვეყნის ასაშენ მასალად, რომელშიდაც უკვე გამოსჩანს ახალი ცხოვრების ულამაზესი ნაკვეთები: ხალხი, რომლის თვალებში კრთის სიცოცხლის წყურვილი—ახლად შობილი ყრმისა.

— ჩვენ, ქართველ მწერალთა ახალ თაობას არ გვცოდნია სომხეთი და მისი ხალხი,—ამბობს ერთი ქართველი მწერალი,—სომხეთს არ იცნობდნენ არც საქართველოს ძველი პოეტები. ქართველმა პოეტმა თავადმა **ალექსანდრე ჭავჭავაძემ** ნახა გოქჩის ტბა და მის ნაპირებზე უძველეს ურართულ ნაშთები. ხალხი, სომხეთის ხალხი კი ვერ შეამჩნია. და თუ ჩვენ სომხეთის დიად ბუნების და ნანგრევებს გარდა, ვაფრთოვანებს სომხეთის მშრომელნიც, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვცდილობთ გვემზირა ქართველი მუშისა და გლეხის თვალით და გვესმინა მათივე მახვილი ყურით.

— მესმის თქვენი აღფრთოვანება,—ამბობს ქართველ-თურქ მწერალთა საპასუხოდ შაღარა შირვანზადე,—თქვენ აღტაცებას გვგვრით დღევანდელი სომხეთი, ჩვენ კი თქვენი აღფრთოვანება. ჩვენ სომხებს გვახარებს ქართველი და აზერბეიჯანელი მწერლების უშუალო, პირისპირ შეხვედრა სომეხ გლეხობასთან, სომეხ მუშებთან. ე. ი. სომეხ ხალხთან, რომელსაც სწორედ ეს მუშები და ეს გლეხები შეადგენდნენ. ბევრგან სომეხი წარმოდგენილი ჰყავთ ვაჭრათ და არ იციან, რომ არსებობს ორ მილიონზე მეტი სომეხი გლეხი, სომეხი მუშა, რომელიც სომეხი ვაჭრისა და მწარმოებლისაგან ისეთივე ჩაგვრას განიცდის, როგორც სხვა ეროვნების მშრომელნი თავის ქვეყნის ბურჟუაზიისაგან და ჩვენ გვახარებს ის, რომ დღეს ქართველი და აზერბეიჯანელი კულტურის მუშაკნი გაეცნენ სომხეთის ნამდვილ ბატონ-პატრონს. მის მშრომელ მოსახლეობას.

მე-80-90 წლებში, — ანვითარებს ამავე ხაზს ამხ. ხანზარდიანი, — ქართულ განათლებულ საზოგადოებას ვერ წარმოედგინა, თუ სომხებს შორის არიან მშრომელნი. ამიტომ იყო, რომ გ. სუნდუკიანცის პიესის „პეპო"-ს ქართულ დადგმაში ჩარჩ ზანზუმოვად ყოველთვის სომეხი გამოჰყავდათ, პატიოსან მშრომელ პეპოთ კი ქართველი. მაშინდელ ქართველ საზოგადოებას თავის გადიდებაში არ ჩამორჩა სომეხი ბურჟუაზია. სწორედ მან შექმნა სომხური ეროვნული მესიანიზმი, პირწავარდნილი ნაციონალისტური იდეოლოგია, თითქოს არა თუ ამიერ-კავკასიაში, არამედ მთელს ქვეყანაზე არ მოიპოვებოდეს სომხებზე ენერგიული და ნიჭიერი ხალხი. ბევრი რამ ავნო ამ უაზრო და უსაფუძვლო თავის განდიდებამ ამიერ-კავკასიის ერებს. მან აღძრა განკერძოების კედელი ამიერ -კავკასიის მწერალთა შორის. სომეხი მწერალი არაფრად აგდებდა ქართველ და თურქ მწერალს და პირიქით, მაგონდება ერთი ამბავი, რომელიც ცნობილ სომეხ პოეტს ტერიანს შეემთხვა. მოსკოვში ჩასულ ქართველ მგოსან აკაკი წერეთლის პატივსაცემათ გამართულ საღამოზე ტერიანს შეეკითხა ერთი უცხოელი: ვინ არის აკაკი წერეთელიო? ტერიანმა ვერაფერი უპასუხა და საშინლად გაწითლდა. სიწითლე კარგია, მაგრამ ვისურვებდი, რომ აგვშორებოდეს ისეთი სიწითლე, რომელსაც იწვევს არარატსა და ალაგეზს შუა გამომწყვდეული პარტიოტიზმი.

— ვერც ქართველი მწერლების ძველი თაობა მოიწონებს თავს იმით, რომ მას რამე გაუკეთებია მეზობელ ხალხების მწერლებთან დასაახლოვებლად. პირიქით, ზოგიერთმა მწერალმა ძველი თაობიდან ხელი შეუწყო ერთი მეორისაგან განზე გადგომას, რადგან მათ არ აღმოაჩნდათ გამჭრიახობა დამდგარიყვნენ თავიანთ წოდებრივ ინტერესებზე მაღლა,—აცხადებს ერთი ქართველი მწერალთაგანი.

— ასე იყო წინათ, დაასკვნის ისევ მოხუცი შირვანზადე.—დღეს ამიერ-კავკასიის სამივე ერის მშრომელთა ნებისყოფით ამოვსებულია ნაპრალი, რომელიც ერთიმეორისაგან ჩვენ გვაშორებდა, ჩატეხილი ხიდი სამუდამოდ აღდგენილია: და მე, სომეხი მწერალი, ვამაყობ, რომ შემიძლია თავს სამი სამშობლოს შვილი ვუწოდო: დავიბადე აზერბეიჯანში (შამახში), აღვიზარდე საქართველოში (თბილისში) და ჩემი ცხოვრების უკანასკნელ დღეებს ვატარებ სომხეთში.

დავსტოვეთ ეს დაუვიწყარი საღამო.

ვშორდებით კომუნართა ბაღს და განთიადის მკრთალ სინათლეში მიმავალთ გვაგონდებოდა სომხეთის პოეტის **თუმანიანს** ნაადერძევი მოწოდება:

შემოღამების მიმქრალი შუქი—
დე შეუერთდეს ჯანსაღ განთიადს;
აინთოს ძმათა სამი პატრუქი,
გზა გაუნათოს სიხარულს ზვიადს.
დე, ჩვენი ლექსის ნაზ ცისარტყელამ
მოსპოს ვერაგთა სისინი მტრული,
დე, ჩვენი ლექსი მოედოს ყველას,
ბედნიერებით გადაზღაპრული.
კავკასიონის ჭაღარა ერებს
ჩვენ მოუწოდებთ საერთო ლხინზე,
ჩემი ქამანჩაც ტკბილად იმღერებს
მგოსნებო, თქვენს ძმურ შემოძახილზე.
თანამოძმენო, დავრჩეთ მეგობრად,
შევქმნათ ოჯახი ამხანაგური,
და ხელოვნების ტაძრისთვის მწყობრად
ყველამ მივზიდოთ თითო აგური.

გ. წულუკიძე.

---

*) იხ. „კომუნისტი" №№ 171, 176, 177, 180.

ქრონიკა

სოფლად კულტურულ მუშაობისათვის ხელისშემწყობი კომისია

4 აგვისტოს თბილისში შესდგა ხიდისთავიდან (გურიაშია) და მის ახლო მდებარე სოფლებიდან თბილისში სამუშაოთ ჩამოსული გურულების კრება. კრებამ მიიღო დადგენილება გამოძებნოს საჭირო საშუალებები და ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურულ-საამშენებლო მუშაობაში როგორც ხიდისთავს, ისე მის ახლო მდებარე სხვა სოფლებს, მიღებული დადგენილების ცხოვრებაში გასატარებლად კრებამ აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხ. ვალერიანე ვაშაკიძე (თავმჯდომარეთ), დათიკო კალანდაძე, სანდრო თედორაძე, მ. ბუკია, კოლია კალანდაძე, ეუტელი კალანდაძე და ელისო კალანდაძე.

მივლინებიდან დაბრუნება

სოც-უზრუნველყოფის სახალხო კომისარი ამხ. ვ. ვაშაკიძე, რომელიც მივლინებაში იყო წასული რაჭა-ლეჩხუმის მაზრაში, დაბრუნდა თბილისში და შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

სამეცნიერო მივლინებები

განათლების კომისარიატი შემოდგომაზე სამეცნიერო მიზნით უცხოეთში აგზავნის ლენინის სახელობის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის დოცენტებს ვედევანიშვილს, წულუკიძეს და ლექტორ კუპრაძეს.

თბილისის აღმასკომში

◆ **სახანძრე ავტომობილი.** თბ. აღმასკომში დაადგინა შეიძინოს ახალი სახანძრე ავტომობილი.

◆ **მოწაფეთა რიცხვი.** მომავალ სასწავლო წელში განათლების განყოფილების სკოლებში სულ იქნება 40 ათასი მოწაფე.

◆ **ზოოლოგიურ ბაღის მოსაწყობად** აღმასკომმა გადასდო 25.000 მანეთი.

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატში

◆ **მეფუტკრეობის კურსები** უკვე დაამთავრა 23 კაცმა, რომლებიც გაიგზავნენ მაზრებში.

◆ **ფუტკრის სიმყაყესთან საბრძოლველად** მიწსახკომმა ახალქალაქის და გორის მაზრებში მიავლინა ინსტრუქტორები საჭირო წამლეულობით.

ბრძოლა უმუშევრობასთან

◆ **შრომის არტელებში** დღემდე უმუშევრები იგზავნებოდნენ (მორიგეობით) 3—3 თვით, ამიერიდან გაიგზავნებიან 6 თვით.

◆ **ზოოლოგიურ ბაღის გასაშენებლად** მოეწყო საზოგადო სამუშაო, რომელზედაც მუშაობს 50 კაცი. ამ მიზნით გადადებულია 25.000 მანეთი.

სხვადასხვა

◆ **პიესები მუშათა კლუბებისა და სოფლის სცენისთვის**—დაიბეჭდა სეზმან ერთაწმინდელის პიესები მუშათა კლუბებისა და სოფლის სცენისთვის. გამოცემა სახელგამის.

◆ **ბიბლიოთეკარების გადასამზადებლად** იხსნება მოკლევადიანი კურსები.

◆ **ახალი არტელი.**—სოც. უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატთან ამხ. ზ. დურგლიშვილის თაოსნობით მოეწყო ხე-ტყის და საამშენებლო მასალის დამამზადებელი ახალი არტელი „აღორძინება“. ამ არტელში გაერთიანდა ინვალიდთა კოოპერატიული ყველა ისეთი არტელები, რომლებიც დღემდე ხე-ტყის მასალის დამზადების საქმეს აწარმოებდნენ.

◆ **საგიტაციო პიესა ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.** ია ეკალაძემ და როდიონ ქორქიამ დასწერა საგიტაციო 3 მოქმედებიანი პიესა ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ. პიესას სცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი ცალკე წიგნათ.

სამზადისი შემოდგომის თესვისათვის

მუშების გაგზავნა კამპანიის ჩასატარებლად

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა მიიღო და დაამტკიცა ახალი დადგენილება იმ მუშებისათვის შეღავათების მიცემის შესახებ, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან წარმოებებიდან სოფლებში შემოდგომის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებათ.

ყველა ის მუშები, რომლებიც სათანადო ორგანოების განკარგულებით გაიგზავნებიან სოფლებში თესვის კამპანიისათვის ხელმძღვანელობის გასაწევათ, განთავისუფლებული უნდა იქნენ წარმოებიდან მთელი იმ ხნისათვის, რაც საჭირო იქნება კამპანიის ჩასატარებლად. ამასთანავე ყველა ამ მუშებს უნდა შეენახოთ წარმოებაში საშუალო სამუშაო ხელფასი.

მუშების გაგზავნა სოფლებში იწარმოებს უმთავრესად საშეფო საზოგადოებისა და თესვის კამპანიის ჩამტარებელი რესპუბლიკანური კომისიების განკარგულებით.

საქ. ცაკის აღნიშნული დადგენილება გავრცელებული იქნება აგრეთვე მუშათა სარემონტო ბრიგადების იმ წევრებზედაც, რომლებიც გაგზავნილი იქნებიან სოფლებში შემოდგომაზე ხვნა-თესვის დაწყების პერიოდში.

რკინის გზეზე

მუშების მასიური დაწინაურება

მუშების საპასუხისმგებლო ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობებზე დაწინაურების საკითხი დღევანდლამდე ტრანსპორტზე ჯეროვნად გადაწყვეტილი ვერ არის: აქამდე მუშების დაწინაურება კიდევ ვერ ატარებს მასიურ ხასიათს.

მუშების დაწინაურების საკითხს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს მმართველ აპარატის გამუშურების საქმეში და ჩვენი მმართველი ორგანიზაციები დიდის ყურადღებით ეპყრობიან ამ საკითხს.

კერძოდ, რკინისგზელთა ცენტრალური კომიტეტი და გზათა სახ. კომისარიატი უდიდეს მნიშვნელობას აძლევს სატრანსპორტო დაწესებულებათა მმართველ აპარატის გამუშურებას და სატრანსპორტო ორგანოების წინაშე სვამს მუშების მასიურად დაწინაურების საკითხს.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების გამგეობას (სხვა გზათა შორის) მიცემული აქვს წინადადება მოახდინოს საუკეთესო მუშების და მუშა-ქალების დაწინაურება წარმოებიდან ხელმძღვანელ ადმინისტრატიულ-სამეურნეო თანამდებობებზე გზის მმართველობის აპარატში.

პირველ ხანებში საპასუხისმგებლო სამუშაოებზე გზის მასშტაბით წამოყენებული უნდა იქნეს არა ნაკლებ 35 კაცისა. მუშათა დაწინაურება გზაზე ჩატარებული უნდა იქნეს ისეთი ანგარიშით, რომ ამ წლის 1 ოქტომბრისათვის ყველა დაწინაურებული პირები აწარმოებდნენ მუშაობას იმ თანამდებობებზე, რომლებზედაც ისინი დააწინაურეს.

გზის გამგეობას და საგზაო კომიტეტს დავალებული აქვთ ეხლავე გამოარკვიონ ის თანამდებობები, რომლებიც უნდა შეიცვალონ დაწინაურებულ მუშებით.

იმისათვის, რომ ადგილი არ ექნეს შეცდომებს მუშათა დაწინაურების დროს, დასაწინაურებელ პირთა კანდიდატურები ზედმიწევნით უნდა იქნენ შესწავლილნი საწარმოო თათბირების და კომისიების და მუშათა საერთო კრებების საშუალებით.

გათვალისწინებულია აგრეთვე მუშათა მასიური დაწინაურების ჩატარება ხაზებზედაც.

რკ. გზებზე მომუშავე სპეციალისტების ხელფასის გადასინჯვა

ა. კ. უმაღლეს ორგანოების წინაშე ისმება საკითხი ა. კ. რკინის გზებზე მომუშავე სპეციალისტების ხელფასის გადასინჯვის შესახებ.

გათვალისწინებულია სპეციალისტების ხელფასის გადასინჯვა, მისი გადიდების მიზნით. რკ. გზებზე მომუშავე სპეციალისტების ხელფასი დაახლოვებულ უნდა იქნეს იმ სპეციალისტების ხელფასთან, რომლებიც მუშაობენ მრეწველობის ხაზით.

ფიზკულტურა და სპორტი

წყალჯომარდული დღესასწაული

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით, ამა წლის 1 სექტემბრიდან 3 სექტემბრამდე ბათომში ჩატარდება საქართველოს წყალჯომარდული დღესასწაული.

პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურის ბიუროს დავალებული აქვს დღესასწაულის გეგმის შედგენა.

ველო-შეჯიბრება

გროზნოს მუშა-ველოსიპედისტებს, რომლებიც ამჟამად თბილისში იმყოფებიან, უკან დაბრუნებისას გაჰყვება თბილისელ ველოსიპედისტების ჯგუფი ხუთი კაცის შემადგენლობით.

გზაში თბილისიდან-გროზნომდე გაიმართება შეჯიბრება გროზნოელებსა და თბილისელებს შორის.

რბენაში გამარჯვებული მუშები სოხუმში და ბათომში

პირველ აგვისტოს თბილისში საქართველოს პროფსაბჭოს მიერ გამართულ გარბენაში გამარჯვებულ მუშებს საქ. პროფსაბჭო აგზავნის სოხუმში და ბათომში ფიზკულტურის საქმის გასაცნობად.

სულ იგზავნება ოთხი კაცი. სოხუმში იგზავნებიან ამხ. **ნიკიტინი და პაპოვი,** ხოლო სოხუმში ამხ. **რიბაჩენკო** და რკინის გზელთა ლეგიონის წითელ არმიელი, რომელმაც გაიმარჯვა გარბენაში.

შემთხვევები

თვითმკვლელობის განზრახვა

თვითმკვლელობის მიზნით მარკოზ კირთაძე (მცხოვრები ჟორესის ქ. № 21) გადმოვარდა მეორე სართულიდან და მძიმედ დაშავდა. კირთაძე უგრძნობ მდგომარეობაში წაიყვანეს საავადმყოფოში. მიზეზი—ხანგრძლივი ავადმყოფობაა.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს გარეგინ ვართანოვი (მცხ. მალაკნის ქუჩაზე № 14).—დააპატიმრეს ვ. კალიევი და ვლ. ივანოვიჩი, რომლებმაც ცენტრალურ ბაზარში გლეხს გამოსტყუეს ფული.—ქურდობისათვის შეიპყრეს: ქიალ აჯამ-ოღლი, დარაზ მამედოვი, სარქის კარაპეტის ძე სარქისოვი და სურენ არუთინოვი.

თავის მოწამვლა

ყორღანოვის ქუჩაზე არსებულ ლოტოს სათამაშოში პავილიონის თანამშრომელმა თამარა შაფათავამ იოდით მოიწამლა თავი. მიზეზი გამოურკვეველია.

ჯიბგირობა

მუშკოოპის მაღაზიაში (საბჭოს ქუჩა № 45) შუშანა მუზიკიანცს ამოაცალეს 80 მანეთის ობლიგაციები და 9 მანეთი.

ქურდობა

გრ. დიასამიძის ბინიდან (კეცხოველის ქ. № 4) მოიპარეს სხვადასხვა საოჯახო ნივთები.—ანტონ მაისურაძის ბინიდან (მთაწმინდა № 1) წაიღეს 250 მანეთის ნივთები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა, სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: შალვა გაბუნია, მიხ. გორზაშვილი, ემმა ალექსანდროვა, ბარბარე სტრელეცკაია, ვერა ხასპაროვა, მარიცა ვლახოვიჩი, მარ. გასპაროვი, რჩეულიშვილი, კეცხოველი, მარ. ლუპაისკაია, ევგენი გურლაძე, ხარ. ლამპინი, სარდიონ კაკაბაძე, არაზუნოვი, ჩაპლინსკი, გრიგორი კირაკოზოვი.

შავ მუშათა სექციიდან: პავლე სადერინი, გიორგი ოსეპაშვილი, რობენ შერეზოვი, ნიკოლოზ რამიშვილი, გიორგი ნემსაძე, მარკოსიანი, ბარკაშვილი, მირიანაშვილი, კვანტალიანი, კორჩევი, გიო ჯანუაშვილი, ს. კორჩიევი, დავით ფრიდმანი, ადამოვი, თხელაძე, არგო მიკირტუმიანცი, ერმილე ჩომახიძე, სოლომონ შამანური, ნიკო შიშნიაშვილი, ვას. ლარიბაშვილი, რომ. საგინოვი, ალ. გუგუშვილი, გერასიმენკო, ნინო ხატიაშვილი, შალვა სამხარაძე, კოლონოვსკაია, გორდელაძე, ატოევი, ივანე ფაღულავა, ჯავახიშვილი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშების საწარმოში მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათთვის საშუალო სამუშაო ხელფასის შენახვის შესახებ

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ის მუშები, რომლებიც სათანადო ორგანოების განკარგულებით გაიგზავნებიან თბილისის და სხვა ქალაქების საწარმოებიდან თესვის კამპანიის ჩატარებაში მონაწილეობის მისაღებად, განთავისუფლებული უნდა იქნენ თავიანთ საწარმოში მუშაობისაგან მთელი იმ დროს განმავლობაში, როდესაც ისინი მივლინებული იქნებიან, და ამავე დროს განმავლობაში მათ უნდა შეენახოთ მათი საშუალო-სამუშაო ხელფასი.

სრ. საქ. საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს მაგიერ —
ს. თოდრია.
სრ. საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ: —
ს. ცუცქირიძე.

1929 წ. აგვისტოს 7.
თბილისი — სასახლე.

დადგენილება

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმისათვის ხელისშემწყობი კომისიების მოწყობის შესახებ საქალაქო და სათემო საბჭოებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან

თანახმად სოც. საბჭ. რესპუბლიკის კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1929 წ. მაისის 15-ს სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის ხელისშემწყობი მუდმივი კომისიების შესახებ გამოცემული დადგენილების მე-10 მუხლისა, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. იმ მიზნით, რათა მოეწყოს საზოგადოებრივი ხელისშეწყობა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის შინაური სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის განმტკიცების საშუალებით საქალაქო და სათემო საბჭოებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან დაარსდეს სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმისათვის ხელისშემწყობი მუდმივი კომისიები:

შენიშვნა: სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმისათვის ხელისშემწყობი კომისიები დაარსდებიან აგრეთვე სასოფლო საბჭოებთან, სადაც ასეთები არსებობენ.

2. ხელისშემწყობი კომისია საქალაქო საბჭოებთან შესდგება საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით იმ პირთაგან, ვისაც საქალაქო საბჭო აირჩევს, და აგრეთვე სათანადო მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილებისა, სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი დაწესებულებისა, პროფკავშირთა საქალაქო შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, საკრედიტო კოოპერაციისა და სხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელისაგან.

3. ხელისშემწყობი კომისია სათემო საბჭოსთან მოეწყობა სათემო საბჭოს თავმჯდომარის ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით იმ პირთაგან, ვისაც სათემო საბჭო აირჩევს, ადგილობრივი საფინანსო მომუშავისაგან (სადაც ასეთი თანამდებობა არსებობს) და აგრეთვე სახელმწიფო ბანკის ადგილობრივი დაწესებულებისა, პროფესიონალური კავშირებისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებისა, საკრედიტო კოოპერაციის და სხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან.

შენიშვნა: ამ მუხლში გათვალისწინებული წესისამებრ შესდგებიან აგრეთვე ხელისშემწყობი კომისიები სასოფლო საბჭოებთან.

4. ხელისშემწყობი კომისია სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან შესდგება სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით იმ პირთაგან, ვისაც სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი გამოჰყოფს, და აგრეთვე სამაზრო საფინანსო განყოფილებისა, სახელმწიფო ბანკის დაწესებულებისა, პროფკავშირთა სამაზრო შენაერთისა, ახალგაზრდა ლენინელთა კომუნისტური კავშირისა, სამაზრო გლეხკომისა, საკრედიტო კოოპერაციისა და სხვა სახის კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელისაგან.

8. ამა დადგენილების 2—4 მუხლებში აღნიშნული ხელისშემწყობი კომისიები აწყობენ მასიურ ახსნა-განმარტებით მუშაობას სახელმწიფო სესხებისა და დაზოგვის საქმის საკითხებზე, აგრეთვე აწყობენ, ხელმძღვანელობენ და კონტროლს უწევენ კომისიებს, მუშაობას დაწესებულებებში, საწარმოებში და ორგანიზაციებში, რომლებიც მათი მოქმედების რაიონში იმყოფებიან. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ხელისშემწყობი კომისიები, გარდა ამისა, განახორციელებენ საორგანიზაციო, სახელმძღვანელო და საკონტროლო ფუნქციებს იმ ხელისშემწყობი კომისიების მუშაობის მიმართ, რომლებიც მოწყობილი არიან საქალაქო და სათემო და, აგრეთვე სასოფლო საბჭოებთან.

6. სათემო და სასოფლო საბჭოებთან არსებულ ხელისშემწყობ კომისიებს, გარდა მე-5 მუხლში აღნიშნული ფუნქციებისა, დაევალება:

ა) პროპაგანდა სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციისათვის ხელის შესაწყობად სახელმწიფო სესხებში და შემნახველ სალაროებში თანხების მიზიდვის საშუალებით (მოხსენებების, საუბრების გამართვა სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის საკითხებზე, ლიტერატურის გავრცელება, შეჯიბრების ჩატარება სოფლებსა და საწარმოებს შორის და სხ.)

ბ) სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის საკითხებზე ცნობათა მიწოდების მოწყობა და საკონსულტაციო მუშაობის მოგვარება (სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის კუთხეების მოწყობა, სახელმწიფო კრედიტის და დაზოგვის საკითხებზე ცნობების მიწოდების მოწყობა, ცნობათა პუნქტების უზრუნველყოფა სატირაჟო ცხრილით და სხვა საინფორმაციო მასალით);

გ) საზოგადოებრივი კონტროლის გაწევა საკრედიტო და სხვა დაწესებულებათა მუშაობისათვის იმ მხრივ, თუ რამდენად უწევენ ისინი სამსახურს სესხის ობლიგაციების მქონე პირებს და შემნახველი სალაროების მეანაბრეებს;

დ) სამსახურის გაწევის მოწყობა მოსახლეობისათვის ობლიგაციების მოგების პროცენტების და დასაფარავი თანხების მიღებაში, აგრეთვე ობლიგაციების ყიდვის, გაყიდვის, დაგირავების და შესანახად ჩაბარების საქმეში.

შენიშვნა: ხელისშემწყობი კომისიები უშუალოდ არ ეწევიან არავითარ ოპერაციას ფულის, საფონდო ღირებულებათა და ამასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღებისა და გაცემის საქმეში.

7. მოსახლეობისათვის სამსახურის გასაწევად, ამა დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, სათემო საბჭოებთან არსებულ ხელისშემწყობ კომისიებს უფლება ეძლევათ გამოჰყონ თავიანთი რწმუნებულები ცალკე დასახელებული პუნქტებისათვის, რომლებიც სათემო საბჭოს ტერიტორიაზე იმყოფებიან.

8. წინადადება მიეცეს აფხაზეთის სოც. საბჭოთა რესპუბლიკისა, აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს მიიღონ ღონისძიებანი, რათა ამა დადგენილებაში აღნიშნულ საფუძველზე მოეწყოს სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგვის საქმის ხელისშემწყობი კომისიები აღნიშნული ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებთან. და აგრეთვე საქალაქო, სათემო და სასოფლო საბჭოებსა და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან.

9. ეს დადგენილება სამოქმედოდ შემოღებული იქნეს ტელეგრაფით.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის
მაგ. ს. თოდრია.
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანის მაგ.
ს. ცუცქირიძე.

1929 წ. ივლისის 30.
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

შაბათს, 10 აგვისტოს, დილის 8 საათზე საქ. კომპარტიის ცეკას მუშა და გლეხ ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იწვევს თათბირს. ქვემოდ დასახელებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა: შავერდოვა, (ამ.-კავკ. საოლქო კომიტეტის მშრ. ქალთა განყოფილება), ანდრიაძე (თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება), ეუეკაშვილი და ფოთოევი (საქ. კომპ. ცეკა), ვ. ჯაფარიძე (მუშათა და გლეხთა ინსპექცია), ქართველიშვილი (ხელოსანთა სარეწაო კავშირი), მარკმანი, სიხარულიძე, ბაბუნაშვილი, ჭყონია, ჩერქეზიშვილი და თალაკვაძე (საქართველოს პროფსაბჭო), კაპანაძე (ჯანმრთელობის სახ. კომისარიატი), ჩხარტიშვილი, ლომინაძე, ნინა მახარაძე (განათლების კომისარიატი), შიუკაშვილი, ჯიბუტი (საქ. ცაკთან არსებულ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია), შერმადინი (ლენინის რაიკომი), მატინიანი („26“ კომუნართა რაიკომი), და მაჩაიძე (ქალაქის რაიკომი).

—:—

შაბათს, 10 აგვისტოს, დილის 11 საათზე, საქ. კომპ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი. დღის წესრიგი: პროფგანათლება ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე და ტრანსპორტზე, სახალხო განათლების საორგანიზაციო საკითხები. თათბირზე მოწვეულია: ამიერ-კავკასიის რკინის გზების პროფგანათლების, ამიერ-კავკასიის საგზაო კომიტეტის, საგზაო კომიტეტის კულტ განყოფილების, სოც. აღზრდის, განათლების კომისარიატის, პროფგანათლების მთავარ სამმართველოს და პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს წარმომადგენლები.

—:—

ამხ. ფრუნზეს სახელობის მეორე ქართ. მსრ. ლეგიონის პოლიტგანყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოდ დასახელებულ პირებს გამოცხადდნენ პოლიტგანყოფილებაში სამსახურის საქმეების გამო: გობეჯიშვილი კანდიდე ტარასის ძე, ტყაბლაძე პოლიკარპე მეთოდის ძე, ბახტაძე ვასილ ნოკოლოზის ძე, მეგრელიძე მოსე როსტომის ძე, კითია ვლადიმერ სესიას ძე და ქავთარაძე ლავრენტი დიმიტრის ძე, —17 აგვისტოს. მინდიაშვილი პავლე ალექსის ძე,—10 აგვისტოს, ჩიხლაძე ლადიკ ნინას ძე, გორდელაძე აკაკი პავლეს ძე, ნაჭყებია პანტელეიმონ ბახვას ძე, მირიანაშვილი გიორგი ალექსის ძე, სულავა კლიმენტი თადეოსის ძე—31 აგვისტოს. იმნაიშვილი ერემი რევაზის ძე—25 აგვისტოს.

თავზარდაცემულნი მეუღლე ნინა მირონის ასული, ქალიშვილი მარგო, ცოლის ძმა შალვა მირონის ძე დუნდუა დედით და ცოლშვილით და ქვისლი ამბერკი ივანეს ძე ქანთარია ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 6 აგვისტოს ქ. სამტრედიაში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე ბორისის ძე ტალიკაძე

რომლის თბილისში ჩამოსვენება მოხდება დღეს, 9 აგვისტოს დილის 8 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს საღამოს 7 საათზე საკუთარ ბინაზე, მალაკნის ქ. № 27, დაკრძალვის დრო ცალკე იქნება გამოცხადებული. (ე)

დამწუხრებულნი დედა ალათი, მამა—გიორგი, და—ნადია შონვაძეები, და—იულია მეუღლით გიორგი კობალაძენი იუწყებიან უძვირფასესი

ქეთინოს

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა შაბათს, 10 აგვისტოს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან, პარკოფელის ქ. № 14 ნაშუადღევის 4 საათზე. 2813

შორაპნის მაზრის მილიციის თანამშრომლები მწუხარებით იუწყებიან, რომ 7 აგვისტოს ქალ. ზესტაფონში ტრაგიკულად გარდაიცვალა მილიციის რიგებში [illegible] და ერთგული მუშაკი, მათთვის საყვარელი [illegible]

გიორგი ლავრენტის-ძე [illegible]

დაკრძალვა მოხდება 10 აგვისტოს, შაბათს, სოფ. სვეტმაღალში. 2803

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი მეუღლე ელენე (ფაცია) პორფირეს ასული, შვილები: ჟორა, თამარი, ნინა; ძმები: მიხეილ შვილებით, ქრისტეფორე და იონა აუწყებენ საზოგადოებას, რომ დაუვიწყარი და ძვირფასი

გიორგი სოლომონის-ძე თვალავაძის

სამოქალაქო პანაშვიდი დანიშნულია სოფ. ვანში (ქუთ. მაზ.) კვირას, აგვისტოს 11-ს საღ. 4 საათზე მიცვალებულის საფლავზე. 2785

შვილები მაკრო და ლაზარე, რძალი ქსენია, შვილიშვილები ლია, ოთარი და გიგული აუწყებენ ნათესავ-მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი

ელისაბედ (ლიზა) ლაზარეს ასული გომელაურისა

გამოსვენება ყოფ. არამიანცის საავადმყოფოდან შაბათს, 10 აგვისტოს, 3 ნაშ. საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 2808

მეუღლე ანასტასია, შვილები: ალექსანდრე და თამარა, რძალი მარიამი და შვილიშვილი დიმიტრი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

მარკოზ გიორგის-ძე კირთაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფილ ალექსანდროვის საავადმყოფოდან 9 აგვისტოს, 4 საათზე. 2802

მშობლები ანასტასი და ანასტა, შვილები სოკრატი, ოლღა, ოლიმპიადა და სიმონი პეტრედისები იუწყებიან, რომ ა. წ. 8 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ქ. ზუგდიდის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დაუვიწყარი

თამარა პეტრედისის

მოსაგონებლად. 2812

ლ. ჯაბუა, ვ. ფიჩხაია, ლ. თოდუა, ნ. ხორავა, ა. ჩაგინავა, თ. შენგელია, ნ. მიქავა, ი. ანთელავა, გ. ჯაბუა და ვ. კონია იუწყებიან, რომ ა. წ. 8 აგვისტოს, საღამოს 5 ს., ქ. ზუგდიდის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი სკოლის ამხანაგის

თამარა პეტრედისის

მოსაგონებლად. 2812

ს.ს.ს.რ. ს.მ.უ.ს. ლითონის მრეწველობის ტრესტის „ლითონტრესტი“-ს

დასკვნითი ბალანსი

1928 წლის I-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი.		
I. ქონება		
1) შენობები და ნაგებობანი	1.021.017—29	
2) მანქანები და გაწყობილება	732 204—79	
3) იარაღი	83.661—46	
4) ინვენტარი	147.097 16	
5) ტრანსპორტი	8.501—75	1.992.482—45
II. სათადარიგო განწყობილობა		39.303—00
III. მასალები		
1) ნედლეული და ძირითადი მასალა	605.897—79	
2) სათბობი მასალა	16.844—06	
3) სარემონტო-საამშენებლო მასალა	6.504—16	
4) დამხმარე მასალა	382 597—89	
5) მცირე ფასიანი იარაღი წარმოებაში	13.478—01	1.025.321—91
IV. დაუმთავრებელი დამზადებანი		15.364—29
V. დაუმთავრებელი წარმოება		593.934—21
VI. ნახევარ ფაბრიკატები		23.070—06
VII. საქონელი და მზა ნაწარმი		
1) საქონელი და მზა ნაწარმი საწყობში	485.107—22	
2) საქონელი და მზა ნაწარმი სკომის. გადაცემ.	14.173 01	
3) შესრულებული დანაკვეთები (ჩაუბარებელი)	140.082—07	639.362—30
VIII. ფულადი სახსრები		
1) კასა (ნაღდი ფული, ჩეკები, შემოსული ამანათები, მარკები და სხვა).	14.633—91	
2) მიმდინარე ანგარიშები	2.851—77	17.485—68
IX. ფასიანი და პროცენტიანი ქაღალდები		
ა) სახ. მეურნეობის ინდუსტრიალ. 1 სესხი.	682 50	
ბ) სხვა ქაღალდები	100 00	782—50
X. პაიები და აქციები (სხვა საწარმ.)		76.800—00
XI. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები		
1) სამისაღებო თამასუქები (პორტფელში)	19.025—00	
2) პროტესტ ქმნილი თამასუქები	2.758 18	
3) ბანკებში განაღდებული თამასუქები	78.098—23	
4) ფასდადების და სხვა სამისაღებო საბუთები	4.401 53	104.282—94
XII. ანგარიშ სავალდებულო თანხები		38.868—50
XIII. დებიტორები		
1) მუშა-მოსამსახურენი	15 888 01	
2) მომწოდებლები და მოიჯარენი	166.215 57	
3) მყიდველები და დამკვეთლები	129.813—22	
4) სხვადასხვა დებიტორები	63.336—60	
5) საეჭვო დებიტორები	57.470—27	432.723—67
XIV. მომავალი წლების ხარჯები		16 915 96
ბალანსი . . .		5.016.697—47

პასივი.		
I. კაპიტალები		
1) საწესდებო	2.475.075—18	
2) სამორტიზაციო	9 419—70	2.484.494—88
II ფონდები		
1) მუშათა გამოგონების ფონდი		637—06
III. რეზერვები		
1) საეჭვო ვალების რეზერვები	9.654—15	
2) ფასების დაკლების რეზერვები	15.000 00	24.654—15
IV. საბიუჯეტო ფინანსები		
1) სახელმწიფო ბიუჯეტით (სესხები და დოტაც.)		175.000 00
V. ბანკები		
1) ბანკები სპეც. მიმდინარე ან-შებით		
ა) უზრუნველყოფილი საქონლით	310.168—24	
2) ბანკები განაღდებული თამასუქებით	78.098—23	388.266—47
VI. გაცემული თამასუქები		632.859—07
VII. კრედიტორები		
1) მუშა-მოსამსახურენი	71.344—77	
2) მომწოდებლები და მოიჯარენი	34 812—23	
3) მყიდველები და დამკვეთლები	986.568 17	
4) გადაუხდელი გადასახადები, გამოსაღებები და სავალდებულო შესატანი	44.532—37	
5) სხვადასხვა კრედიტორები	171.408—18	1.308.665 72
VIII. შედეგები		
1) მოგება საანგარიშო წლისა		2.120—12
ბალანსი . . .		5.016.697—47

ბალანსის იქითა მუხლები

I) იჯარით აღებული ქონება	5.000 00	
II) გადასამუშავებლად აღებული მასალები.	288 227—47	
III) უზრუნველყოფათ გაცემ. თამასუქ. პატრონნი	574.855 73	
IV) საწინდრათ მიღებ. ფასეულობანი	3.090—00	871.173—20
ბალანსის იქითა ჯამი		871.173 20
სულ		5.887.870—67

I) იჯარით აღებული ქონების პატრონნი	5 000—00	
II) დამკვეთლები და გადასამუშავებლად აღებულ მასალის პატრონნი	288 227—47	
III. გაცემული საგარანტიო თამასუქები	574.855—73	
IV) საწინდრათ აღებ. ფასეულობათა პატრონნი	3.090 00	871.173 20
ჯამი		871.173 20
ბალანსის გარეშე		5.887.870—67

ბალანსის გარეშე

1) მიწა 579,814, კვ. მეტრ.	64.823 10
2) საწესდებო კაპიტალზე დარიცხ. 1926 წ. 1-ელ ოქტომბრის სამორტიზაციო ანარიცხ. ნაშთი	285.445—33

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათა შორისო კომისიის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 6 1929 წ. 10 ივნისის თარიღით).

ს.მ.უ.ს. მთავარი ბუხჰალტერი პ. ა. ჯანელიძე

დებეტი მოგება ზარალის ანგარიში კრედიტი

დებეტი		
1) ზარალი სამუშაოთა და დაკვეთ. შესრულ.		50.244—16
2) სავაჭრო ხარჯები		79.277—77
3) საერთო სადმინისტრაციო ხარჯები		175 029 36
4) გადახდილი პროცენტები		51.670 24
5) მასალის, ნახევარ ფაბრიკატ. და საქონლ. დანაკლისი		25.317—07
6) უიმედო ვალების ჩამოწერა		4.195 62
7) ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში		9.654—15
8) გადახდილი ჯარიმა საურავი და სხვა.		59.941—99
9) ანარიცხი საქონლის და მზა ნაწარმის რეზერ.		15.000—00
10) ზარალი სამასალო ფასეულობათა შეფას. შემც.		17.606—11
11) ზარალი სხვა საწარმოებში მონაწილეობისაგ.		11.000—00
12) კონსერვაცია ქმნილი საწარმოთა შენახვა.		11.476—86
13) ზარალი საწარმოთა შეჩერების გამო		1.267—19
14) ზარალი გასულ ქონებიდან		4.222—42
15) სხვადასხვა ხარჯი და ზარალი		49.515—31
ჯამი		565.418—25
სალდო: წმინდა მოგება		2120—12
ბალანსი		567.538—37

კრედიტი		
1) მოგება საქონლის რეალიზაც. (შინა ბაზარი)		448.286—81
2) მოგება საკომისიო საქონლის რეალიზაციიდან		3.933 86
3) მიღებული პროცენტები:		
ა) მიმდინარე ანგარიშებიდან	300—89	
ბ) ანგარიშსწორებით და თამასუქებით.	495—70	796—59
4) მასალის, ნახევარ ნაწარმის და საქონლის მეტობა		30.994—45
5) მიღებული საურავი და ჯარიმა		46—62
6) შემოსავ. საიჯარო მუხლებიდან		1.106—84
7) სხვადასხვა შემოსავალი და მოგება		82.373—20
ჯამი		567.538—37
სალდო: წმინდა ზარალი		—
ბალანსი		567.538—37

წმინდა მოგების განაწილება

1. წმინდა მოგება		2.120—12
1. საშემოსავლო გადასახადში		212—01
	ნაშთი	1.908—11
2. უმ. ტეხ. სასწ. შესანახი		57—24
	ნაშთი	1.850—87
3. სარეზერვო (სათადარ. თანხ.)		185—09
4. საწარმოს გაფართ. კაპიტალი		462—71
5. მუშა-მოსამსახურ. ყოფა-ცხოვრების გასაუმჯ. ფონდში		185—09
6. გრძელ ვადიან სესხ. ბანკი		185—09
7. საადმ. ტეხ. პერს. წასახალის. ფონდში.		4—63
8. სახელმწიფო შემოსავალში		828—26

ს.მ.უ.ს. ლითონტრესტის მმართველი ა. რონზანი

მთ. ბუჰხალტერის მაგიერ გ. შეროზია

საზაფხულო ბაღი (ყოფ. არტო)
დღეს, პარასკევს. 9 აგვისტოს და ყოველდღე 11 აგვისტომდე
საბჭოთა კავშირში ერთად ერთი ამა-ჯაზი ა. ცფასმანის ხელმძღვანელობით
ინნა როვიჩი--დანიილ ოლენინი
ანა რედელი და მიხეილ ხრუსტილევი. არკადინი და გრიდოვი.
კონფერანსიე კ. ი. კარევი დასაწყისი საღ. 10 საათზე. ნ. 3092

სახკინმრეწვის კინოები
საზაფხულო აპოლო — საზაფხულო ეთერი — საზაფხულო პალასი — მინიონი
ახალი 3 ოთახი სამზარეულოთი კომედია
რეჟისორი შპიკოვსკი, ოპერატორი სტანკი
უცხოეთის მხატვრული სურათი
მოის ბალადა
მარიელა ალბანი და ვერნერ კრაუსი სურათში
კულისებს იქით
ხანუმა (ქეთო და კოტე)
რეჟისორი ა. წუწუნავა. ოპერატ.—დიმელოვი
0—6

მალე
საზაფხულო აპოლოში
კომედიის განვითარება
გლუპიშკინის,
პრენსის,
მაქს ლინდერის,
გაროლდ ლოიდის,
ბესტერ კიტონის,
ახოვის და მახოვის
მონაწილეობით.
ნ. 3093

სახმედვაჭრობის ბათომის სააფთიაქო მაღაზიის გამგეს,

ვარლამ ვლადიმერის-ძე თავბერიძეს.

რომელმაც გაფლანგა სახმედვაჭრობის თანხები და მიიმალა, სამსახურში ყოფნის დროს, სახმედვაჭრობის სახელზე გაუცია თამასუქები სხვადასხვა პირებისათვის და დაწესებულებებისათვის, რაზედაც მას, ჩვენს მხრივ, არავითარი დავალება და რწმუნება არ ჰქონია, რის გამოც სახმედვაჭრობას არ მიაჩნია თავი მოვალეთ დაფაროს ასეთი თამასუქები და მის განაღდებაზე უარს აცხადებს.

მმართველი—კანდელაკი
3—3 ნ. 3082 კანცელარიის გამგე—წულაია

დაჰკარგე: საბჭოთა და სავაჭრო პ/კავშირის წიგნაკი № 30592 გაცემული სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფკომის მიერ ერმინე ცირდავას სახელზე ჩ. გ. 2812

გაზ. „კომუნისტი“-ს 180 №-ში
გამოქვეყნებულ პოლიგრაფტრესტის დასკვნითი ბალანსში 1928 წ. 1 ოქტომბრისათვის შეპარულია შეცდომა მოგების განაწილებაში)
არის დაბეჭდილი სარევიზიო კაპიტალში
უნდა იყოს სარეზერვო კაპიტალში

გორის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
გ. ი. ტლაშაძე

ამით აცხადებს, რომ ის 11 აგვისტოს 1929 წ. დღის 12 საათზე ადგილობრივ ქ. ორში კაიშაურის ქუჩა, **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის ეფრემ წყალობის-ძე მესტუმრიშვილის მოძრავ ქონებას: 70 ც. ახალ 5 ფუთ. ხილის ყუთს შეფასებული 35 მან. და ფისტახტებს, ხილის დასაწყობი შეფასებული 500 მან. 1-ლ კიევის პეტროვსკის საზოგადო ბა საურთიერთო ანაბაგობის ვალის და აჯარავად. უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა გადადებული იქნება 18 აგვისტოსათვის დღის 12 საათზე 1929 წ. 2811

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. სად.—მისამართი გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე.
ტელ. 10—14 412 25—1

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და მავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—11

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
წასულია. განაახლებს ავადმყოფების მიღებას 1 სექტემბერს.
253325—15

დაჰკარგე მუშკოოპის წიგნაკი, № 129 დავით ჩირაძის სახელზე, ჩ. გ.

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი აღებ. ქ. თბილ. ცენტ. მაჩ. ვლადიმერ გრიგოლის-ძე ისაკაძის სახელზე, ჩ. გ. 2807

დაჰკარგე: პურის წიგნაკი ივანე კუკავაძეს სახელზე. ჩ. გ 2806

დაჰკარგე: გურჯაანის კოოპერატივის წიგნაკი № 1509 ნიკო ალექსის-ძე ხარიტონიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2804

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა № 203 სოლომონ აბრამის-ძე მიხელაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2804

დაჰკარგე: კავშირის საწევრო წიგნაკი № 8601 გაცემული სახალხო კვების კავშირიდან ანტონ ტყიბუჩავას სახელზე, ჩ. გ 2809

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა გაცემული ქარელის თემსაბჭოს მიერ ისაკო წიწვაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2810

დაჰკარგე: სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი № 1118 შალიკო ბლიაძის სახელზე, ჩ. გ. 2810

დაჰკარგე ლანირ ქვიტირის 7 წლედის მოწმობა № 164 ვენედიქტე ქაბზინაძის სახელზე, ჩ. გ. 2810

დაჰკარგე საკ. ბარათი № 3349 გაიოზი მელიტონის-ძე სულავას სახელზე, ჩ. გ. 2810

დაჰკარგე: საპენსიო წიგნაკი № 217 მიხეილ მანიას სახელზე, ჩ. გ. 2812